
სტუდენტური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი
ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი
ისტორია
კულტურა და ცივილიზაცია
ლიტერატურა
რელიგია
პოლიტიკა
ივლისი, 2020

ს ა რ ჩ ე ვ ი

ისტორია

გიორგი ჭიღლაძე. ჩინგიზ ყაენის ლაშქრობები ირანში.....6

გიორგი ახალკაციშვილი, ქოსე-დაღის ბრძოლა.....12

ბექარ ბაინდურაშვილი. ბაჩანა რუხაია. ქართველები ოსმალეთის იმპერიაში.....16

კონსტანტინე პატარაია. ირანში შექმნილი კაზაკთა გვარდია და მისი როლი რუსულ-ირანულ ურთიერთობებში.....19

თამთა მახათაძე. მარიკა ქათამაძე. მუჰამად ალის საგანმანათლებლო რეფორმა და ეგვიპტის ევროპეიზაციის საკითხი XIX საუკუნის პირველ ნახევარში.....23

ფუად მუსაევი. მილენა იბრაგიმოვი. „ანგორის მთავრობის“ ქმედებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ..... 27

ომიკო ეჯიბია. ჰაგანაჰი, ირგუნი და ლეჰი 1939-1948 წლებში და მათი როლი ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში..... 33

ნინო ბუტიკაშვილი. ისრაელის სახლი საქართველოში.....41

ლიტერატურა

მათე ქარდავა. ბაღდადის დაცემა არაბულ პოეზიაში.....45

საბინა კაზიმოვი. ზოია ფირზადი.....47

რელიგია

გვანცა ტვილდიანი. წარღვნის მითი.....50

კულტურა და ცივილიზაცია

მარიამ ნადირაძე. კაში-სინათლის ქალაქი.....55

ნინო ფეიქრიშვილი. სალომე სიდამონიძე. რელიგიების კომპლექსი კაიროში.....58

მოლაშხია სოფიკო. მაჭარაშვილი სალომე. ქალწულის კოშკი.....61

პოლიტიკა

ზურაბ სანაძე. ქალთა უფლებები საუდის არაბეთში.....68

მათე ქარდავა. თურქეთის ექსპანსიური პოლიტიკა და დაპირისპირება ევროპასთან.....72

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სარედაქციო კოლეგია:

მათე ქარდავა (რედაქტორი)

გიორგი ახალკაციშვილი (რედაქტორი)

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #36, თსუ, V კორპუსი.

ტელ: 591 94 32 19; 599 87 24 31

ე. ფოსტა: Axloagmosavleti632@yahoo.com


ისტორია

ჩინგიზ ყაენის ლაშქრობები ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთის ვრცელი სტეპები უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა მომთაბარე ხალხთა საცხოვრებელს. მათგან მომავალი საფრთხე კი ჩინური ცივილიზაციისათვის ყოველთვის დიდი იყო. სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული მომთაბარე ხალხები განუწყვეტლივ აწარმოებდნენ ლაშქრობებს სამხრეთით, ჩინეთის მიმართულებით. მათი მიზანი ყოველთვის იყო ჩინეთის ტერიტორიების დარბევა, იშვიათ შემთხვევაში კი დაპყრობა. ამ საკითხში ყველაზე მასშტაბურ წარმატებას მონღოლებმა მიაღწიეს, რაც მთელი ჩინეთის დაპყრობაში გამოიხატა. მონღოლების წარმატება ჩინგიზ ყაენის (1206-1227 წწ.) სახელს უკავშირდება. მან არა მხოლოდ შეძლო მონღოლთა გაერთიანება, არამედ საფუძველი დაუდო მონღოლთა უზარმაზარი იმპერიის დაარსებას.

ჩინგიზ ყაენი, მე-14 საუკუნის პორტრეტი

პირველი მაშტაბური ლაშქრობა ჩინეთში მონღოლებმა 1205 წელს მოაწყვეს დასავლეთ სიას[1] წინააღმდეგ (3 : 180).

ჩინგიზ ყაენს გაძლიერებასთან ერთად, ბუნებრივია, რომ ჩინეთში არსებული სამეფოების წინააღმდეგ ლაშქრობის მეტი სურვილი და ამბიცია ექნებოდა. სამხედრო კამპანიის დაწყების საბაბი 1203 წელს დამარცხებული კერაიტების[2] ლიდერის ვაჟის, ილხა სენგუმის მიერ სიას ტერიტორიაზე თავის შეფარება გახდა. სიას სამეფოს რეალურად ილხა სენგუმი არ შეუფარებია, მან უბრალოდ გაიარა სიას ტერიტორიაზე. საბოლოოდ, იგი ტარიმის ქვაბულში[3] ადგილობრივმა ფეოდალმა მოკლა (2 : 206). მიუხედავად ამისა, თემუჩინი (ჩინგიზ ყაენი) ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვებას არ აპირებდა. ტანგუტების იმპერატორმა ხუან წონგმა (桓宗- 1193 – 1206) მძიმე მარცხი განიცადა მონღოლებთან. ლაშქრობის შედეგად სიამ რამდენიმე დასახლება დაკარგა ჩრდილოეთით (8 : 17).

1206 წელს გაიმართა ყურულთაი, სადაც თემუჩინს ყაენის ტიტული მიანიჭეს (3 : 141). მისი მმართველობის ქვეშ გაერთიანდა ყველა მონღოლური ტომი. მონღოლებს, რომლებიც მომთაბარეები იყვნენ და ერთ-ერთ მთავარ შემოსავალს მათთვის ძარცვა-რბევა წარმოადგენდა, ერთმანეთში ხშირად ჰქონდათ კონფლიქტები. სწორედ ამის გამო, ჩინგიზ ყაენმა გაერთიანებულ მონღოლებს შორის ახალი დაპირისპირების წარმოშობისაგან თავის ასარიდებლად, მათი ძალების მეზობელი ხალხებისაკენ მიმართვა გადაწყვიტა. ამ მიზნით 1207 წელს, ჩინგიზ ყაენმა ახალი ლაშქრობა მოაწყო სიას წინააააღმდეგ (2 : 75). ამის მიზეზად კი იმპერიის მიერ ხარკის

[1] სი სია (西夏)- დასავლეთ სია, ტიბეტელი მომთაბარე ხალხების ტანგუტების მიერ 1038 წელს შექმნილი სამეფო (5: 354) (13).

[2] ერთ-ერთი მონღოლური ტომი (14).

[3] მდებარეობს ჩინეთში, სინძიანგის პროვინციაში (15).

არგადაუხდელობა იყო. მონღოლებმა მოახერხეს იმპერიის ჩრდილოეთ ნაწილში ქალაქი უხაის[4] (乌海)დაკავება, სადაც 1208 წლამდე გაჩერდნენ(1 : 207). წარმატებულმა ლაშქრობამ ტანგუტების წინააღმდეგ მონღოლების პოზიციები კიდევ უფრო განამტკიცა.

სიას დინასტიამ რამდენჯერმე გაუგზავნა თხოვნა მეზობელ ძინის იმპერიას[5] მონღოლების წინააღმდეგ ალიანსის შეკვრასთან დაკავშირებით. თუმცაღა, იმ პერიოდში ეს მოლაპარაკება 1208 წელს ძინის იმპერატორის გარდაცვალების გამო ჩაიშალა.

1209 წელს ჩინგიზ ხანმა დასავლეთ სიას იმპერიის წინააღმდეგ ახალ ლაშქრობა დაიწო. იმპერატორის ვაჟის მეთაურობით გაგზავნილი ჯარი მონღოლებთან მძიმედ დამარცხდა. მომთაბარეებმა არმიის სარდალი - კაო ლი ტყვედ ჩაიგდეს (9 : 18). ამის შემდეგ, მონღოლებმა აიღეს მათ გზაზე არსებული ციხე ქალაქები, გადალახეს ხუანხე და დედაქალაქ სინგცინგს (თანამედროვე ინჩუანს- 银川) შემოარტყეს ალყა (4 : 66). მონღოლებმა სცადეს მდინარე ხუანხედან გამოყვანილი მასიური არხის საშუალებით ქალაქში წყალდიდობა გამოეწვიათ, მაგრამ გეგმა ჩაეშალათ და წყალდიდობა მონღოლთა სამხედრო ბანაკს დაატყდა თავს, რის გამოც უკან დაიხევა მოუწიათ. 1210 წელს წარმოებული მოლაპარაკებების დროს იმპერატორმა აღიარა მათი უზენაესობა და მშვიდობის ნიშნად ჩინგიზ ყაენს თავისი ქალიშვილი მიათხოვა(9 : 227).

მონღოლთა არმიის მოძრაობის გეგმა 1209 წლის ლაშქრობისას.

სიას დამორჩილება მონღოლებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ერთის მხრივ, მათ უკვე საყრდენი შეიქმნეს მომავალი ლაშქრობებისთვის ჩინეთის დანარჩენი ტერიტორიების მიმართულებით. ამას ემატებოდა ისიც, რომ ისინი შემდგომში ხშირად იყენებდნენ სიას სამხედრო შესაძლებლობებს თავიანთი ინტერესების მიხედვით. გასათვალისწინებელია იმპერიის მდებარეობა იმ მხრივაც, რომ მასზე მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები გადიოდა.

სიას დინასტიის დამორჩილების შემდეგ მონღოლებს გზა სამხრეთით ხსნილი ჰქონდათ. მათი შემდეგი სამიზნე გაცილებით ძლიერი ძინის იმპერია იყო. ძინის დინასტიის უზენაესობას აღიარებდნენ და ხარკს უხდიდნენ ჩრდილოეთის თურქმანული და მონღოლური ტომები ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან. იმპერატორ ჭანგ წონგის（章宗-1190 – 1208) მმართველობის პერიოდში იმპერია ძლიერ ძალას წარმოადგენდა, რაც გამოიხატა კიდევაც იმაში, რომ 1206 -1208 წლების ომში მან სონგის[6] დინასტიას არაერთი

[4] ჩინეთის ჩრდილოეთში, შიდა მონღოლეთის ავტონომიურ რეგიონში მდებარე ქალაქი (12).

[5] 金- ძინი- ჯურჩენების მიერ დაარსებული იმპერია ჩრდილოეთ ჩინეთში 1115-1132 წლებში.

[6] 宋-სონგ- ჩინური დინასტია 960-1279 წლებში. მას შემდეგ, რაც დინასტიის დედაქალაქი ჯურჩენებმა აიღეს, სონგის დინასტია სამხრეთ ჩინეთში გადავიდა. შესაბამისად, ისტორიულად სონგის დინასტია იყოფა ჩრდილოეთ (960-1127) და სამხრეთ (1127-1279) სონგის დინასტიებად.

მარცხი აგემა (1 : 245). მის ბიძას თანანს, რომელიც თანამდეროვე ხენანში[7] ვეის საფეოდალოს ფლობდა, დავალებული ჰქონდა ჩრდილოეთში თათრებისა და ხიტანებისგან[8] ხარკის აღება. ამავე დროს, ცდილობდა ხელი შეეშალა ჩინგიზ ყაენის აღზევებისათვის (4 :67). სწორედ იგი ავიდა 1208 წელს საიმპერატორო ტახტზე, როგორც იმპერატორი იონგ ძი (永济-1208 – 1213).

ჩინეთი მე-13 საუკუნის დასაწყისში.

1208 წელს სიას დინასტიამ სწორედ იონგ ძის შესთავაზა ალიანსი მონღოლების წინააღმდეგ. თუმცა, როგორც ჩანს, ძინის იმპერატორმა ეს შემთხვევა უფრო მის მოწინააღმდეგეებს შორის ატეხილ ბრძოლად ჩათვალა, რომელიც მათვე დაასუსტებდა. თითქოს ეს ყველაფერი ისევ ძინის იმპერიისთვის სასიკეთოდ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ყველაფერი საპირისპიროდ წარიმართა.

ჩინგიზ ყაენის მიერ გაერთიანებული მონღოლები თანდათან ძლიერდებოდნენ. მათი ამბიციები კი მეტი იყო, ვიდრე ძინის დინასტიის ვასალობა. 1209 წელს ხარკის გადასახდელად იმპერატორმა თავისი წარმომადგენლები გაგზავნა მონღოლებთან. თუმცა, მონღოლებმა ძინის იმპერატორი წარგზავნილების წინაშე დაამცირეს და ხარკი არ გადაიხადეს (4 : 67). ამან, რა თქმა უნდა, დაძაბა ვითარება მონღოლებსა და იმპერიას შორის. ძინის იმპერატორმა მალევე - 1210 წელს ჩინგიზს შეურაცხმყოფელი წერილი გაუგზავნა, რომელმაც ყაენი ძალიან გააბრაზა. ჩინგიზმა ძინის წინააღმდეგ სალაშქროდ მზადება დაიწყო, რისთვისაც მან ხიტანების მეთაურთან დაამყარა კავშირი. ხიტანები აღიარებდნენ მონღოლების უპირატესობას, ხოლო ამ უკანასკნელს მთლიანი ლიაოტონგის[9] (辽东) პროვინცია უნდა მიეცა მათთვის (2 : 81).

მონღოლებმა ლაშქრობა ძინის წინააღმდეგ 1211 წელის გაზაფხულზე დაიწყეს (3 : 182). ლაშქრობის დასაწყისშივე მონღოლები უბრძოლველად გაატარეს შანსის[10] (山西) ჩრდილოეთით ძინის მიერ დიდ კედლის დაცვის ფუნქციით დასახლებულმა ონგუტების ტომებმა (9 : 227). მონღოლების ჯარი ორ ნაწილად გაიყო. აღმოსავლეთის წასულ ნაწილს თვითონ ჩინგიზი ხელმძღვანელოვდა, დასავლეთის ნაწილს კი მისი ვაჟი ჯუჩი. ჩინგიზ ყაენმა ადვილად გადალახა ძინის მიერ ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე იმავე წლის დასაწყისში ნაჩქარევად აგებული თავდაცვითი ნაგებობები. მათ ასაგებად დინასტიამ იმპერიის მაშტაბით დიდი რაოდენობით მუშახელი ძალით გამოიყვანა.

ძინის ეს ქმედება ჩინგიზ ყაენმა იმპერიის წინააღმდეგ გამოიყენა. მან კაცებისაგან დაცარიელებული ოჯახები წინ გაირეკა და ციხეებსა თუ ქალაქებზე იერიშის მიტანის

[7] პროვინცია ჩინეთის ცენტრალურ ნაწილში.

[8] ხიტანები მომთაბარე ხალხები იყვნენ. 916 წელს მათ ჩრდილოეთ ჩინეთში ლიაოს დინასტია დააარსეს (辽朝), რომელიც 1125 წელს ჯურჩენებმა გაანადგურეს. სწორედ მათ სახელს უკავშირდება ჩინეთის აღმნიშვნელი ტოპონიმის „ხატაეთის“ წარმოშობა.

[9] ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პროვინცია ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩრდილოეთ კორეის საზღვარზე.

[10] პროვინცია ცენტრალურ ჩინეთში.

დროს მათ ცოცხალ ფარად იყენებდა (4 : 70). აღნიშნულმა სტრატეგიამ შედეგი გამოიღო. მეომრებს, რომლებსაც ქალაქების დაცვა ევალებოდათ, ბუნებრივია, არ შეეძლოთ საკუთარი ოჯახის წევრების წინააღმდეგ აღემართათ იარაღი. ამის გამო ბევრი ქალაქი უომრად ნებდებოდა მონღოლებს. ამ ხერხმა მონღოლების ლაშქრობაზე დიდი გავლენა იქონია. მომთაბარე მონღოლებს, რომელთა მთავარი სამხედრო ძალა მხოლოდ მსუბუქად შეჭურვილი მხედრობა იყო, ციხე-ქალაქების აღების გამოცდილება საერთოდ არ ჰქონდათ. მათ სხვა შემთხვევაში სიმაგრეები უეცარი შეტევით ან ალყის საშუალებით უნდა აეღოთ. პირველი ხერხი ყოველთვის არ ამართლებდა, მეორე გზა კი მონღოლებს დიდ დროს წაართმევდა.

მონღოლების დიდი წარმატება იყო კარგად გამაგრებული ჩუიუკუანის აღება, რომელიც იმპერიის დედაქალაქ ჭონგტუს (中都-თანამედროვე პეკინის მახლობლად) ჩრდილოეთიდან იცავდა. ამის შემდეგ მათ ძინის დამხმარე ძალებიც იეხულინთან[11] （野狐岭） ბრძოლაში დაამარცხეს. მიუხედავად ამისა, დედაქალაქისთვის იმ პერიოდში არ შეუტევიათ. დასავლეთის არმია ყაენის ვაჟის ჯუჩის მეთაურობით შანსის[12] პროვინვიაში შეიჭრა, სადაც ძინის იმპერიას დასავლეთ სიას საზღვარზე დიდი რაოდენობით სამხედრო დანაყოფები ჰყავდა განლაგებული (1 : 252). მონღოლების ამ არმიის მიზანი ძინის შენაერთების განადგურება იყო, რათა არ დაეშვათ აღნიშნულ შენაერთებს მათი ჯარის მთავარი ნაწილისთვის აღმოსავლეთით ლაშქრობაში ხელი შეეშალათ. ჯებეს სარდლობით მონღოლებმა 1213 წლის იანვარში ხიტანებთან არსებული შეთანხების გამო ლიაოტონგი დაიპყრეს და მათ გადასცეს (3 : 186). იმპერიის წარმატებით დარბევის შემდეგ მონღოლებმა უკან დაიხიეს (1 : 252). მათი მიზანი ამჯერად ძინის დაპყრობა არ ყოფილა.



მონღოლებისა და სამხრეთ სონგის დინასტიის არმიების მოძრაობის გეგმა ძინის წინააღმდეგ

ხშირად გამოყოფენ მონღოლების მესამე, ცალკემოქმედ ნაწილს, რომელსაც ჩინგიზმა შანტონგის[13] (山东) აღება დაავალა (4 : 70).

შემდეგი ლაშქრობა მონღოლებმა ძინის წინააღმდეგ 1213 წელს მოაწყვეს. პირველი მთავარი ბრძოლა ორ მხარეს შორის ძუიონგკუანთან (居庸关) შედგა, სადაც ისევ მონღოლებმა გაიმარჯვეს (8 : 20). მალევე მონღოლებმა სამი მიმართულებით დაყვეს არმია. ჯარის მარჯვენა ფრთამ ჩაღათაისა და უგედეის მეთაურობით დაიწყო ხეპეისა[14] (河北) და ხენანის პროვინციების მიმართულებით ლაშქრობა. ჯარის მარცხენა ნაწილმა, რომელსაც ჩინგიზ ყაენის ძმები მეთაურობდნენ აღმოსავლეთით პოხაის ყურემდე[15] (渤海) გააგრძელეს ძინის პროვინციების

[11] იეხულინი (野狐嶺) –მდებარეობს ხეპეის პროვინციაში, ანკუანის რაიონში(11).

[12] შანსი (山西省)ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე პროვინცია (10).

[13] პროვინცია ჩინეთის აღმოსავლეთში ზღვისპირა ზოლში.

[14] ჩინეთის პროვინცია, მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთით.

[15] მდებარეობს ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით.

დაპყრობა, შემდეგ კი დედაქალაქისკენ აიღეს გეზი. ჩინგიზ ყაენმა მთავარი ძალებით შეუტია ხეპეის (河北) პროვინციას (9 : 229). ამ ლაშქრობისას მონღოლებს იმპერიის ცენტალურ ნაწილში უომრად მხოლოდ 11 ქალაქი დანებდა. წარმატებული ლაშქრობის შემდეგ მონღოლთა არმიის სამივე ნაწილი ჭონგტუსთან 1214 წელს გაერთიანდა (8 : 20).

მონღოლთა ლაშქრობას იმპერიაში დიდი არეულობა მოჰყვა. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ გადაყენებულმა გენერალმა ჰუშაკუმ იმპერატორი მოკლა და ტახტზე ამ უკანასკნელის ძმისშვილი უთუპუ (მეორე ვერსიით - ძმა) (1213-1223) დასვა (9 : 230). ახალმა მონარქმა მონღოლებთან მშვიდობის დასამყარებლად მოლაპარაკებები დაიწყო, რისთვისაც მას დიდძალი სახსრების გაღება მოუხდა (3 : 188). თუმცა, შეთანხმება უსაფრთხოებოს გარანტი არ იყო. ხოლო დედაქალაქი ჭონგტუ დასავლეთიდან და ჩრდლოეთიდან მონღოლთა ძალების მიერ იყო გარშემორტყმული. სწორედ ამის გამო 1214 წელს დედაქალაქი სამხრეთით - ქაიფენგში (开封)გადაიტანეს. ეს აშკარად სწორი ნაბიჯი იყო, რადგან მონღოლებმა ყოფილი დედაქალაქი 1215 წელს ახალი ლაშქრობის დროს აიღეს. მათ მოსახლეობა გაწყვიტეს, ხოლო თვითონ ქალაქი დაწვეს (9 : 230).

მონღოლების მიერ პეკინის აღების ილუსტრაცია რაშიდ ად-დინის „ჯამი'ათ-თავარიხში".

ჭონგტუს აღების შემდეგ, ჩინგიზ ყაენს პირადად აღარ უწარმოებია ლაშქრობა ძინის წინააღმდეგ. ამას 1216 წლიდან მისი სარდლები ახორციელებდნენ. ამ წლის მეორე ნახევარში მონღოლები ორდოსის[16] გავლით შანსის პროვინციაში შეიჭრნენ. მათ დიდ სამხედრო დახმარებას უწევდა დასავლეთ სია. სიასთვის ეს ლაშქრობები ეკონომიკურად მომგებიანი სულაც არ იყო, ამით დინასტია უფრო მონღოლების კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა (6 : 88).

მიუხედავად ძინის დინასტიის წინააღმდეგ დახმარებისა, ჩანს, რომ სიასა და მონღოლებს შორის კავშირი დიდხანს არ გაგრძელებულა. ეს კარგად გამოჩნდა მაშინ, როდესაც ჩინგიზ ყაენმა სიას ხვარაზმის წინააღმდეგ მონღოლებთან ერთად ლაშქრობისაკენ მოუწოდა. სიას იმპერატორმა ჩინგიზ ყაენს უარი შეუთვალა, რასაც მოჰყვა კიდევაც მხარეებს შორის ურთიერთობის დაძაბვა (1 : 210). 1218 წელს მონღოლებმა რიგით მეოთხე ლაშქრობა მოაწყვეს სიას წინააღმდეგ. იმ ეტაპზე დინასტიამ ჩინგიზ ყაენის უზენაესობა კვლავ აღიარა, მაგრამ ჩანს რომ მალევე დაიწყეს დაუმორჩილებლობა. იმ პერიოში მონღოლები ცენტრალურ აზიაში მასშტაბურ ლაშქრობებს აწარმოებდნენ, ამიტომ შორეულ აღმოსავლეთში ახალი დიდი შეტევების წარმოებას მოერიდნენ.

სიას შესავიწროებლად კი 1219 წლიდან ჩინგიზ ყაენმა მისი ერთ-ერთი ნდობით აღჭურვილი პირი მუღალი დატოვა. სწორედ ამ უკანასკნელის მეთაურობით ეწყობოდა პერიოდული ლაშქრობები 1217 წლიდან ძინისა და სიას წინააღმდეგ (9 : 232).

მდგომარეობა შეიცვალა 1223 წელს, როდესაც მუღალი გარდაიცვალა. ჩანს, რომ მონღოლთა წნეხი ამ პერიოდში ისე შესუსტდა, რომ სიას იმპერატორმა ყაენს

[16] მდებარეობს მონღოლთა ავტონომიურ ოლქში.

პრინცი მძევლად არ გაუგზავნა. ამასთანავე დინასტიამ მოლაპარაკებები დაიწყო ჯერ კიდევ დაუმორჩილებელ ძინთან. იმავდროულად სიას იმპერია მონღოლების წინააღმდეგ აშკარად ემზადებოდა აჯანყებისთვის. 1225 წელს ჩინგიზ ყაენი დასავლეთის ლაშქრობებიდან უკან დაბრუნდა. 1226 წელს კი მონღოლებმა გამდგარი სიას წინააღმდეგ გაილაშქრეს, მაგრამ ჩინგიზ ყაენი ლაშქრობის დაწყების წინ, 1227 წლის ზამთარში უეცრად გარდაიცვალა (1 : 210). მონღოლებმა ყაენის გარდაცვალება დამალეს, რათა სიას წინააღმდეგ დაგეგმილი მნიშვნელოვანი ლაშქრობა წარმატებით დაესრულებინათ. ამ ლაშქრობის შედეგად დაავლეთ სია მთლიანად განადგურდა. რაც შეეხება ძინს, დასუსტებულმა იმპერიამ 1234 წელს დაასრულა არსებობა მონღოლების მიერ დედაქალაქ ქაიფენგის აღებასთან ერთად (5 : 356).

მონღოლთა ლაშქრობებმა და ბატონობამ ჩინეთს უმძიმესი დარტყმა მიაყენა; გაჩერდა და განადგურდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება. XIII საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩრდილოეთ ჩინეთმა დაიწყო გაუკაცრიელება, მოსახლეობამ მიგრირება დაიწყო სამხრეთით, სადაც მხოლოდ და მხოლოდ დროებით იყო მშვიდობიანობა შენარჩუნებული. მოსახლეობის მიგრაცია მიმდინარეობდა სამხრეთის მიმართულებით, სადაც გარკვეულ დრომდე მშვიდობიანობა იყო შენარჩუნებული.



მონღოლთა არმიის მოძრაობის გეგმა 1227 წლის ლაშქრობისას.

ქოსე-დაღის ბრძოლა (1243)

კონიის (რუმის) სასულთნოს მიწებზე პირველი მონღოლური დამარბეველი ლაშქრობები 1231—1232 წლებში ხორციელდება, როდესაც ჩორმაღანის ცალკეული შენაერთები სივასისა და მალათიის მიდამოებამდე მივიდნენ. 1236 წლიდან მონღოლებმა სულთან ალა ად-დინ ქეიყუბად I-ს (1220-1237) რეგულარული ხარკის გადახდა დააკისრეს; სულთანმა მოახერხა მონღოლთა დიდ ხანთან, - უგედეი ყაენთან, სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება და დროებით შეაჩერა არეულობები საკუთარ ტერიტორიაზე.

1240 წლის დასაწყისში, რუმის ახალი სულთნის, ქეი-ხოსროვ II-ის (1237-1246), მმართველობის პერიოდში, როდესაც სახელმწიფო შინაგანი არეულობებითაა დასუსტებული (ძირითადად ბაბა ისჰაკის აჯანყების მიზეზით - 1239-1240), განსაკუთრებით გახშირდა მონღოლური ლაშქრობები. 1242 წლის დასასრულს მინღოლთა მხედრობის მთავარსარდალმა ბაიჯუ ყაენმა (1201 -) ორთვიანი ალყის შემდეგ დაიმორჩილა არზრუმი. ამ უკანასკნელის დაცემის ამბის შეტყობის შემდეგ, სულთანმა სასწრაფოდ მხედრობის შეკრება ბრძანა. მას დასახმარება აღუთქვეს ვასალებმა და მოკავშირეებმა : — ალეპოს მმართველმა და ტრაპიზონის იმპერატორმა; აფხაზეთის თავადმა დარდინ შერვაშიძემ და სომეხმა უფლისწულმა ვანმა (6; გვ. 63, 64); ამასთანავე, სულთნის ჯარში იყო 2000 დაქირავებული -,,ფრანკი” მეომარი, იოანნა კიპრელისა და ბონიფაცი გენუელის მეთაურობით. სელჩუკებს დიდი დახმარება აღმოუჩინეს ანატოლიაში მცხოვრებმა ქაის ტომელებმაც (ამ ტომისგან 1299 წელს წარმოიშვა ოსმალთა ბეილიქი). ქართველთა რუმის სასულთნოსთან კავშირი გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგანაც სულთან ქეი-ხოსროვს ცოლად ჰყავდა საქართველოს მეფის - თამარის (1178 / - 1184 - 1210) შვილიშვილი, გურჯი ხათუნი (იგივე. თამარი. რუსუდან მეფის (1223-1245) შვილი). მათ შორის დინასტიური ქორწინება იყო.

ქეი-ხოსროვის ჯარების რაოდენობაზე წყაროებში მოჰყავთ სხვადასხვა მონაცემები: 400 ათასი (ქართული წყაროებით), ,,200 ათასი, ყველა ცხენოსანი” (გიიომ დე რუბრუკის გადმოცემით, 160 ათასი (გრიგორ აკნელის გადმოცემი). რეალობასთან მაინც ყველაზე ახლოს, შესაძლოა, იბნ-ბიბის „სელჩუკ-ნამეში“ (Evāmirü'l-'Alā'iyye fī'l-Umuri'l-'Ala'iyye. - Türk Tarih Kurumu Publications I, Serial No: 4a (Ankara, 1957)) დასახელებული — 70 ათასი მეომარი მივიჩნიოთ. რაც შეეხება მონღოლთა ლაშქარს, რომელიც 1243 წლის გაზაფხულზე დაიძრა მტრის შესახვედრად, 30-40 ათასი მეომრისგან შედგებოდა, რაც რუმის ჯართან შედარებით ორჯერ ნაკლები გამოდიოდა.

რუმის სულჩუკთა სულთნის ქეი-ხოსროვ II-ის დირჰემი, სივასი, 1240/1241.

ივლისის თვეს ორივე ჯარი ერთმანეთს შეხვდა „ქოსე-დაღის“ ("მელოტი მთა") მახლობლად მდებარე ხეობაში, ჩმან-ქათუქის დასახლების მახლობლად, სივასის ჩრდილო-აღმოსავლეთით 60 კილომეტრში და ერზანჯანის დასავლეთით. ბრძოლა გაიმართა 1243 წლის 3 ივლისს. მონღოლთა

მხარეს აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველთა და სომეხთა სამხედრო შენაერთები, მაგრამ როგორც უკვე ითქვა, მათი თანატომელები რუმის სასულთნოს მხარეზეც იბრძოდნენ. წყაროების ცნობით, როდესაც პირველად ეკვეთნენ ერთმანეთს მოწინააღმდეგეები, სწორედ სომეხ-ქართველთა მხარეები დაუპირისპირდნენ თავიანთ თანატომელებს. ,,როდესაც დაეწყვნენ საბრძოლველად, შეხვდნენ ერთმანეთს პირისპირ შალვას შვილი და თათართა ჯარი - მარცხენა ფრთაზე, ხოლო დიდად მძლენი სომეხი და ქართველი მთავრები და სულტნის ჯარი - მარჯვენა ფრთაზე" (შენგელია ნ. მცირე აზიის სელჩუკები და საქართველო XI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი - XIII საუკუნე. გვ. 353. თბილისი, 2003.). ეს უკანასკნელი კიდევ ერთხელ ამტკიცებს ქართველთა შეუპოვარობას ამ ბრძოლაში.

პირველი შეტაკება რუმის სელჩუკებმა მამაცურად მოიგერიეს და მონღოლები უკუაქციეს. ამ უკანასკნელთა მხედართმთავარმა, ბაიჯუ ყაენმა, შესანიშნავ სტრატეგიას მიმართა და უკან დახეული სწრაფად შემოტრიალდა, მტრის ჯარი ისრების წვიმის ქვეშ მოაქცია და მთლიანად გაანადგურა. ნ. შენგელიას ვრცელ ნაშრომში „მცირე აზიის სელჩუკები და საქართველო XI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი - XIII საუკუნე" ნათლად აქვს წარმოჩენილი ყველა ის წყარო და გადმოცემა, რომელიც ქოსე-დაღის ბრძოლას ეხება. მას წიგნში მოჰყავს გრ. აკანელის უფრო დაწვრილებითი მოსაზრება, რომელიც წერს : ,,ბრძოლის მიმდინარეობისას, როდესაც სელჩუკებმა ქართველთა მეწინავე ჯარის წყალობით პირველ წარმატებას მიაღწიეს, მონღოლებმა მაშინვე შეუტიეს მათ და მათთან მყოფი ქართველი მხედართმთავრების უშუალო მონაწილებით ერთიანად ამოხოცეს სელჩუკთა ძალები. ,, მაგრამ ქართველმა მთავარმა, გაგის მფლობელმა, დიდი ვარამის ძემ, ბლუ ზაქარიას შვილიშვილმა, სახელად აღბუღამ, რომელიც მხნედ შეებრძოლა სულტნის ჯარს სომეხთა და ქართველთა აზნაურთაგან შემდგარი ჯარით, გააბრუნა სულტნის ჯარის მარჯვენა ფრთა. მრავალ ამისარსა და დიდებულს თავი მოჰკვეთა" (გრ. აკანელი. მოისართა ტომის ისტორია, გვ. 21.) სელჩუკებმა უკან დახევა დაიწყეს.

მონღოლებმა ბოლომდე სდიეს უკუქცეულ მტერს. ჟამთააღმწერელი ქართლის ცხოვრებაში წერს : „დევნა უყვეს რა თათართა და ქართველთა, ურიცხვი მებრძოლი მოსრეს და შეიპყრეს... ესოდენ ეწყუნეს პირველ, ვითა განკვირდეს ყოველნი მხედართმთავარნი მათნი ძლიერად მბრძოლობასა ქართველთასა. ამისთვის სიყვარულსა და პატივსა და ნიჭსა წინა-უყოფდეს, და ქებასა შეასხმიდეს" (ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 194.). სულთანმა სწრაფად ჩააღწია საომარ ბანაკში და თავის მეუღლესთან [გურჯი ხათუნთან] ერთად სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. მალევე ბანაკს მდევრები მიადგნენ და იქ აღარაფერი დახვდათ, სულთანი მთალი ამალით უკვე გაქვეული იყო.

მონღოლი მეომრები

მონღოლებმა გაქცეული მეომრები სასტიკად ამოჟლიტეს, ხოლო შემდეგ გაძარცვეს დაღუპულები. მათ სულთნის ბანაკში ხელში ჩაიგდეს მრავალი ძვირფასი აბრეშუმის ნაჭერი და დიდი რაოდენობის ძვირფასეულობა, ასევე სულთან ქეი-

ხოსროვის პირადი ბეჭედი, რომელზეც ლომი იყო გამოხატული.

ქართველი ჟამთააღმწერელი ამ ბრძოლის შესახებ გადმოგვცემს (საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XX საუკუნემდე), ტ. III, თბ., 2012, გვ. 39):

„ვითარ განთენდა და მოვიდა სულტანი სპითა საზარელითა, რამეთუ იყო ოთხასი ათასი მხედარი, და განაწყვეს რაზმი, აქეთ თათართა განაწყვეს რაზმი და ურჩეულესი მათი მარცხენასა მხარესა დააწესნეს. ესრეთ აქუნდათ წესად, უმჯობესთან ვიდრემდე მარცხენასა კერძოსა დააწესებდიან... ხოლო დროშა მათთა სიმეწამულე მოასწავებდა სისხლსა დამოღურილობასა მტერთასა. ამათ რა ესრეთ ყოველი ნათესავი ქართველთა წინამბრძოლყვეს და ვითარცა მიიახლნეს ურთიერთას... მყის მიეტივნეს. ხოლო ქართველნი უპირატეს და უმხნეს ძლიერად ეწყუნეს და იქმნა ომი სასტიკი. მოწყდა სიმრავლე ურიცხვი სპათაგან სულტნისა, სადა სახელოვანიცა შარვაშისძე დარდინ აფხაზი, მხედართმთავარი მათი, მოიკლა და ივლტოდეს სპანი სულტნისანი და დევნა – უყვეს რა თათართა და ქართველთა, ურიცხვი მებრძოლი მოსრეს და შეიპყრეს“

სელჩუკი მეომრები.

წარმატებული გამარჯვების შემდეგ მონღლთა ჯარებმა განაგრძეს თავდასხმები. ქალაქ ქაისერის მკვიდრნი ამოჟლიტეს, რადგანაც მათ დანებებაზე უარი განაცხადეს, ხოლო თვითონ ქალაქი გააცამტვერეს; შემდეგ ერზინჯანი დაიპყრეს ეშმაკური ტაქტიკით; უმოწყალო ხოცვა-ჟლეტის თავიდან ასაცილებლად ქალაქები: სივასი და თურქე უბრძოლველად დანებდნენ. კონიაში გაქცეული სულთნის ქეი-ხოსროვის ანტიმონღოლური გეგმები, რომლებიც ლათინთა იმპერატორ ბალდუინ II-სთან (1228-1273) და ნიკეის მმართველ იოან III-სთან (1222/23 - 1254) კავშირის შეკვრას მოიაზრებდა, უშედეგოდ დასრულდა. სხვა გაზა აღარ დარჩა სულთანს და მონღოლებთან მოსალაპარაკებლად საკუთარი ვეზირი გაგზავნა, რომელმაც დაარწმუნა ბაიჯუ ყაენი, რომ ანატოლიის ვრცელი ტერიტორიის დაპყრობა რთული იქნებოდა, რამდენადაც გაერთიანდებოდა უამრავი მეომარი, ციხეც ბევრი იქნებოდა დასაპყრობი. სამშვიდობო შეთანხმების პირობების შედეგად, სულთანს ყოველ წელს ყარაყორუმში დაახლოებით 12 მილიონი ვერცხლის მონეტა უნდა გაეგზავნა, 500 ნაჭერი აბრეშუმი, 500 აქლემი და 5000 ცხვარი. ქეი-ხოსროვი სახელმწიფოს მხოლოდ იმ ნაწილს მართავდა, რომელიც დაპყრობილი არ იყო. ეს ერთი წლის შემდეგ დაადასტურა ბათუ ყაენმა (1227-1256), ულუს ჯუჩის მეთაურმა, რომლის ვასალიც გახდა ქეი-ხოსროვი.

ქოსე-დაღის ბრძოლა (1243). (Hayton of Corycus, Fleur des histoires d'orient).

ქოსე-დაღის ბრძოლაში დამარცხება იკონიის (რუმის) სასულთნოს ისტორიაში გარდამტეხი აღმოჩნდა, რის შემდეგაც ანატოლიელ სელჩუკთა დასუსტების პროცესი დაჩქარდა. ცენტრალური სამმართველო კარგავდა საკუთარ ავტორიტეტს, რაც ნათლად გამოიხატა თვითმარქვიის, რომელიც გარდაცვლილი სულთნის - ალა ად-დინ ქეი-ყუბად I-ის შვილად აცხადებდა თავს, გამოჩენით. ის 20 ათასიანი ჯარით და მომხრეებით გადავიდა ქილიკიის არმენიაში, მაგრამ დამარცხდა სუმბატ სპარაპეტთან (1208-1276), ქილიკიის მეფე ხეთუმ I-ის (1226-1270) ძმასთან, ტყვედ ჩავარდა და ქ. ალაიეში ჩამოახრჩეს. მონღოლური ლაშქრობების კიდევ ერთი შედეგი იყო სოფლის მეურნეობის რღვევა; გლეხებმა მიწები მიატოვეს და მოუსავლიანობის გამო ქვეყანაში შიმშილი დაიწყო. მრავალი ლტოლვილი სასულთნოს დასავლეთ საზღვრებსიკენ გაემართა.

1245 წლის ბოლოს, ქეი-ხოსროვ II-ის სიკვდილის შემდეგ, პოლიტიკური კრიზისი გაუარესდა. რუმის ტერიტორიის გამგებლობა მის სამ მცირეწლოვან უფლისწულს (ქეი-ქავუს II (1246-57), ქილიჩ-არსლან IV (1248-65), ქეი-ყუბად II (1249-57)) ჩააბარეს, რომლებიც, ფაქტობრივად, მონღოლური რეჟიმის მარიონეტები გახდნენ.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქოსე-დაღის ბრძოლა საბედისწერო და გარდამტეხი აღმოჩნდა ანატოლიის სელჩუკთა ისტორიაში. XIII საუკუნის დასასრულს, ასეთმა რეჟიმმა, გამოიწვია რუმის სასულთნოს დაკნინება და განადგურება. 1307 წელს მოკლეს უკანასკნელი სელჩუკი უფლისწული - ღიას ად-დინ მასუდ II, რითაც სამუდამოდ განადგურდა დინასტია.

რუმის სასულთნო და მისი მეზობელი ქვეყნები (რუკის ავტორი, მ.შეყილაძე)

ქართველები ოსმალეთის იმპერიაში

XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში ყალიბდება სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო, რომელმაც ძირი ამოუთხარა ევროპის ერთიანობას და საფრთხე შეუქმნა ქრისტიანულ სამყაროს. ოსმალეთის იმპერიის მრავალმხირივი ექსპანსია დამყარებული იყო მის დიდ სამხედრო რესურსზე, რომლის სულისჩამდგმელი იყო თიმარული სისტემა. ოსმალეთის შეიარაღებული ძალები ორი ძირითადი ნაწილისგან შედგებოდა: 1.ფეოდალური ლაშქარი, რომელიც მხოლოდ ომის შემთხვევაში იკრიბებოდა. მოლაშქრეებს ლენის მფლობელები ინახავდნენ, წვრთნიდნენ და მათვე გამოყავდათ სალაშქროდ. ლაშქარი ბეგლარბეგისა და სანჯაყბეგის დროშის ქვეშ იბრძოდა. მოლაშქრეები მხედრები, ცხენოსნები იყვნენ. სულეიმანის კანუნის (1520-1566) დროს ფეოდალური ლაშქრის რაოდენობამ მიაღწია 130 ათასს. აქედან 80 ათასი გამოჰყავდათ რუმელიიდან, ხოლო აზიის სამფლობელოებიდან - 50 ათასი. 2. სულთნის ჯამაგირზე მყოფი მუდმივი ჯარი. ეს ჯარი სულთნის კმაყოფაზე იმყოფებოდა, ამიტომ ჯარისკაცები სულთნის შვილებად იწოდებოდნენ. ოსმალების სამხედრო ლაშქრობების წარმატებების ერთ-ერთი მთავარია მიზეზი იყო იანიჩართა პოლკის არსებობა.

იანიჩართა კორპუსი იყო რეგულარული, კარგად გაწრთვნილი და მუსლიმური ფანატიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული ქვეითი ჯარი. იგი დაარსდა მურად I-ის (1362-1389) დროს, 1362 წელს. მისი დაკომპლექტება თავდაპირველად ხდებოდა ტყვედ წაყვანილი ახალგაზრდებისაგან. ძირითადად, იტაცებდნენ ქრისტიანული ტერიტორიებიდან, მაგ: ალბანელები, ბერძნები, რუსები, სერბები და მათ შორის იყვნენ ქართველებიც. მათ მიაღებინებდნენ ისლამს და ფანატიკური სულისკვეთებით ზრდიდნენ. იანიჩართა კორპუსი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგებოდა: 1. აღა ბოლუქლერი - 61 ასეულისგან შედგებოდა, ისინი უშუალოდ იანიჩართა აღას განკარგულებაში იმყოფებოდნენ; 2. ჯემაათ ორთალარი - ყველაზე ძველი სახეობა იყო და 101 ასეულისგან შედგებოდა; 3. სეკბანები - მეჰმედ II-ის (1444-1446; 1451-1481) დროს შეიქმნა და 34 ასეულისგან შედგებოდა. იანიჩართა კორპუსი გახდა ძირითადი ძალა, რომლებსაც სულთნები იყენებდნენ ომის დროს და ასევე ქვეყნის შიგნით სიტუაციის გასაკონტროლებლად. ოსმალეთის იმპერიაში სულთან სულეიმან I-ის დროს გამოიცა კანონები და წესდებები სხვადასხვა ინსტიტუტების შესახებ, მათ შორის გამონაკლისი არ ყოფილა იანიჩართა კორპუსი. იანიჩართა რაოდენობა გაიზარდა 20 ათას ჯარისკაცამდე. როგორც ვიცით, იმ პერიოდში სულეიმან I-მა რამდენიმე კატეგორიად დაყო იანიჩართა კორპუსი და ყოველ კატეგორიას ჰქონდა თავისი დამახასიათებელი ნიშნები, როგორიცაა: ცოლის მოყვანა-არ მოყვანის უფლება, მათი ყოველდღიური ხელფასი და ა.შ. ამ რეფორმის შედეგად იანიჩართა კორპუსი გახდა უძლიერესი სამხედრო კორპუსი მთელ ევროპაში. იანიჩარები, მართალია, ქრისტიანული ქვეყნებიდან წამოყვანილი ტყვეები იყვნენ, მაგრამ მათ შესაძლებლობა ჰქონდათ სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ წარმატებისთვის მიეღწიათ. ოსმალეთის იმპერიაში მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობის დასაკავებლად მნიშვნელობა არ ჰქონდა პერსონის წარმომავლობას. მაღალი რანგის მოხელე ინიშნებოდა საკუთარი ნიჭისა და უნარის მიხედვით და არა გვარის სიძველით.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებმა ოსმალეთის იმპერიას, კონკრეტულად კი იანიჩართა კორპუსს სერიოზული კვალი დაამჩნიეს. მათ მონაწილეობა მიუღიათ არაერთ ლაშქრობაში. 1638 წელს ოსმალთა რიგებში იბრძოდა მარაშის ვალი - გურჯი მეჰმედ-ფაშა, რომელიც წარმოშობით იყო ქართველი. დაიბადა იმერეთში 1556 წელს, იგი ახალგაზრდობისას დაუტყვევებიათ, მონად უყიდია დიდ ვეზირ ქოჯა სინან-ფაშას და გურჯი მეჰმედი სულთნის სასახლეში მიუყვანია. 1603 წელს ოსმალეთის ტახტზე ავიდა აჰმედ I (1603-1617). მის დროს განსაკუთრებით სწაფად დაწინაურდა გურჯი მეჰმედი. სხვადასხვა დროს იგი მსახურობდა სხვადასხვა მაღალ სამხედრო თანამდებობაზე. მას არაერთ სამხედრო ექსპიდიციაში მიუღია მონაწილეობა, რომელთაგან გამოირჩევა ეგვიპტეში ადგილობრივი ხელისუფლის დასჯა და წესრიგის დამყარება. ასევე, 1609 წლის 11 მაისს, როდესაც დიდმა ვეზირმა მურად ფაშამ სტამბოლი დატოვა და ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემგზავრა, გურჯი მეჰმედ ფაშას პირველად დაევალა დიდი ვეზირის მოვალეობის შესრულება. ხოლო, უშუალოდ ამ თანამდებობაზე დაინიშნა 1622 წლიდან. გურჯი მეჰმედ ფაშას სახელთან დაკავშირებულია საკმაოდ მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა, მაგ: ფულის კურსის განმტკიცება, რაც მიმართული იყო ეკონომიკური კრიზისიდან გამოსასვლელად. ასევე, მიიღო ზომები კაზაკების თარეშის აღსაკვეთად. მიუხედავად მისი გატარებული ღონისძიებებისა სასახლის კარსა და იანიჩარებში არ გამოირჩეოდა დიდი სიმპათიით, რადგან არ მოსწონდათ მისი გავლენის გაფართოება. იანიჩარები აჯანყდნენ და მოითხოვეს გურჯი ფაშას სიკვდილით დასჯა და საწადელს მიაღწიეს კიდეც 1626 წლის 13 ივლისს. მეჰმედ ფაშას სიკვდილის შესახებ ორი ვერსია არსებობს. ერთი ვერსიით, იგი სიკვდილით დასაჯეს იენიაჩარებმა იმის გამო, რომ მან დახმარება არ აღმოუჩინა ბაღდადის წინააღმდეგ მიმავალ ოსმალეთის ლაშქარს. მეორე ვერსიის თანახმად, იანიჩარებს ხელთ ჩაუვარდათ საბუთი, რომლის მიხედვითაც გურჯი მეჰმედ ფაშა აპირებდა იანიჩარების უფლებების შეზღუდვას, ამის გამო იანიჩარები შეიკრიბნენ მეჰმედ ფადიშის მეჩეთის წინ და მურად IV-ს (1623-1640) მოსთხოვეს გურჯი მეჰმედ ფაშას სიკვდილით დასჯა.

ოსმალეთის იმპერიაში მოღვაწე ქართველების სია გურჯი მეჰმედით არ შემოიფარგლება. ოსმალეთის იმპერიის დიდი ვეზირი ჰაირედინ ფაშა, აფხაზეთიდან იყო, სოხუმში დაბადებული. როგორც წყაროებიდან ირკვევა, ერთ-ერთი შეტაკების დროს ის ტყვედ ჩაუვარდა რუსებს. ამ უკანასკნელებმა გაყიდეს და ამგვარად, ის აღმოჩნდა ჯერ თუნისში, ხოლო შემდეგ კი სტამბოლში დიდი ვეზირის თანამდებობაზე 1878-1879 წლებში. სამხედრო განათლების მისაღებად გააგზავნეს საფრანგეთში. როდესაც ევროპაში მოღვაწეობდა, მან გააანალიზა, რა განსხვავებები იყო ევროპის სახელმწიფოებსა და მუსლიმურ ქვეყნებს შორის. ის კარგად ხედავდა იმ გარდაქმნების აუცილებლობას, რომლებიც საჭირო იყო ოსმალეთის იმპერიაში. პირველ რიგში გულისხმობდა კანონის შეცვლას მიწათმფლობელობის შესახებ. ეს ყველაფერი კარგად ასახა თავის ნაწარმოებში „Réformes nécessaires aux États musulmans''- „მუსლიმური სახელმწიფოების საჭირო რეფორმები''. მისი საქმიანობისა და შეხედულებების ლოგიკური გაგრძელება იყო თანზიმათის რეფორმებში მონაწილეობა, რაც მიზნად ისახავდა ძირეულ გარდაქმნებს ოსმალეთის იმპერიაში. მის სახელთან არის დაკავშირებული სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, როგორიცაა – პირველი ნაციონალური ბიბლიოთეკისა

და კოლეჯის გახსნა სადიქიაში 1875 წელს. მისი შემდგომი მოღვაწეობის და ცხოვრების შესახებ ცნობები ძალზედ მწირია, უცნობია მისი გარდაცვალების თარიღიც. არსებული ცნობების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ჰაირედინ ფაშა საკმაოდ წონადი ფიგურა იყო XIX საუკუნის 70-იან წლების ოსმალეთის იმპერიაში.

ოსმალეთის იმპერიაში მოღვაწე ქართველებიდან ასევე აღსანიშნავია იუსუფ ფაშა (აღა), რომელიც წარმოშობით ქართველია. მისი მოღვაწეობა დაკავშირებულია ოსმალეთის სამხედრო ისტორიასთან. ოსმალეთის იმპერიის სახელით მან თავი გამოიჩინა არაერთ ბრძოლაში. მსახურობდა იანიჩართა კორპუსში და შემდგომში ჩორბაჯისა და ჰასეკის თანამდებობამდე ამაღლდა. 1707 წელს იანიჩართა კორპუსიდან წავიდა და პენსიაზე გავიდა, თუმცა მალევე დააბრუნეს და მონაწილეობა მიიღო პრუტის ლაშქრობაში, სადაც შეძლო თავის გამოჩენა. 1711 წლიდან იუსუფი ხდება დიდვეზირი, თუმცა უნდა ითქვას, რომ მისი დაწინაურება უკავშირდება სასახლის ინტრიგებს. 1712 სულთანმა უსამართლოდ გადააყენა და გადაასახლა კუნძულ როდოსზე. ორი წლის შემდეგ 1714 იგი სიკვდილით დასაჯეს. მას იანიჩართა კორპუსის გარდა არსად არ უმსახურია. იგი პოპულარული იყო მთელ იმპერიაში, ამიტომაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ იუსუფ ფაშა XVIII საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება იყო ოსმალეთის იმპერიაში.

ასევე მოღვაწეობდნენ: ქუჩუკ ჰუსეინ ფაშა XVIII-XIX საუკუნეებში, რომელიც მეთაურობდა თურქულ ფლოტს ნაპოლეონის წინააღმდეგ, ეგვიპტეში. აჰმედ ფაშა XIX საუკუნის დასაწყისში, რომელიც იყო ოსმალეთის დიდვეზირი და მონაწილეობდა სხვადასხვა ლაშქრობებში ბალკანეთის ნ.კ.. რეშიდ მეჰმედ ფაშა XIX საუკუნეებში მოღვაწეობდა და მონაწილეობდა თურქულ-ირანულ ომებში. ამრიგად, ქართველები თამაშობდნენ დიდ როლს ოსმალეთის იმპერიაში, სხვადასხვა დროსა და პერიოდში.

ქართველებმა საკუთარი კვალი დატოვეს ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე ქართული სოფლებიდან იძულების წესითა და ოსმალური მხარდაჭერით ყოველდღიური ზიანი ადგებოდა ქართულ ეთნოსს, მონებად გაყიდული ქართველები დიდ წარმატებას აღწევდნენ და წამყვან თანამდებობებს იკავებდნენ ამ სახელმწიფოში.

ირანში შექმნილი კაზაკთა გვარდია და მისი როლი რუსულ-ირანულ ურთიერთობებში

ირანელი კაზაკები

XIX საუკუნეში ირანს ყაჯართა დინასტია განაგებდა. სწორედ მათ სახელს უკავშირდება ირანში რეგულარული არმიის ჩამოყალიბება. თურქეთთან ომში (1821-23) წლებში არმიამ წარმატებასაც მიაღწია. არმიის სიძლიერით მოხიბლულმა აბას-მირზამ (აზერბაიჯანის ბეგლარბეგი). მანვე გაზარდა არმიის ბიუჯეტი.

რუსეთ-ირანის ომში (1826-1828) განცდილი კრახი არმიის რეფორმირების მიზეზი გახდა. 1851 წელს მირზა თაღი-ხანის ინიციატივით იქმნება სამხედრო აკადემია. აკადემიის მთავარი მიზანი ოფიცერთა კორპუსის შექმნა იყო. 1856 წელს ახალმა არმიამ საბრძოლო ნათლობა ავღანეთში მიიღო. ავღანური კამპანია წარუმატებელი აღმოჩნდა. 20 000 კაციანმა არმიამ საკმაოდ სუსტად წარმოაჩინა თავი. სამეფო კარი უკმაყოფილო იყო არმიის სისუსტით. ერთადერთ ხსნად არმიის ევროპულ მოდელზე რეფორმირება იყო. ამისთვის საკმაოდ დიდი თანხა გამოიყო, აშენდა 6 სასწავლო ცენტრი, მოეწყო არსენალი და იარაღის საამქრო. ირანის არმიის გაწვრთვნა ევროპელებს უნდა აეღოთ თავზე. ამ მიზნით იგზავნება 3 ფრანგული, 1 ავსტრიული და 1 იტალიური სამხედრო მისია. მიუხედავად ამისა, არმიის ევროპული მოდელით განვითარების გეგმამ სრული კრახი

განიცადა. ევროპელი ინსტრუქტორები უკმაყოფილონი იყვნენ ჩინოვნიკებისა და არმიის დაბალი მოტივაციით. ფრანგი ინსტრუქტორები აღნიშნავდნენ, რომ სამეფო კარისთვის არმიას მხოლოდ სააღლუმე დანიშნულება ჰქონდა. არმიის რიგებში ბევრ ჯარისკაცს ფეხსაცმელიც კი არ ჰქონდა. რუსი აგენტი, გენერალი ფრანკინი თავის წერილებში წერს: „ექვსი სასწავლო ცენტრიდან მხოლოდ ერთ მუშაობს, თეირანის სამხედრო ნაწილი მხოლოდ რამდენიმე თვით ფუნქციონირებს. არმია კორუფციაშია ჩაფლული, ეს ეხება ყველა რგოლს. ოფიცრები წოდებებს ყიდიან. რიგითებს საკვებისა და ტანსაცმლის პრობლემებიც კი აქვთ. “.

რუსული სამხედრო მისიის შექმნის შესახებ ორი ვერსია არსებობს. პირველი და ყველაზე გავრცელებული: ევროპაში მიმავალმა ნასერ ედ-დინ შაჰმა ერევანში შენიშნა კაზაკთა კოლონა და მათი ფორმით მოიხიბლა. ამის შემდეგ გადაწყდა, რომ ირანის სახმელეთო ძალების რეფორმირება რუსი ოფიცრებისთვის ჩაებარებინათ. მეორე ვერსიის მიხედვით ნასე ედ-დინ შაჰმა გენერალ ფრანკინს სთხოვა არმიის საბრძოლო მზადყოფნის შემოწმება. გენერალმა ფრანკინმა საგანგაშო დასკვნა გაამზადა, რომლის მიხედვითაც ირანის არმიის 100 000 კაციანი დაჯგუფება მხოლოდ ფურცელზე არსებობდა და სამხედრო ბიუჯეტის დიდი ნაწილი ჩინოვნიკების ჯიბეებში მიდიოდა. ამ დასკვნის შედეგად გადაწყდა არმიის რეფორმირება რუსი ოფიცრებისთვის ჩაებარებინათ. ინგლისისთვის ეს ფაქტი საკმაოდ მოულოდნელი გამოდგა. ინგლისელი ოფიცრები შაჰს გადაწყვეტილების შეცვლას სთხოვდნენ, თუმცა ამაოდ. რუსეთის სამეფო კარისთვის ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. რუსეთი აანალიზებდა ინგლისისგან მომავალ საფრთხეს. საჭიროების შემთხვევაში, სწორედ ირანი უნდა გამხდარიყო მომავალი პლაცდარმი ინდოეთში შეჭრისთვის. რუსეთი ეკონომიკური გავლენის ქვეშ მოაქცევდა ირანს და ირანის ეკონომიკა მთლიანად რუსულ ექსპორტზე იქნებოდა დამოკიდებული. უნდა გავითვალისწინოთ თურქეთის ფატორიც. რუსეთი პოტენციურ მოკავშირეს იძენდა ირანის სახით და მისი ტერიტორიიდან შესაძლებელი იქნებოდა თურქეთის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის წარმოება. ამ ფაქტების გათვალისწინებით რუსეთი სიხარულით აგზავნის სამხედრო მისიას ირანში. კაზაკთა ბრიგადას რუსი ოფიცრები მათავდნენ, ხოლო პირადი შემადგენლობა ადგილობრივი მოსახლეობით დაკომპლექტდა. აგრეთვე, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ რუსული სამხედრო მისია სხვა უცხოური მისიებისგან განსხვავებით პრივილიგებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კაზაკთა გვარდიას საკმაოდ დიდი ბიუჯეტი გააჩნდა (წელიწადში 125 000 თუმანი) . გარდა ამისა, რუს ოფიცრებს დამოუკიდებლად მოქმედება შეეძლოთ. მისიის პირველი ნაკადი 1879 წელს გაიგზავნა. მისიას პოლკოვნიკი დომანტოვიჩი მეთაურობდა, იგი 2 წლიანი ვადით იყო განსაზღვრული, თუმცა შაჰი იმდენად მოიხიბლა რუსი ოფიცრების საქმიანობით, რომ მისია გაგრძელდა. 1894 წელს კაზაკთა ბრიგადა დაშლის პირას აღმოჩნდა, მიზეზი კი მასშტაბური დეზერტირობა იყო. ბრიგადის შემადგენლობა 600 კაციდან 150 კაცამდე ჩამოვიდა. რუსეთმა სიტუაციის გამოსაწორებლად პოლკოვნიკი კოსოვსკი გაგზავნა. ვითარება იმდენად რთული იყო, რომ შაჰმა ბრიგადისადმი ინტერესი დაკარგა, პროინგლისური ჩინოვნიკები კი ბრიგადის დაშლას ითხოვდნენ. ამის მიუხედავად, კოსოვსკიმ სიტუაცია გამოასწორა და ბრიგადის ავტორიტეტი სერიოზულად გაზარდა. ბრიგადის როლი განსაკუთრებით მოზაფარედინ შაჰის (1896-1907) დროს გაიზარდა. სწორედ მის დროს შეითავსა ბრიგადამ ელიტარული რაზმის

როლი. ბრიგადა იცავდა შაჰს, თეირანს და ირანში განთავსებულ რუსულ სტრატეგიულ ობიექტებს. კაზაკთა ბრიგადის სახით რუსეთის იმპერიამ ირანის ტერიტორიაზე დიდი სადაზვერვო ქსელი შექმნა. ბრიგადა ხშირად გადაადგილდებოდა სხვადასხვა პროვინციებში და აქტიურად ზვერავდა ავღანეთისა და თურქეთის საზღვარს.

XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში რევოლუციების ბუმი აღინიშნებოდა. რევოლუციების მიზეზი ავტორიტარული რეჟიმების განადგურებისა და ლიბერალური რეფორმების გატარების აუცილებლობით აიხსნება. ირანში მოხდარი კონსტიტუციური რევოლუციაც არ წარმოადგნეს გამონაკლისს.

რუსეთისა და ინგლისის გავლენის ქვეშ მოქცეულ ირანში ეკონომიკური კრიზისი დაიწყო. ყაჯართა დინასტიის გაუაზრებელმა ქმედებებმა ქვეყანა მძიმე დღეში ჩააგდო. ამას ემატება რუსეთის პირველი რევოლუცია (1905-1907). სწორედ ამ რევოლუციით მოიხიბლა ირანის მოსახლეობა და შაჰისგან რეფორმებს ითხოვდნენ. უნდა შექმნილიყო საკანონმდებლო ორგანო (მეჯლისი), გარდა ამისა შაჰს უნდა დაეთმო თავისი ძალაუფლების დიდი ნაწილი. ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებმა კაზაკთა ბრიგადაზეც დიდი გავლენა მოახდინა. მნიშვნელოვნად შემცირდა ბრიგადის დაფინანსება. კაზაკთა ბრიგადას საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. სამთავრობო წრის ნაწილი კაზაკთა ბრიგადის დაშლასა და მის არმიაში გაერთიანებას მოითხოვდა. თავის მხრივ, მოჰამედ ალი-შაჰი (1907-1909) სწორედ კაზაკთა ბრიგადაში ხედავდა ერთადერთ საყრდენს. ამის მიუხედავად, შაჰი მაინც წავიდა დათმობებზე და ბრიგადა ფორმალურად თავდაცვის მინისტრს დაუქვემდებარა. რეალურად ბრიგადა მაინც შაჰს ემორჩილებოდა. 1908 წლის 23 ივნისს შაჰის ბრძანებით კონსტიტუციური მოძრაობა ჩაახშვეს. პოლკოვნიკ ლიახოვის მეთაურობით ბრიგადამ მეჯლისზე შტურმი განახორციელა. ბრძოლების შედეგად 3 რუსი კაზაკი და 20 ირანელი მეომარი დაიღუპა, კონსტიტუციური მოძრაობის დანაკარგებმა 60 კაცი შეადგინა. მეჯლისზე განხორციელებულმა შტურმმა იხსნა შაჰის რეჟიმი. მეჯლისზე მიტანილი შტურმი გადამწყვეტი აღმოჩნდა რევოლუციური მოძრაობისთვის. რევოლუციური მოძრაობა უფრო გაძლიერდა და 1908 წლის შემოდგომას თავრიზში შეიარაღებული გამოსვლები დაიწყო. აღსანიშნავია ისიც, რომ რევოლუციურ მოძრაობას აქტიურად ეხმარებოდნენ ბოლშევიკებიც. ისინი კაზაკთა ბრიგადის და რუსეთის იმპერიის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდნენ. ამბოხებულებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. 1909 წელს რევოლუციონერები თეირანში შევიდნენ, შაჰი გაიქცა. ამ წარმატების მიუხედავად რევოლუციონერებმა არ დაშალეს კაზაკთა ბრიგადა. მათი აზრით, ეს ერთადერთი სამხედრო შენაერთი იყო, რომელსაც ქვეყანაში წესრიგის დაცვა შეეძლო. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსულ-ინგლისურ ურთიერთობებს შორის. რუსეთი და ინგლისი ირანში არსებულ გერმანულ-თურქული გავლენის წინააღმდეგ გაერთიანდა. ირანმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მიუხედავად ამისა, ირანში მკვეთრად გაიზარდა პროგერმანული ძალების რაოდენობა. გერმანელები ცდილობდნენ ბრიგადის რიგებში საპროტესტო მუხტი შეექმნათ. გერმანული მხარისგან დაფინანსებული ირანელი ნაციონალისტები დივიზიის წინააღმდეგ აქტიურად აწყობდნენ დივერსიებს. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ ბრიგადის მდგომარეობა ბევრად გაართულა. რუსეთი ვეღარ ახებდა ბრიგადის მართვას. ამას ემატებოდა გერმანული გავლენის ზრდა ირანში. ინგლისს ძალიან აშინებდა ბრიგადის

მდგომარეობა და იმავე წელს ბრიგადის მართვის სადავეები ინგლისმა აიღო. ინგლისური არმია შევიდა ჩრდილოეთ ირანში, რომელიც რუსეთის გავლენის სფეროდ მიიჩნეოდა. რუსეთის ოქტომბრის რევოლუციამ და კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობამ კაზაკთა გვარდიას ყველანაირი დაფინანსება მოუსპო. კაზაკთა გვარდია მთლიანად ინგლისელთა გავლენის ქვეშ აღმოჩნდა.

პოლკოვნიკი კოსოვსკი თეირანში

მსურს აღვნიშნო, რომ კაზაკთა ბრიგადამ დიდი როლი შეიტანა რუსულ-ირანულ ურთიერთობებში. ბრიგადამ 30 წელზე მეტ ხანს იარსება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს მხოლოდ სამხედრო შენაერთი არ იყო. ბრიგადამ დიდი წვლილი შეიტანა ირანში არსებული რუსული აგენტურული ქსელის გაძლიერებასა და გაფართოებაში. რუსეთის ხელში არსებული ბრიგადა არ იყო ორიენტირებული ირანის თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების გაძლიერებაზე. ბრიგადის მთავარ მიზანს, შაჰის მართვა წარმოადგენდა. ბრიგადა კი შაჰზე მოქმედების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტადაც იყო ქცეული.

მუჰამად ალის საგანმანათლებლო რეფორმა და ეგვიპტის ევროპეიზაციის საკითხი XIX საუკუნის პირველ ნახევარში

მუჰამად ალი

XIX საუკუნის პირველი ნახევარი აღინიშნა მნიშვნელოვანი ცვლილებებით დიდი არაბული ქვეყნის - ეგვიპტის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამ ცვლილების ორგანიზატორი იყო ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე და რეფორმატორი მუჰამად ალი.

მუჰამად ალი დაიბადა 1769 წელს, კავალიში (დღევანდელი საბერძნეთი). 1805 წელს ის გახდა ეგვიპტის მმართველი. მისმა პოლიტიკურმა და დიპლომატიურმა ნიჭმა შესაძლებლობა მისცა არა მარტო ხელისუფლების მწვერვალზე ასულიყო, არამედ გამხდარიყო დიდი რეფორმატორი და დაეარსებინა საკუთარი დინასტია, რომელიც ეგვიპტეს მართავდა დაახლოებით 150 წელი.

მისი მმართველობის (1805-1848) პერიოდთან არის დაკავშირებული ეგვიპტის განახლების ეპოქა, რომელიც მთელი XIX საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა. რეფორმები შეეხო სხვადასხვა სფეროს: განათლებას, მეურნეობას, ეკონომიკას, ვაჭრობასა და სამხედრო საქმეს. მუჰამად ალის ძირითადი მიზანი იყო ეგვიპტის ევროპეიზაცია, რომელზეც ყველაზე დიდი გავლენა იქონია ქვეყნის განათლების სისტემის პროგრესულმა ცვლილებებმა. მან განათლების რეფორმების განხორციელებისას გამოიყენა ორი ძირითადი მეთოდი: სტუდენტების გაგზავნა ევროპაში და სპეციალური სკოლების დაარსება ეგვიპტეში.

მუჰამად ალის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკური ძალების ორგანიზება. პირველ რიგში, ცდილობდა ძლიერი არმიისა და ფლოტის შექმნას, ამისთვის საჭირო იყო სპეციალისტები,

განათლებული მეთაურები, სამოქალაქო ინჟინრები და ექიმები. ვინაიდან ეგვიპტელების ცოდნა და გამოცდილება არ შეესაბამებოდა საჭირო სტანდარტებს, იძულებული გახდა ევროპიდან მოეწვია ექსპერტები. ამით მას ეძლეოდა საშუალება, რომ სპეციალისტები გამოეყენებინა როგორც ძალაუფლების გასაძლიერებლად, ასევე ეროვნული კადრების გაწრთვნისთვის.

მუჰამად ალიმ ახალგაზრდა სტუდენტთა მცირე ნაწილი გაგზავნა ევროპის ქვეყნებში, იტალიაში, საფრანგეთსა და ინგლისში. 1809 წელს სტუდენტთა ნაკადი გააგზავნა იტალიის ქალაქებში (ლივორნო, მილანი, ფლორენცია და რომი), რათა შეესწავლათ სამხედრო ხელოვნება, გემთმშენებლობა, ბეჭდვითი საქმე და ინჟინერია. მოგვიანებით ასეთივე ჯგუფები გაიგზავნა საფრანგეთში, რომელთაგან ყველაზე ცნობილი იყო 1826 წლის მისია.

1826 წლის 3 აპრილს საფრანგეთში გაგზავნილ 44 ახალგაზრდას შორის 3 ქართველიც იყო, რომლებიც ეგვიპტეში მოხვდნენ მონათვაჭრობის შედეგად. ესენი იყვნენ: მუჰამად თეიმურ ეფენდი ალ-ქურჯი, სალიმ ეფენდი ალ-ქურჯი და ალი ეფენდი ალ-ქურჯი. ეს უკანასკნელი, რომელიც საფრანგეთში სწავლობდა სამხედრო ინჟინერიას, 1831 წელს საფრანგეთიდან ეგვიპტეში ბრუნდებოდა, გზად სტამბოლში რუსეთის საელჩოს მიმართა და სთხოვა სამშობლოში დაბრუნება. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი აღიდგინა ქართული სახელი - იოსებ წილოსანი და დაიბრუნა ქრისტიანული რელიგია. სამწუხაროდ, სელიმ ეფენდიმ და სხვა გატაცებულებმა ვერ მოახერხეს სამშობლოში დაბრუნება.

1826 წელსვე 15 ახალგაზრდა გაიგზავნა ინგლისსა და ავსტრიაში ტექნიკური მეცნიერებებისა და ზღვაოსნობის შესასწავლად. საბოლოოდ, 1813 წლიდან 1848 წლამდე საზღვარგარეთ განათლება მიიღო 339-მა, ხოლო 1882 წლისათვის - 1000-ზე მეტმა ადამიანმა. ამასთან, ნახევარზე მეტი სწავლობდა საფრანგეთში, 16% - ინგლისში, 23% - ევროპის სხვა ქვეყნებში. მუჰამად ალი თავად აკონტროლებდა ევროპაში სასწავლო მისიით სტუდენტთა ჯგუფების გაგზავნას და ამ პროცესში ჩართული იყვნენ ალ-აზჰარის შეიხებიც. საზღვარგარეთ სასწავლო კურსის გავლის შემდეგ მრავალმა ახალგაზრდამ მიიღო სამუშაო ადგილი ეგვიპტის ადმინისტრაციულ აპარატში, დიპლომატიურ კორპუსში, არმიაში, ფლოტში, სოფლის მეურნეობაში და სხვ. ამ სტუდენტებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ეგვიპტის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე. მუჰამად ალი ყველაზე მეტად დაინტერესებული იყო მოწვეული უცხოელები ჩაენაცვლებინა ეგვიპტელებით, რაც წარმატებით განახორციელა, და ეგვიპტის ეროვნული განათლების ცენტრების შექმნით.

სასკოლო რეფორმებისკენ მისი პირველი ნაბიჯი, ბუნებრივია, გულისხმობდა ისლამური იდეოლოგიის შესუსტებასა და რელიგიურ ჭრილში განათლების მიღებას. 1816 წელს გაიხსნა სკოლა კაიროს ციტადელში, სადაც ასწავლიდნენ არითმეტიკას, გეომეტრიას, ტრიგონომეტრიის საფუძვლებსა და სხვ... მეორე სკოლას, რომელიც კაიროს ციტადელში მდებარეობდა, დარ ალ-ჰანდასა ერქვა. ამ სკოლაში სწავლობდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. იგი ფუნქციონირებდა 1820-1824 წლებში, თუმცა მას ეგვიპტის საგანმანათლებლო სისტემაში შესამჩნევი კვალი არ დაუტოვებია. რაც შეეხება მესამე სკოლის დაარსებას კაიროს ციტადელში, სწორედ აქ გამოჩნდა მუჰამად ალის რეალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ეგვიპტური სკოლების ევროპეიზაციას.

1819 წელს დაარსდა საინჟინრო სკოლა. 1834 წელს კიდევ ერთი საინჟინრო სკოლა დაარსდა ბულაკში, რომელიც ყველაზე პოპულარული გახდა ეგვიპტეში. 1827 წელს დაარსდა პირველი სამედიცინო სკოლა, რომელიც მდებარეობდა საავადმყოფოსთან, სადაც სტუდენტებს პრაქტიკის გავლა შეეძლოთ. 1829 წელს გაიხსნა პირველი ფარმაცევტული სკოლა, თუმცა 1832 წელს ის სამედიცინო სკოლასთან გაერთიანდა. 1837 წელს დაარსდა პედაგოგიური სკოლა, აღსანიშნავია, რომ პირველად აქ დაიწყეს გოგონებმა სწავლა. ერთი წლით ადრე, 1836 წელს დაარსდა უცხო ენების სკოლა, რომელშიც 1842 წელს ჩამოყალიბდა მთარგმნელთა სკოლაც, ასევე, დაარსდა სხვა მნისვნელოვანი სკოლებიც. მათ შორის უნდა აღინიშნოს სამხედრო სკოლა, რომელიც დაარსდა 1825 წელს, 1829 წელს დაარსდა გამოყენებითი ქიმიის სკოლა, 1831 წელს - საზღვაო საარტილერიო სკოლა, 1834 წელს - გეოლოგიური და აგრონომიული სკოლები, 1836 წელს - მცირე სამეანო სკოლა და სხვა სასწავლებლები. მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობდა განათლების ევროპული სისტემის პოპულარიზაციას, იყო მოწაფეების უზრუნველყოფა საცხოვრებლით, კვებით, ჩაცმა-დახურვით და ზოგჯერ მცირე სტიპენდიითაც. ამრიგად, მუჰამად ალიმ ეგვიპტეში შექმნა 16 პროფესიული და ზოგადი განათლების სკოლა.

1835 წელს, ფაქტობრივად, დასრულდა პროგრესული კურსის ფორმირების პერიოდი. 1836 წლის დასაწყისში მუჰამად ალიმ გამოსცა ბრძანება სახელმწიფოს საბჭოს შექმნის შესახებ. სახელმწიფოს საბჭოს მისია იყო შეემუშავებინა სკოლების მოწესრიგების საკითხის პროექტი. ამ პროექტის თანახმად სასწავლებლები იყოფოდა სამ კატეგორიად: დაწყებით, მოსამზადებელ და სპეციალურ სკოლებად. 1837 წლიდან განათლების საქმეს ეგვიპტეში განაგებდა სპეციალური დეპარტამენტი ,,დივან ალ-მადარის“, რომელიც მთლიანად გამოეყო ,,დივან ალ-ჯიჰადიას“. დივან ალ-მადარისი თავდაპირველად ხელმძღვანელობდა სკოლების მშენებლობას და ყოველკვირეული არაბული გაზეთის გამოშვებას. ამავე წლის თებერვალში შეიქმნა განათლების სამინისტრო, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა მუხთარ ბეი. მან რამდენიმე თვეში გამოაქვეყნა პროგრამა განათლების სისტემის რესტრუქტურიზაციისთვის. რის შედეგადაც სამინისტრომ დაიწყო სკოლების გახსნა ან დახურვა, მიიღო გადაწყვეტილებები შესწავლილი საგნების შესახებ, განსაზღვრა ტერმინები, სწავლება და, აგრეთვე, გაანაწილა კურსდამთავრებულები სამუშაოს მისაღებად.

რაც შეეხება ეგვიპტის ევროპეიზაციის პროცესს, უნდა ითქვას, რომ იგი განაპირობა როგორც ზემოთქმულმა ცვლილებებმა, ისე სხვა ფაქტორებმაც, კერძოდ, ამ პერიოდში დაიხურა არაერთი პერიფერიული თეოლოგიური ინსტიტუტი და, ფაქტობრივად, ალ-აზჰარის უნივერსიტეტმა იტვირთა მთელ ქვეყანაში ისლამური უმაღლესი სასწავლებლის ფუნქცია. ამასთანავე, ბრიტანული ლანკასტერის სკოლიდან გადმოღებულმა სწავლების მეთოდმა მკვეთრად შეამცირა ისლამური უმაღლესი განათლების ხარისხი, რამაც დიდი გავლენა იქონია რელიგიური იდეოლოგიის დასავლური ღირებულებებით ჩანაცვლებაში. ნებისმიერი საკითხი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა დასავლურ ლიბერალურ ღირებულებათა სისტემას, დაექვემდებარა კორექტირებას. ეს კი იყო ერთ-ერთი ნაბიჯი ეგვიპტის ევროპეიზაციის პროცესში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეგვიპტელი სტუდენტები, რომლებიც ევროპაში

იღებდნენ განათლებას, მოექცნენ ვოლტერისა და სხვა ევროპელი განმანათლებლების იდეოლოგიის ქვეშ. მაგალითისთვის, რიფაა ატ-ტაჰტავი იყო ერთ-ერთი პირველი ევროპაში გაგზავნილი სტუდენტთაგანი, რომელიც გახდა ,,გასაღები“ ეგვიპტური სკოლის მოდერნიზაციის პროცესში. იგი არა მარტო მოექცა ფრანგული ემპირიული მეცნიერებების გავლენის ქვეშ, არამედ ცდილობდა გაევრცელებინა დასავლური ფილოსოფიური და თეოლოგიური ტექსტები ეგვიპტეში.

ულემების (მუსლიმი სწავლულები, ღვთისმეტყველები) ნაწილი აღშფოთებული იყო ისლამური კულტურისა და პრიორიტეტების ტოტალური უგულებელყოფით. ეგვიპტელები ხშირად აპროტესტებდნენ ამ ინტელექტუალურ კოლონიზაციას, რადგანაც იგი ფრანგული ოკუპაციის მძიმე გამოცდილებასთან ასოცირდებოდა და თავიანთი შვილები არ შეჰყავდათ ახლად გახსნილ საერო სასწავლებლებში. მუჰამად ალი ყოველთვის დიდ პატივისცემას გამოხატავდა ტრადიციული ისლამური ფასეულობების მიმართ, თუმცა უარყო ეს პროტესტი და ალ-აზჰარი მოაქცია მისი კონტროლის ქვეშ, შედეგად, ისლამური უმაღლესი განათლება კონცენტრირდა ეგვიპტური საზოგადოების ევროპეიზაციის გამართლებაზე.

საგულისხმოა ისიც, რომ ევროპაში გაგზავნილი სტუდენტები მოუმზადებელნი აღმოჩდნენ ევროპული ღირებულებების სათანადოდ აღქმისთვის. მათი დიდი ნაწილი იმდენად მოექცა ვესტერნიზაციის გავლენის ქვეშ, რომ უარსაც კი ამბობდნენ ეროვნულ ტრადიციებზე. ეგვიპტის მცხოვრებთა ყოფით კულტურაშიც ბევრი რამ შეიცვალა: პოპულარული გახდა ევროპული სამოსი, ეტიკეტი, მანერები და ა.შ. თუმცა განათლებული მუსლიმები თავს ევროპელებზე მაღლა თვლიდნენ რელიგიური თვალსაზრისით და ევროპული ცივილიზაციის წარმატებას მხოლოდ მატერიალურ სფეროში, სამხედრო საქმესა და პოლიტიკაში აღიარებდნენ.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მუჰამად ალიმ ეგვიპტეში დანერგა საერო განათლების დასავლური მოდელი (ფრანგული, იტალიური, ბრიტანული), რითაც ეგვიპტე დააყენა ოსმალეთის იმპერიის პროვინციათაგან პირველ ადგილზე, სადაც შეიქმნა დასავლური და აღმოსავლური კულტურების შერწყმის წინაპირობები. შესაბამისად, მუჰამად ალის ძირეულმა რეფორმებმა, განსაკუთრებით კი, განათლების საქმეში განხორციელებულმა გარდაქმნებმა (ახალგაზრდების გაგზავნა ევროპაში და სპეციალური სკოლების დაარსება ეგვიპტეში), განაპირობა ეგვიპტის ევროპეიზაცია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით მუჰამად ალი ისტორიაში შევიდა ,,თანამედროვე ეგვიპტის მამის“ სახელით.

„ანგორის მთავრობის“[17] ქმედებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის შეირაღებული ძალების მიერ მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია. ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, საქართველო შეიყვანეს საბჭოთა კავშირში, რომელმაც იარსება 70 წელი. ამ 70 წლის განმავლობაში არა მარტო წერა, არამედ საუბარიც კი აკრძალული იყო დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, შედეგად შეიქმნა დიდი ვაკუუმი. 1991 წელს „ბოროტების იმპერიის“ დაშლის შემდეგ გაიხსნა არქივები და ისტორიკოსებმა თამამად დაიწყეს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველი ასპექტის კვლევა. მას შემდეგ 30 წელი გავიდა, თუმცა მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ასეთი დიდი და მრავალმხრივი საკითხის ამოწურვა 30 წელში შეუძლებელია და კვლევა-ძიების გაგრძელება აუცილებელი გახლავთ. რაც შეეხება ჩვენს ნაშრომს, იგი უკავშირდება „ანგორის მთავრობის“ (ქემალისტების) ქმედებებს, რომლებიც ხორციელდებოდა 1919-21 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს ოსმალეთის აგრესიულ, დაპყრობით გეგმებში ყოველთვის საგანგებო ადგილი ეკავა, რასაც თვალნათლივ მოწმობს ამ ორ სახელმწიფოს შორის საკმაოდ დაძაბული და სისხლისმღვრელი ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ისტორია. მოგეხსენებათ, რომ თურქეთი გახლავთ ოსმალეთის იმპერიის სამართალმემკვიდრე. ოსმალეთი კი მუდამ იმის მცდელობაში იყო, რომ საქართველო, კერძოდ კი მისი თვალწარმტაცი რეგიონები - აჭარა, აფხაზეთი, და მესხეთი (ახალციხე-ახალქალაქი) თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. ოსმალეთისათვის, გეოპოლიტიკური ნიშნით, განსაკუთრებით მიმზიდველი იყო აჭარა - ევროპიდან სპარსეთისკენ მიმავალი გზა, ორ კონტინენტს შორის დამაკავშირებელი ეს ერთ-ერთი უმთავრესი ხიდი და ამიტომაც იყო, რომ ოსმალეთი ვერაფრით ეგუებოდა და ვერ ურიგდებოდა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის დასრულების შემდეგ მისთვის მიუღებელ, უაღრესად უარყოფით შედეგს. ამ ომის შედეგად ოსმალეთმა დაკარგა აჭარა, საქართველომ კი დაიბრუნა თავისი ძირძველი ტერიტორია. ოსმალეთის იმპერია კარგად ხვდებოდა, რომ რუსეთის იმპერიის მარწუხებში მოქცეული საქართველოს დაპატრონება მისთვის მიუწვდომელ ნატვრას წარმოადგენდა, თუ რაიმე გლობალური მოვლენა არ მოხდებოდა. ამგვარი შანსი ოსმალეთს გაუჩნდა XX საუკუნის ათიან წლებში, როდესაც მთელი მსოფლიო დადგა დიდი საომარი მოქმედებების წინაშე. პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ პლანეტაზე შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ ოსმალეთი, ძალაუნებურად, დაუკავშირა კაიზერის გერმანიას, რომელმაც თავად შესთავაზა მოკავშირეობა ოსმალეთს. რუსეთი კი მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩნდა, რა თქმა უნდა, პირველი მსოფლიო იმის პერიპეტიებზე შეჩერება

[17] ანგორა - თურქეთის დედაქალაქ ანკარის ისტორიული სახელწოდება. 1920 წლის 23 აპრილს ანგორაში დიდი ნაციონალური კრება შედგა, სადაც მუსტაფა ქემალის ხელმძღვანელობით ეროვნული მთავრობა შეიქმნა. 1923 წლის 13 ოქტომბერს, ანკარა ოფიციალურად თურქეთის დედაქალაქი გახდა.

შორს წაგვიყვანს და გადავიდეთ ძირითად საკითხზე.

პირველი მსოფლიო ომი ოსმალთა იმპერიისთვის სრული მარცხით დასრულდა. 1918 წლის 27 ოქტომბერს, სირია-პალესტინის ფრონტზე შექმნილი კრიტიკული

მდგომარეობიდან გამომდინარე, ოსმალთა იმპერია წყვეტს საომარ მოქმედებებს და ითხოვს ზავს. აქვე დავძენთ, რომ ამ დროისთვის რუსეთში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა, ხოლო საქართველო უკვე წარმოადგენდა სუვერენულ სახელმწიფოს, მეტიც, 1918 წლის 3 ივნისს ოსმალეთმა იგი დე-იურედაც ცნო. 1918 წლის 30 ოქტომბერს დაიდო მუდროსის ზავი, შედეგად შეწყდა საომარი მოქმედებები ოსმალთა იმპერიასა და ანტანტას შორის.[18] მუდროსის ზავმა უმძიმეს პირობებში ჩააყენა თურქული სახელმწიფო. იურიდიულად და შინაარსობრივად ეს იყო უსიტყვო კაპიტულაციის აქტი - ოსმალთა იმპერიის დასასრულის დასაწყისი. ამ აქტით წერტილი უნდა დასმოდა „ერთიანობისა და პროგრესის პარტიის“ „ახალგაზრდა თურქთა“ მართველობასა და ოტომანთა იმპერიის მრავალსაუკუნოვან ისტორიას. ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მთელი ამიერკავკასია დიდი ბრიტანეთის ერთპიროვნული გავლენის ზონად გამოცხადდა და ბრიტანული ჯარების სარდლობაც რეგიონის მართვის შესაბამისი მანდატით აღიჭურვა. მანდატის თანახმად, ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქში ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარები უნდა შესულიყვნენ.

ამ დროს პოლიტიკურ არენაზე გამოდის ოსმალთა არმიის ახალგაზრდა გენერალი, მე-7 არმიის სარდალი, გალიპოლის ბრძოლების გმირი, 38 წლის ქემალ ფაშა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა თურქი ხალხის კონსოლიდაციასა და თურქეთის, როგორც სახელმწიფოს გადარჩენაში.

ერზრუმის კონგრესი

1919 წლის 7 აგვისტოს ერზრუმის ყრილობაზე თურქი ნაციონალისტების ინიციატივით აღმასრულებელი კომიტეტი აირჩიეს. 1919 წლის 12 სექტემბერს ანტანტის წარმომადგენელთა მოთხოვნით, კონსტანტინოპოლსა და ანატოლიას შორის ურთიერთობა შეწყდა, ხოლო ინგლისის ხელისუფლებამ სულთნის მთავრობას საიდუმლო ხელშეკრულებაზე მოაწერინა ხელი, რომლითაც ხდებოდა კონსტანტიპოლის ფაქტობრივი ოკუპაცია. 1920 წლის 16 მარტს ანტანტის ჯარმა კონსტანტინოპოლი დაიკავა, რის გამოც ქემალ ფაშამ პროტესტი განაცხადა და 1920 წლის 19 მარტს ანგორაში ეროვნული ყრილობა მოიწვია.[19] 1920 წლის 23 აპრილს „ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობა“ ადასტურებს კონსტანტინოპოლის პარლამენტის მიერ გამოცხადებულ „ეროვნულ პაქტს“, აუქმებს ოსმალეთის სულთნის აქტებს (იგულისხმება მეჰმედ მე-6) და მას მხოლოდ ხალიფად ცნობს. 1920 წლის 30 აპრილს ანგორაში ოსმალეთის ახალი სახელმწიფო გამოაცხადეს, ხოლო

[18] Mondros Armistice, Turkish Greek relations, Istanbul, 2004. p. 11

[19] Kinross, Patrick Balfour, Lord Kinross. 1992. Ataturk: A Biography of Mustafa Kemal, Father of Modern Turkey, Publisher: Quill, U.S.A. p. 56

იმავე წლის 5 მაისს შეიქმნა მთავრობა ქემალ ფაშას მეთაურობით. [20]

თურქთა ნაციონალისტური მოძრაობის დაწყებისთანავე, მათ წინაშე დაუყოვნებლივ დადგა მოკავშირეობის ძიებისა და მისი მხრიდან მხარდაჭერის საკითხი. ეს მდგომარეობა ქემალისტებისთვის განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, რაც ბერძნებმა სმირნას ოკუპაციის შემდეგ ნელ-ნელა დაიწყეს წინსვლა ანატოლიის სიღრმისაკენ. ასეთ პოტენციურ მოკავშირედ მუსტაფა ქემალმა და მისმა თანამოაზრეებმა საბჭოთა რუსეთი აღიქვეს, რომელიც ფაქტობრივად ისეთივე მძიმე მდგომარეობაში იყო ამ დროისათვის ჩავარდნილი, როგორშიაც თავად თურქული სახელმწიფო. სწორედ ამ დროიდან იწყება რუს ბოლშევიკთა და თურქ ნაციონალისტთა სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების ჩასახვის არაერთგვაროვანი პროცესი, რომელიც ძალიან მალე ამიერკავკასიაში წარმოებული სისხლიანი დაპყრობითი ომების პრელუდიად იქცა. სწორედ რუსი ბოლშევიკები და ლენინი ერთის მხრივ, და თურქი ნაციონალისტები და მუსტაფა ქემალი მეორეს მხრივ, წარმოადგენდნენ იმ პოლიტიკურ ძალებსა და პერსონებს, რომლებმაც ერთიან იდეოლოგიაზე დაყრდნობით და „მსოფლიო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით, ამიერკავკასიის ტერიტორიების ახალი გადანაწილების პროცესი დაიწყეს.[21]

რა თქმა უნდა, ქემალისტების და ბოლშევიკების ალიანსი უარყოფითად აისახებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლაზე. ამ მხრივ წარმატებული ნაბიჯები 1920 წელს გადაიდგა, კერძოდ 1920 წლის 26 აპრილს მუსტაფა ქემალმა ლენინისადმი გაგზავნა დეპეშა. ამ დოკუმენტის მიხედვით, ქემალ ფაშა საბჭოთა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებასა და იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მზადყოფნას აცხადებდა. რაც შეეხება რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიისადმი ოსმალეთის ეროვნული კრების სახელით 1920 წლის 12 ივლისს გაგზავნილ წერილს, მასში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ ოსმალეთი მხარს უჭერდა „რუსეთის დიდი რევოლუციის ძირითად პრინციპებს“. იმავე დოკუმენტით, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა ოსმალეთის მოკავშირედ იყო მიჩნეული.[22] ვფიქრობთ, რომ ეს საკმაოდ საყურადღებო გარემოებაა, რადგან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მტრულად განწყობილი სახელმწიფოების გარემოცვაში მოექცა. ამ შემთხვევაში რუსეთისა და ქემალისტების მიზნები იდენტური იყო. იგი არსებული ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდით დამხობას, ქვეყნის გასაბჭოებასა და მისი ტერიტორიების გადანაწილებას ითვალისწინებდა. თუკი მათი ძალისხმევა ამ მიმართულებით წარმატებული აღმოჩნდებოდა, დაპყრობილი საქართველოს მარიონეტული ხელისუფლების ხელშეწყობით, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებს ოსმალეთი უპრობლემოდ მიისაკუთრებდა, და რაც მთავარია, საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის სამეზობლო საზღვარი საქართველოს მონაკვეთზე გამოჩნდებოდა. იმ ეტაპზე

[20] შალკაშვილი დ., „დღიურები“, ვ. ნოზაძის თარგმანი, ჟურნალი „კავკასიონი“, XVI-XVII, პარიზი, 1972/1973, გვ. 127- 178;

[21] ჩაჩხიანი ა. ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობების დასაწყისი და პირველი კონტაქტები 1919 წელს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკთხები“. ტ. XII. 2013 წ. გვ. 264-265

[22] თოიძე ლ. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდათანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. თბილისი. 1991. გვ. 48

შექმნილი ამ ურთულესი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ გ. ლორთქიფანიძე სავსებით სამართლიანად წერდა: „საქართველოსთვის დადგა ისეთი ხანა, რომლის მსგავსება არც კი იცის ჩვენმა ისტორიამ, სახელდობრ, რუსეთი და ოსმალეთი, რუსული ველიკოდერჟავნიკობა და თურქულ-სპარსული პანისლამიზმი საქართველოს განადგურების საქმეში ერთი მეორის პირისპირიის თუ რამდენად სერიოზული ხასიათი ჰქონდა ანგორის და საბჭოთა რუსეთის მთავრობის ალიანსს, კარგად ჩანს, იმ დროინდელ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილი მოწინავე წერილი „ კომუნისტების და ოსმალეთის იმპერიალისტების კავშირი“ იქცევს. მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციის ანალიზის საფუძველზე, აღნიშნულ პუბლიკაციაში დამაჯერებლადაა ნაჩვენები საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის წარმომადგენლების ერთობლივი საქმიანობა. წინა პლანზეა წამოწეული და სწორი პოზიციიდანაა ახსნილი ბოლშევიკურ რუსეთთან ოსმალეთის დაკავშირების ძირითადი განმაპირობებელი მიზეზები.

გარდა ამ ალიანსისა, ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ ანტანტის სახელმწიფოთა წინააღმდეგ ბრძოლაში პოლიტიკურ მხარდაჭერასთან ერთად, საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთს ფინანსური და სამხედრო შეიარაღების გადაცემითაც გამოუცხადა თანადგომა. აქ იგულისხმება 1920 წლის ზაფხულში ოსმალეთისადმი გადაცემული 6000 ათასი საბრძოლო შაშხანა, 5 მილიონზე მეტი ვაზნა, 18 ათასამდე საარტილერიო ჭურვი და რაც მთავარია, ფულადი დახმარება (ოქროს კურსით 5 მილიონი მანეთი). იმავე წლის სექტემბერში საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთის წარმომადგენელს ერზურუმში 200.6 კგ ოქროს ზოდები გადასცა. ხოლო 1920 წლის 27 დეკემბრიდან 1921 წლის 9 იანვრის მონაკვეთში, კავკასიის ფრონტის სარდლობიდან ტუაფსეში ოსმალეთის მისიამ 6 ქვემეხი და 9 ათასი ჭურვი მიიღო. იმავე წლის 14 თებერვალს , ტუაფსედან ზღვით ოსმალეთში 3733 შაშხანა და 5 მილიონზე მეტი ვაზნა გაიგზავნა.



ეს ანტი ქართული ქმედებები მას შემდეგ ხდებოდა, რაც ერთის მხრივ 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო მეორე მხრივ 1920 წლის 13 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა ანგორის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი პოლკოვნიკი ქიაზიმ ბეი, რომელიც შემდგომში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოსმალეთის ხელისუფლების სრულუფლებიანი წარმომადგენელი გახდა.

1921 წლის 27 იანვარს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მისია თბილისიდან გაემგზავრა და 31 იანვარს ანგორაში ჩავიდა. საქართველოს მისიას ანგორაში ჩასვლამდე მთელი მოგზაურობის დროს ახლდა ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ბექირ სამი ბეი. 1921 წლის 8 თებერვალს, 15

საათზე, მუსტაფა ქემალთან დაინიშნა ოფიციალური აუდიენცია, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა სრული შემადგენლობით დაესწრო. აუდიენცია საათ-ნახევარი გაგრძელდა. სვიმონ მდივანმა მუსტაფა ქემალს რწმუნების სიგელი გადასცა. თავის მხრივ მუსტაფა ქემალმა ქართველ ელჩს საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარება მიულოცა და აღნიშნა: „... ჩვენ გვაერთიანებს საქართველოსთან არამც თუ სიმპათია, არამედ მიზანთა ერთობა - ჩვენ გვყავს ძლიერი მტერი დასავლეთით და გვესაჭიროება ძლიერი აღმოსავლეთი. განსაკუთრებით გვჭირდებდა ძლიერი კავკასია და კავკასიაში კი ყველაზე მნიშვნელოვანი ერი, ჩვენ გვჭირდება საქართველო ძლიერი და დამოუკიდებელი.“ ამრიგად, 1921 წლის 8 თებერვალს ანგორის მთავრობამ ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა - დე-იურე - და მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტებიდან გამომდინარე, ანგორის მთავრობის დიპლომატია ორმაგი სტანდარტების ფორმას იყენებდა. იგი ოფიციალურად აღიარებდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, თუმცა ზურგს უკან მის წინააღმდეგ მოქმედებდა და საბჭოთა რუსეთისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კავკასიაში. მოკავშირენი.“ [23]

ის თუ რამდენად სერიოზული ხასიათი ჰქონდა ანგორის და საბჭოთა რუსეთის მთავრობის ალიანსს, კარგად ჩანს, იმ დროინდელ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილი მოწინავე წერილი „ კომუნისტების და ოსმალეთის იმპერიალისტების კავშირი“ იქცევს.[24] მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციის ანალიზის საფუძველზე, აღნიშნულ პუბლიკაციაში დამაჯერებლადაა ნაჩვენები საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის წარმომადგენლების ერთობლივი საქმიანობა. წინა პლანზეა წამოწეული და სწორი პოზიციიდანაა ახსნილი ბოლშევიკურ რუსეთთან ოსმალეთის დაკავშირების ძირითადი განმაპირობებელი მიზეზები.

გარდა ამ ალიანსისა, ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ ანტანტის სახელმწიფოთა წინააღმდეგ ბრძოლაში პოლიტიკურ მხარდაჭერასთან ერთად, საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთს ფინანსური და სამხედრო შეიარაღების გადაცემითაც გამოუცხადა თანადგომა. აქ იგულისხმება 1920 წლის ზაფხულში ოსმალეთისადმი გადაცემული 6000 ათასი საბრძოლო შაშხანა, 5 მილიონზე მეტი ვაზნა, 18 ათასამდე საარტილერიო ჭურვი და რაც მთავარია, ფულადი დახმარება (ოქროს კურსით 5 მილიონი მანეთი). იმავე წლის სექტემბერში საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთის წარმომადგენელს ერზურუმში 200.6 კგ ოქროს ზოდები გადასცა. ხოლო 1920 წლის 27 დეკემბრიდან 1921 წლის 9 იანვრის მონაკვეთში, კავკასიის ფრონტის სარდლობიდან ტუაფსეში ოსმალეთის მისიამ 6 ქვემეხი და 9 ათასი ჭურვი მიიღო. იმავე წლის 14 თებერვალს , ტუაფსედან ზღვით ოსმალეთში 3733 შაშხანა და 5 მილიონზე მეტი ვაზნა გაიგზავნა.[25]

ეს ანტი-ქართული ქმედებები მას შემდეგ ხდებოდა, რაც ერთის მხრივ 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო მეორე მხრივ 1920 წლის 13 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა

[23] ლორთქიფანიძე გ. ფიქრები საქართველოზე. თბილისი. 1995. გვ. 148

[24] გაზეთი: ერთობა, 1920წ 1 თებერვალი, N 24

[25] თოიძე ლ. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. გვ. 49

ანგორის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი პოლკოვნიკი ქიაზიმ ბეი, რომელიც შემდგომში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოსმალეთის ხელისუფლების სრულუფლებიანი წარმომადგენელი გახდა.[26]

1921 წლის 27 იანვარს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მისია თბილისიდან გაემგზავრა და 31 იანვარს ანგორაში ჩავიდა. საქართველოს მისიას ანგორაში ჩასვლამდე მთელი მოგზაურობის დროს ახლდა ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ბექირ სამი ბეი. 1921 წლის 8 თებერვალს, 15 საათზე, მუსტაფა ქემალთან დაინიშნა ოფიციალური აუდიენცია, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა სრული შემადგენლობით დაესწრო. აუდიენცია საათ-ნახევარი გაგრძელდა. სვიმონ მდივანმა მუსტაფა ქემალს რწმუნების სიგელი გადასცა. თავის მხრივ მუსტაფა ქემალმა ქართველ ელჩს საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარება მიულოცა და აღნიშნა: „... ჩვენ გვაერთიანებს საქართველოსთან არამც თუ სიმპათია, არამედ მიზანთა ერთობა - ჩვენ გვყავს ძლიერი მტერი დასავლეთით და გვესაჭიროება ძლიერი აღმოსავლეთი. განსაკუთრებით გვჭირდებდა ძლიერი კავკასია და კავკასიაში კი ყველაზე მნიშვნელოვანი ერი, ჩვენ გვჭირდება საქართველო ძლიერი და დამოუკიდებელი.“ ამრიგად, 1921 წლის 8 თებერვალს ანგორის მთავრობამ ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა[27] - დე-იურე - და მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტებიდან გამომდინარე, ანგორის მთავრობის დიპლომატია ორმაგი სტანდარტების ფორმას იყენებდა. იგი ოფიციალურად აღიარებდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, თუმცა ზურგს უკან მის წინააღმდეგ მოქმედებდა და საბჭოთა რუსეთისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კავკასიაში.

[26] სვანიძე მ. თურქეთის ისტორია 1923-2000 წწ., III, თბილისი. 2005წ. გვ.33

[27] სვანიძე მ. თურქეთის ისტორია 1923-2000 წწ. გვ. 39

ჰაგანაჰი, ირგუნი და ლეჰი 1939-1948 წლებში და მათი როლი ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სირია პალესტინის ტერიტორია ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის გადანაწილდა და მოგვიანებით ერთა ლიგის მანდატით პალესტინა ბრიტანეთის მმართველობაში შევიდა. სამანდატო ტერიტორიის საზღვრები, რომელიც ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის გაიყო ფაქტობრივად უკვე იყო მოცემული 1916 წლის საიქს-პიკოს შეთანხმებაში.[28] აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას არ არსებობდა ტერმინი ,,პალესტინა'' და ტერიტორია დაყოფილი იყო სირიის (დამასკოს) და ბეირუთის ვილაიეთებად და იერუსალიმის სანჯაყად. სწორედ იერუსალიმის სანჯაყში იწყება მასობრივი იმიგრაცია ებრაელებისა ევროპიდან მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, რომელიც არც პირველი მსოფლიო ომის დროს შეწყვეტილა. თეოდორ ჰერცლის ინიციატივას შექმნილიყო ებრაელთა სახელმწიფო ,,წმინდა მიწაზე'' თითქმის ერთსულოვანი გამოხმაურება მოჰყვა ებრაელებისა, რომლებიც ევროპაში ცხოვრობდნენ, რაც 1897 წელს ქ. ბაზელში პირველი სიონისტური კონგრესის მოწყობით გამყარდა. სწორედ ამ კონგრესზე შექიმნა მსოფლიოს სიონისტური ორგანიზაცია, რომლის მიზანი,ისევე როგორც ზოგადად სიონიზმისა, იყო ,,შეექმნა სამშობლო ებრაელებისთვის პალესტინაში, რომელიც დაცული იქნებოდასაზოგადო სამართლით'' (Cohen1945:14). აღსანიშნავია, ისიც რომ ოსმალეთის იმპერიაში შემავალ ტერიტორიაზე იმიგრაციის შესახებ სანქცია ოსმალეთის უმაღლესმა პორტამ გასცა და შესაბამისად ებრაელებს, მთელი მსოფლიოდან მიეცათ უფლება ლეგალურად დასახლებულიყვნენ პალესტინაში. იმიგრაცია განსაკურთრებით გაძლიერდა რუსეთის იმპერიაში დაწყებული პოგრომის გამო,[29] რომელიც 1919 წლამდე გაგრძელდა (ერთ-ერთი უკანასკნელი იყო ,,კიევის პოგრომი''). მეოცე საუკუნის დასაწყისშივე იქმნება ებრაელთა პირველი გასამხედრროებული დაჯგუფებები პალესტინაში რომელთა თავდაპირველ მისიას ახლადდაარსებული ებრაული დასახლებების მარადიორების, ყაჩაღების და მომთაბარე ბედუინებისგან დაცვა წარმოადგენდა.ასეთი ორგანიზაცია იყო მაგალითად ბარ-გიორა (1907), რომელიც მოგვიანებით ჰაშჰომერს შეერწყა (დარაჯები), რომელიც 1909 წელს შეიქმნა. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ კი ჰაშჰომერი დაიშალა და იგი ჩაანაცვლა ჰაგანაჰმა (თავდაცვა), რომელიც 1936 წლამდე თითქმის იმავე თავდაცვით პრინციპებს ატარებდა რასაც მისი წინამორბედები.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეაფერხა და დროებით შეაჩერა ებრაელთა მიგრაცია პალესტინაში. ამ დროის განმავლობაში ბრიტანეთმა შექმნა ,,მთელი რიგი რთული, დამაბნეველი და კონფლიკტური ხელშეკრულებები'' (Peeke 1977:11) და გასცა დაპირები ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ახლო აღმოსავლეთში მდებარე ტერიტორიების გარშემო. ასეთი

[28] სირია, ლიბანი და ანატოლიის ნაწილი ერგო საფრანგეთს; ერაყი, ტრანსიორდანია და პალესტინა (სირიის უდაბროთურთ) კი ბრიტანეთს.

[29] პოგრომ ტერმინი გულისხმობს ებრაელთა დევნასა და განადგურებას რუსეთის იმპერიაში რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დაიწყო და სხვადასხვა დროს იმპერიის სხვადასხვა ქალაქში ჰქონდა ადგილი. ტერმინი პოგრომ სწორედ რუსული ენიდან დამკვიდრდა ევროპულ ენებში, ებრაელთა დევნის აღმნიშვნელად.

იყო ჰუსეინ-მაკმაჰონის მიმოწერა,[30] რომელშიც არაპირდაპირ იყო ნაგულისხმევი არაბებისთვის ტერიტორიების გადაცემა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩართვის პირობის სანაცვლოდ.[31] 1916 წელს დაიდო საიქს-პიკოს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიები გადანაწილდა, ფრანგულ, ბრიტანულ, რუსულ და არაბულნაწილებად. ე.წ. ბალფურის დეკლარაცია, წერილი, რომელიც 1917 წელს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა არტურ ბალფურმა გაუგზავნა ლორდროტშილდს, რომელის მიხედვითაც ,,ბრიტანეთის მთავრობა მიესალმება პალესტინაში ებრაული კერების შექმნას''(სანიკიძე... 2011:459).[32] შედეგად, როდესაც გაჩნდა ორი დაპირისპირებული მხარე არაბულ-ებრაულ კონფლიქტში, თავიანთი ლეგიტიმურობის გასამყარებლად თითოეული მათგანი ეყრდნობოდა ან ბრიტანულ დეკლარაციას ან ბრიტანულ კორესპონდენციას.ბრიტანეთის ხელისუფლების მსგავსი ქმედებები მარტივი ასახსნელია, რადგანაც ომში ჩასართავად, განსაკუთრებით კი გალიპოლში მარცხის შემდეგ, ოსმალეთთან ახალი ფრონტის გასხნა მისსავე ტერიტორიაზე აჯანყებული არაბების სახით შიგნიდან დააზიანებდა ოსმალეთს. ამასთან, არ სურდა გაენაწყენებინა ის დიდი ებრაული დიასპორა რომელიც ჯერ კიდევ რჩებოდა ევროპაში და რომლის ხელშიც საკმაოდ დიდი კაპიტალი იყო.[33]

1936-39 [Cmd. 6019] Statement with regard to British policy in Palestine (Policy in Palestine)

597

PALESTINE

Statement of Policy

Presented by the Secretary of State for the Colonies to Parliament by Command of His Majesty
May, 1939

LONDON
PRINTED AND PUBLISHED BY HIS MAJESTY'S STATIONERY OFFICE
To be purchased directly from H.M. STATIONERY OFFICE at the following addresses:
York House, Kingsway, London, W.C.2; 120 George Street, Edinburgh 2;
26 York Street, Manchester 1; 1 St. Andrew's Crescent, Cardiff;
80 Chichester Street, Belfast;
or through any bookseller
1939
Price 2d. net

Cmd. 6019

House of Commons Parliamentary Papers Online.
Copyright (c) 2006 ProQuest Information and Learning Company. All rights reserved.

1939 წლის თეთრი წიგნის თავფურცელი

შედეგად კი დაიწყო დაპირისპირება არაბულ და ებრაულ საზოგადოებებს შორის პალესტინაში. პირველი შეტაკებები ჯერ კიდევ 1920-1921 წლებში მოხდა და შემდგომ პერიოდულად გრძელდებოდა.[34] გერმანიაში ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლამ (1933) და ებრაელთა დევნის დაწყებამ გერმანიაში, გამოიწვია მათი მიგრაციის ზრდა პალესტინის ტერიტორიაზე. მიგრაცია ხდებოდა არა მხოლოდ ლეგალური, არამედ

[30] კორესპონდენცია, რომელიც 1915-1916 წლებში მიმდინარეობდა მექის შერიფ ჰუსეინსა და ჰენრი მაკმაჰონს შორის, რომელიც ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი იყო ახლო აღმოსავლეთში. კორენსონდენცია მოიცავს 10-მდე წერილს და აღსანიშნავია, ის რომ მასში არსადაა პირდაპირი მითითება ტერიტორიების გადაცემის შესახებ.

[31] არაბთათვის გადასაცემი ტერიტორია მოიცავდა სივრცეს (ჩრდ.) ადანადან (სამხ.) ადენის ყურემდე, (აღმ.) ირანის საზღვრებიდან (დას.) ხმელთაშუა ზაღვამდე და წითელ ზღვამდე (Antonius 1946:157)

[32] ამავე დეკლარაციაში აღნიშნული იყო ის, რომ არაფერი უნდა გაეკეთებინათ (ებრაელებს) ისეთი, რაც ზიანს მიაყენებდა არაებრაულ თემებს.

[33] აქვე, აღსანიშნავია ის, რომ მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში ებრაელებმა მიიღეს მოქალაქეთა სრული უფლებები საფრანგეთსა და ბრიტანეთში

[34] ასეთი იყო მაგალითად 1921 წლის ჯანყი იაფაში, რომელიც ორ ებრაულ ჯდუფს შორის დაპირისპირებით დაიწყო და არაბულ-ებრაული შეტაკებით დასრულდა რასაც ორივე მხრიდან ჯამში დაახლოებით ასამდე ადამიანი ემსხვერპლა.

არალეგალური გზებითაც. შედარებისთვის 1932 წელს ებრაელ იმიგრანტთა ოდენობა პალესტინაში შეადგენდა დაახლოებით 9,5 ათასს; მაშინ როცა 1933-1936 წლებში იმიგრანტთა ოდენობა დაახლობით 170 ათასი იყო.ახალჩამოსულთათვის მიწებს ებრაელთა ეროვნული ფონდი ან სხვა სიონისტური ორგანიზაციები ყიდულობდნენ და 1939 წლისთვის მათ მიერ შეძენილი მიწები სამანდატო ტერიტორიის 5% შეადგენდა (Cleveland 2009: 254-255).[35] მიგრაციის ზრდამ ფაქტობრივად ხელი შეუწყო დაპირისპირებისა და შუღლის გაღვივებას არაბებსა და იმიგრირებულ ებრაელებს შორის. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო რელიგიის ფაქტორი. რამდენადაც იერუსალიმი მუსლიმებისთვის ერთ-ერთი წმინდა ქალაქია, სადაც მდებარეობს ალ-აკსას მეჩეთი და ამასთან, არაბულ-ისლამური მოსახლეობა ამ ტერიტორიაზე დაახლოებით 12 საუკუნე ცხოვრობდა. ხოლო, ებრაელებისთვის იერუსალიმი და კონკრეტულად ,,დასავლეთის კედელი'' (გოდების კედელი) ერთ-ერთ მთავარ სიწმინდედ და მოსალოც ადგილად რჩებოდა. სწორედ რელიგიური რიტუალის შესრულება გახდა დაპირისპირებისა და ამბოხის მიზეზი 1929 წელს პალესტინაში, რომელიც იერუსალიმში დაიწყო და შემდგომ თავდასხმები გაგრძელდა ჰებრონსა და საფედში, რასაც ორივე მხდრიდან 250-მდე ადამიანი ემსხვერპლა. ალ-აკსას მეჩეთის მიმდებარე ტერიტორია, რომელშიც ,,გოდების კედელი'' შედის ამავე მეჩეთის ვაკუფს წარმოადგენდა. შუა საუკუნეების განმავლობაში ებრაელებს ჰქონდათ ნება დართული ელოცათ ,,გოდების კედელთან'', თუმცა მათ ეკრძალებოდათ იქ სალოცავის მოწყობა, სკამების დადგმა ან მეჩიცას[36] დამონტაჟება. მოლოცვის აღნიშნული წესი შენარჩუნდა ბრიტანული მანდატის დამყარების შემდგომაც. 1928-29 წლებში ებრეული მოსახლეობა გამოვიდა მოთხოვნით მოეწყო ერთგვარი სალოცავი ,,გოდების კედელთან''.გაიმართა რამდენიმეათასიანი მანიფესტაციები და მსვლელობები, რასაც დაუპირისპირდა იერუსალიმის არაბული მოსახლეობა. შეტაკებები კი სისხლისღვრამდე მივიდა. ბრიტანეთის მთავრობამ მართალია შეძლო ამბოხის ჩახშობა, თუმცა სიტუაციაზე კონტროლის დამყარება მხოლოდ დროებითი იყო, რაც გამოჩნდა კიდეც 1936-1939 წლების არაბთა აჯანყებაში.



სს პატრია ჩაძირვამდე

1936-39 წლების არაბთა აჯანყების შემდგომ პალესტინაში, ჰაგანაჰი გახდა სრულმასშტაბიანი ორგანიზებული სამხედრო სტრუქტურა სამი ძირითადი დანაყოფით: საველე დანაყოფი (ჰიშ), რომლის ფუნქციაც საბრძოლო-სამხედრო დავალებების შესრულება იყო; მცველთა დანაყოფი (ჰიმ), რომლის დანიშნულებაც პალესტინაში იუდეველთა დასახლებების დაცვა იყო; დამრტყმელი დანაყოფი პალმაცი, რომელიც ელიტური სამხედრო დანაყოფი იყო. ჰაგანაჰის ტერორისტული თავდასხმების ძირითადი ობიექტი პალესტინის ბრიტანული მმართველობა იყო, თუმცაღა იყო შემთხვევები როდესაც

[35] 1939 წელს ებრაელთა პოპულაცია პალესტინაში ორჯერ უფრო მეტი იყო ვიდრე 1931 წელს და დაახლოებით 380 ათას ადამიანს შეადგენდა.

[36] ერთგვარი ხის კედელი რომელიც ლოცვის დროს ქალებს და კაცებს განაცალკევებს.

მათ განახორციელეს ოპერაციები ერაყსა და ლიბანში.[37] ჰაგანაჰი 1920 წელს შეიქმნა ებრაული დასახლებების დასაცავად და მისი შექმნის მაპროვოცირებელ ფაქტორად 1920 წლის არაბთა ჯანყი შეგვიძლია მივიჩნიოთ. თავდაპირველად ჰაგანაჰის ძირითად სამხედრო ძალას ებრაელი გლეხები წარმოადგენდნენ რომლებიც ცუდად იყვნენ აღჭურვილნი და საკუთარი დასახლებების დაცვით შემოიფარგლებოდნენ. 1929 წელს არაბთა მომდევნო აჯანყებისა და ებრაელთა დარბევის შემდეგ ჰაგანაჰი ბევრად უფრო ორგანიზებული გახდა, იმდენად რომ მათ დაიწყეს საკუთარი იარაღის წარმოებაც კი. აღსანიშნავია, რომ ჰაგანაჰი ხშირად თანამშრომლობდა ბრიტანულ ძალებთან და განსაკუთრებით ბრიტანული სპეციალური ოპერაციების ძალებთან (SOE).[38] უფრო მეტიც, მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში. ,,პალესტინაზე მანდატისას SOE-მ იპოვა შეუცვლელი შესაძლებლობა რათა წარმოეჩინა მისი კონცეფცია არარეგულარული ომისამისი ენთუზიზმით მიმღები - ჰაგანაჰის სახით''(Stoil 2019:70).

ირგუნის მიერ აფეთქებული სასტუმრო მეფე დავითის სამხრეთის ფლიგელი

1936-39 წლებში არაბთა აჯანყების დროს ჰაგანაჰი მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა, რომლის შემადგენლობაშიც მუდმივად იყო 10 ათასი გასამხედროებული პირი და 40 ათასამდე რეზერვი. მართალია, ბრიტანეთი ამზადებდა ჰაგანაჰს, თუმცაღა, როგორც ი.სტოილი აღნიშნავს ჰაგანაჰი იმპერიის წინააღმდეგ შემოტრიალდა იმავე არაპირდაპირი ბრძოლის მეთოდებით, რომელიც SOE-გან მიიღო. ამის მიზეზი კი ისევ და ისევ 1939 წლის ,,თეთრი წიგნი'' იყო. ამის შემდგომ ჰაგანაჰი გადავიდა ,,ებრაელთა სააგენტო ისრაელისთვის '' დაქვემდებარებაში, რომელსაც ბენ გურიონი ხელმძღვანელობდა.

לצורך ולענין תקנה 8 של תקנות שעת חירום – מניעת
טירור – תש'ח–1948, החליטה הממשלה הזמנית להכריז ומכריזה
בזה שחבר האנשים הידוע בשם "לוחמי חירות ישראל" וחבר
האנשים הקורא לעצמו בשם "חזית המולדת", הנם ארגונים
טרוריסטיים.

בפקודת הממשלה הזמנית
דוד בן גוריון
/מ ז כ י ר

ט'ז באלול תש'ח
20 בספטמבר 1948

ბრძანება ლეჰის ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადების შესახებ, 1948 წელი

1939 წლის შემდგომ ჰაგანაჰის უმთავრესი მიზანი იყო ებრაელ ემიგრანტთა შეუფერხებელი ჩამოსვლა პალესტინაში, რასაც ,,თეთრი წიგნი'' ზღუდავდა, სწორედ ამის გამო დაუპირისპირდა ჰაგანაჰი და სხვა გასამხედროებული სიონისტური ორგანიზაციები დიდ ბრიტანეთს. შედეგად, ჰაგანაჰი ორგანიზებას უწევდა ევროპიდან დევნილ ებრაელთა არალეგალურ ჩამოსვლას პალესტინაში. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჰაგანაჰი არ

[37] მაგ. 1939 წელს ქირქუქი-მოსულის ნავთობსადენი მილის აფეთქება და თავდასხმა ტრიპოლზე.

[38] Special Operations Executive- ოფიციალურად 1940 წელს შეიქმნა და მისი მიზანი პარტიზანული ბრძოლის წარმოება იყო ღერძის ქვეყნების წინააღმდეგ ევროპაში. თუმცაღა, 1939 წლიდან ბრიტანული დაზვერვის ქვეშ უკვე არსებობდა დანაყოფები, რომელთა მიზანს ღერძის ქვეყნების წინააღმდეგ საბოტაჟის მომზადება და წინააღმდეგობათა მომზადება წარმოადგენდა. ამ მხრივ კი საკმაოდ ხელსაყრელი იყო იმ ებრაელთა რეკრუტირება, რომლებიც ნაციზმა გამოექცნენ.

მოერიდა მსხვერპლს ებრაელთა შორის. 1940 წელს ხომალდ პატრიაზე მომხდარი აფეთქების შედეგად 270-მდე ებრაელი იმიგრანტი დაიღუპა. 1940 წელს ჰაიფას პორტში ჩამოვიდა სამი ხომალდი 3500 არალეგალი ემიგრანტით. ბრიტანეთის მმართველობამ გადაწყვიტა 1900 მათგანის დეპორტაცია ხომალდ ,,პატრიათი". თუმცაღა, ჰაგანაჰის მიერ დამონტაჟებულმა ნაღმმა ხომალდი ჩაძირა, რასაც 267 ემიგრანტი ემსხვერპლა. თავად ორგანიზაციის ოფიციალური განცხადებით, კი ეს იყო მასობრივი სუიციდის შემთხვევა დეპორტაციის წინააღმდეგ. აღნიშნულ, ხომალდზე იმყოფებოდნენ არალეგალური იმიგრანტები, რომლებიც ბრიტანეთის განკარგულებით უკან, ევროპაში უნდა დაებრუნებინათ. ჰაგანაჰის მიზანი ხომალდის დაზიანება იყო, თუმცაღა ნაღმი იმაზე ძლიერი აღმოჩნდა ვიდრე გათვალეს, ძლიერ აფეთქებას დიდი მსხვერპლი და ხომალდის ჩაძირვა მოჰყვა.

გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ჰაგანაჰი ,,ებრაელთა სააგენტო ისრაელისთვის'' ნაწილი გახდა მისი მოქმედებებიც შესაბამისად შეიზღუდა და სწორედ ეს იყო მნიშვნელოვანი მიზეზი ირგუნის გააქტიურებისა რომელიც, 1931 წელს ჰაგანაჰს გამოეყო და იდეოლოგიურად დაუპირისპირდა ახალი ორგანიზაციის სახით, რომლის სრული სახელი იყო ჰა-ირგუნ ჰა-ცვაი ჰა ლეუმი ბ-ერეც ისრაელ ანუ ,,ეროვნული სამხედრო ორგანიზაცია ისრაელის მიწაზე''. რომელი ორგანიზაციაც გააქტიურდა 1936 წლის შემდგომ თუმცაღა, ძირითადი მიზეზი აქაც 1939 წელს მიღებული ,,თეთრი წიგნის'' განკარგულება იყო. 1937-39 წლებში არაბთა აჯანყების დროს ირგუნის მთავარ სამიზნეს სწორედ პალესტინელი არაბები წარმოადგენდნენ. 1938 წლის ივლისში ჰაიფას ბაზარში მომხდარ აფეთქებას 43 არაბი ემსხვერპლა. ხოლო 1939 წლის თებერვალში აფეთქებების სერიის შედეგად იერუსალიმსა და ჰაიფაში არაბულ ბაზრებში 33 არაბი ემსხვერპლა. ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ტერაქტი იყო სასტუმრო ,,მეფე დავითის'' აფეთქება იერუსალიმში 1946 წელს რასაც 91 ადამიანი ემსხვერპლა .

1978 წელს გამოცემული ისრაელის საფოსტო მარკა აბრაჰამ სტერნის გამოსახულებით

1940 წელს კი ირგუნს გამოეყო ლეჰი, იგივე ლოჰამეი ჰერუთ ისრაელ ,,ისრაელის თავისუფლებისთვის მებრძოლები'', რომელთა მოქმედების უშუალო და პირდაპირი საშუალება მოქმედებისა იყო ტერორიზმი, მიმართული ბრიტანული სამანდატო სისტემის წინააღმდეგ. საქმე იქამდე მივიდა, რომ მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ლეჰი არ გამორიცხავდა ნაცისტურ გერმანიასთან თუ ფაშისტურ იტალიასთან თანამშრომლობასაც, იმ პირობით რომ ამ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მცხოვრები ებრაელები თავისუფლად უნდა გადასახლებულიყვნენ პალესტინის ტერიტორიაზე, თავის მხრივ კი ლეჰი იბრძოლებდა ბრიტანელების წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციის დამარსებელი იყო აბრაჰამ შტერნი, რომელიც თავდაპირველად ირგუნის ვიცე

მეთაური იყო. მან დაადანაშაულა დევიდ რაზიელი, ირგუნის მეთაური ბრიტანელებთან თანამშრომლობაში შედეგად კი 1940 წელს შტერნმა დატოვა ირგუნი და შექმნა საკუთარი დაჯგუფება მოწოდებით ყველგან ებრძოლა ბრიტანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ლეჰის დაარსებისას შტერნი 33 წლის იყო. იგი პოლონეთში დაიბადა და თავისუფლად საუბრობდა პოლონურ და რუსულ ენებზე, იყო განათლებული პიროვნება და წერდა ლექსებს. ის ხედავდა ,,ებრაულ იმპერიას'' ნილოსიდან ევფრატამდე და დაიფიცა რომ გაანადგურებდა ნებისმიერს ვინც დაუპირისპირდებოდა ებრაულ განმათავისუფლებელ მოძრაობას.[39] შტერნს სწამდა რომ ამის მიღწევა მხოლოდ სამხედრო ძალით შეიძლებოდა. თავდაპირველად, მისი ძირითადის აქმიანობა მიმართული იყო ბრიტანული ბანკების წინააღმდეგ პალესტინაში. თუმცა იყო შემთხვევა როდესაც დაიგეგმა ერთ-ერთი ბრიტანელი ოფიცრის მკვლელობა რასაც საბოლოოდ ორი ებრაელი პოლიციელი ემსხვერპლა, სანაცვლოდ კი შტერნზე ნადირობა გამოცხადდა და 1942 წელს მოკლულ იქნა. თითქოს მისი მკვლელობით ლეჰის ისტორიაც უნდა დასრულებულიყო. თუმცაღა პირიქით მოხდა და ლეჰი დარჩა ტერორისტულ სამხედო ორგანიზაციად, რომელსაც რეალურად მეთაური არ ჰყავდა და არ ჰქონდა წოდებრივი სტუქტურა. გამონათქვამის მიხედვით მეთაური იყო უბრალოდ ,,ის ვინც არის პასუხისმგებელი''. ლეჰი არ ყოფილა დიდი ორგანიზაცია და ის იყო შეზღუდული როგორც ადამიანური ასევე სამხედრო-ეკონომიკური რესურსებითაც. მიუხედავად ამისა არსებობდა მკაცრი წესი, ლეჰის წევრს მუდმივად უნდა ეტარებინა იარაღი და არ უნდაჩაბარებოდა ტყვედ, მოწოდება იყო ,,შეაკვდი ან მოკალი''. სტერნისტები განსაკუთრებით გააქტიურდნენ 1944 წლიდან. 24 მარტს განხორციელდა თავდასხმების სერია კრიმინალური გამოძიების დეპარტამენტებზე (CID [criminal investigation department]) ჰაიფასა და იაფაში, პარალელურად კი იერუსალიმში თავს დაესხნენ ბრიტანელ ოფიცრებს აფეთქებებსა და ორმხრივ სროლებს რამდენიმე ბრიტანელი ოფიცერი ემსხვერპლა, იაფას სიაიდი-ს დეპარტამენტი სრულად განადგურდა აფეთქების გამო. ბრიტანეთის მთავრობამ კი კომენდანტის საათი გამოაცხადა. მართალია ლეჰი პატარა ორგანიზაცია იყო თუმცა იგი ეფექტურად მოქმედებდა. ამაზე მეტყველებს რამდენიმე ცნობილი ტერორისტული აქტი. მაგალითად ასეთი იყო ვოლტერ გინესის (ლორდ მოინე) მკვლელობა კაიროში 1944 წელს. იგი იყო დიდი ბრიტანეთის უმაღლესი წარმომადგენელი პირი ახლო აღმოსავლეთში.[40] 1947 წელს ჰაიფაში ააფეთქეს ბრიტანეთის პოლიციის განყოფილება რასაც რამდენიმე პოლიციელი ემსხვერპლა 140 კი დაიჭრა. 1948 წლის თებერვალ-მარტში რამდენჯერმე დანაღმეს კაირო-ჰაიფას მატარებლის ხაზი რასაც გარდა ბრიტანული საპოლიციო ძალებისა მშვიდობიანი მოსახლეობაც ემსხვერპლა. ყველაზე სასტიკი იყო დეირ იასინში მომხდარი ხოცვა სადაც არაბთა ლიგის მონაცემებით 254 მშვიდობიანი პალესტინელი არაბი მოქალაქე, ხოლო ისრაელის საგამოძიებო სამსახურების მიხედვით კი 120 მოქალაქე ემსხვერპლა, ამასთან მათ აღიარეს, რომ დახოცილტა

[39] ლეჰის იდეოლოგიის შემქმნელი იყო შტერნი, რომელმაც ესეში ,,18 პრინციპი აღორძინებისა" წარმოადგინა ძირითადი მიზნები ომის დროს და ამოცანები სუვერენიტეტის მისაღწევად

[40] ისინი მოგვიანებით ისრაელის სახელმწიფომ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლებად აღიარა 1985 წელს გამოცემულ საფოსტო ბარათებზე მათი ფოტოები იქნა დატანილი, როგორც თავისუფლებისთვის მებრძოლების

უმეტესობა განზრახ იყო მოკლული. ამასთან ებრაულმა ავტორიტეტულმა ორგანოებმა როგორებიც იყო ებრაელთა სააგენტო და ჰაგანაჰი დაგმეს მომხდარი ფაქტი.

ლეჰი ასევე მოქმედებდა ევროპაშიც ბრიტანეთის წინააღმდეგ, 1946 წელს თავს დაესხნენ ბრიტანეთის საელჩოს რომში. ხოლო 1947 წელს რამდენიმე ტერორისტული აქტი განხორციელდა საკუთრივ ბრიტანეთის ტერიტორიაზე, ამასთან, ლეჰი იყენებდა ე.წ. წერილის ბომბებს რომლებიც იგზავნებოდა ბრიტანეთის ოფიციალური პირების წინააღმდეგ, მათ შორის იყო წერილი ჩერჩილისთვისაც. ერთ-ერთი ბოლო მასშტაბური ტერორისტული აქტი განხორციელდა 1948 წელს გაეროს მედიატორ ბერნადოტის წინააღმდეგ, რასაც ის ემსხვერპლა. ლორდ მოინესა და ბერნადოტის მკვლელობის შესახებ ბოიერ ბელი აღნიშნავდა, რომ ,,ამ ორ ოპერაციას ისტორიის ხაზი ნიშვნელოვნად არ შეუცვლია, თუმცაღა დააჩქარა მოვლენების მიმდინარეობა ახლო აღმოსავლეთში''(Bell 1972:81). 1948 წლის 31 მაისს ლეჰი ოფიცილურად გამოცხადდა დაშლილად და იგი შეერწყა ისრაელის თავდაცვით ძალებს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიონისტური ტერორისტული ორგანიზაციების წარმოშობასთან დაკავშირებით ორი მთავარი მიზეზი იკვეთება ეს იყო 1936-39 წლების არაბთა აჯანყება პალესტინაში და 1939 წლის ,,თეთრი წიგნი'', რომელმაც შეზღუდა ებრაელთა იმიგრაცია პალესტინაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ბრიტანეთისთვის დამატებითი თავის ტკივილი იყო ნებისმიერი სამანდატო ტერიტორია, რომელიც ,,ერთა ლიგის'' მიერ იყო გადაცემული. განსაკუთრებით კი პალესტინის ტერიტორია, სადაც ბრიტანეთს უჭირდა კონტროლი: იმიგრაციის, იარაღის, შეიარაღებული დაჯგუფებების და უფრო მეტიც, ტერორისტული ორგანიზაციების, რომლებიც უკვე ლონდონში ესხმოდნენ თავს ბრიტანეთის ხელისუფლებას. შესაბამისად, ასეთი სახის ზეწოლას, სხვა ფაქტორებთან ერთად, შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებაზე, რაც გამოიხატა კიდეც ისრაელის სახელმწიფოს შექმნითა და აღიარებით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამოქალაქო ომის დროს პალესტინაში, ისეთი ორგანიზაციები, როგორებიც იყო ირგუნი და ჰაგანაჰი შეუერთდნენ ისრაელის თავდაცვით ძალებს და იმ ფართო გამოცდილებით რაც მათ წევრებს ჰქონდათ, იბრძოდნენ ისრაელის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის. აქვე აუნდა ითქვას ისიც, რომ ამ ორგანიზაციებს ჰყავდათ კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული სამხედრო ჯგუფები, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს ისრაელ-არაბეთის ომებში და ფაქტობრივად წარმოადგენდნენ თავდაცვითი ძალების ბირთვს. ამასთან, საინტერესოა თვითონ სიონისტური გასამხედროებული ორგანიზაციების ტრანსფორმაცია, შედარებით მოკრძალებულიდან (მაგ. ბარ გორა)ზომიერამდე (ჰაგანაჰი); რადიკალიზმის განვითარებიდან (ირგუნი) და უკიდურეს რადიკალიზმამდე (ლეჰი).თავის მხრივ ისრაელის სახელმწიფომ მადლობა გადაუხადა ტერორისტულ ორგანიზაციებს და ყოფილ ტერორისტებს, მიიღო რა ისინი სახელმწიფო, სამხედრო სამსახურში და ამასთან, აღსანიშნავია 1949 წელს გამოცემული ამნისტიის აქტი, რამაც საბოლოოდ საშუალება მისცა ყოფილ ტერორისტებს ხელისუფლებაშიც კი მოსულიყვნენ. ასე იყო მაგალითად მენაჰემ ბეგინის, ისრაელის მეშვიდე პრემიერ მინისტრის შემთხვევაში, რომელიც ირგუნის უკანასკნელი მეთაური იყო 1943 წლიდან და რომელსაც ეკუთვის სიტყვები

,,ჩვენ ვიყავით დარწმუნებული აბსოლიტურ ლეგალურობაში ჩვენი არალეგალური ქმედებებისა''(Peeke 1977:120).აღსანიშნავია, რომ მასშტაბებით პატარა ორგანიზაციის ქმედებებმა, როგორიც იყო ლეჰი, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ბრიტანული სამანდატო ხელისუფლების დასუსტებასა და პროცესების დაჩქარებაში. ის რაც არ იყო ნებადართული ბენ გურიონსთვის, დასაშვები იყო ლეჰისთვის, შესაბამისად მათ ბევრად უფრო რადიკალურად და თავისუფლად შეეძლოთ ემოქმედათ. მოგვიანებით, ისტორიკოსებს შორის გაჩნდა საკამათო საკითხი, ეს ორგანიზაციები მართლაც ტერორისტული იყო თუ იყვენენ თავისუფლებისთვის მებრძოლები?! ,,ჰაგანაჰი, ირგუნი და ლეჰი შეიძლება იწოდონ გმირებად ებრაელთა რევოლუციისა, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი რევოლუცია იყო წარმატებული, ისტორია კი არ განსჯის გამარჯვებულებს''(Peeke 1977:126).

ტერორისტული ორგანიზაცია ლეჰის მემორიალი თანამედროვე ისრაელში, ქ. ელ ჰამოშავოთი

ისრაელის სახლი საქართველოში

სოხნუთის, ებრაულის სააგენტოს, პირველი ნაბიჯები საქართველოდან იწყება. ქვეყანაში, სადაც ებრაული ემიგრაცია ორ ათეულ საუკუნეზე მეტს ითვლის, ებრაელებისადმი ყოველთვის ტოლერანტული დამოკიდებულება იყო. აქ ებრაელები ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ. VI საუკუნეში ჩნდებიან. ქართული ისტორიული ტრადიციების თანახმად, პირველი ებრაელები საქართველოში ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ ჩავიდნენ. ადრეული შუა საუკუნეების ქართველი ებრაელები, ძირითადად, დაკავშირებულნი იყვნენ ირანის ებრაელობასთნ. საქართვეელოში, როგორც რუსული იმპერიის ნაწილში, ზოგჯერ იყო რუსული ანტისემიტიზმის გამოვლინებები, ხოლო ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ ქვეყანა 2 ათასამდე ებრაელმა დატოვა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბჭოთ ებრაელობა ალბათ ერთადერთი იყო, რომელთაც ისრაელზე მხოლოდ ოცნება შეეძლო. საბჭოთა ხელისუფლება ებრაული თემის სეკულარიზაციას ახდენდა.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 1990 წლის შემოდგომაზე საქართველოში გაიხსნა პირველი საერთაშორისო ებრაული ორგანიზაცია, ებრაელ სტუდენტთა მსოფლიო კავშირი, შემდგომში ებრაული სააგენტოს ოფიციალური წარმომადგენლობა . ამ პერიოდში იწყება დიდი ალიაც. ამის მიუხედავად, პოსტსაბჭოთა სივრცეში რჩებოდა ათასობით ებრაელი.საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ისრაელის წინაშე დადგა ორი ამოცანა - ალიის გაგრძელება და ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოებთან ურთიერთობების ჩამოყალიბება. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების კვალდაკვალ, იდგმებოდა პირველი ნაბიჯები ეკონომიკური თუ კულტურული თანამშრომლობის მიმართულებით. მთავარ გამოწვევად მაინც რჩებოდა და რჩება ისრაელის ჰასბარას პოლიტიკის წარმართვა ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში. საერთშორისო ასპარეზზე, კერძოდ, გაეროში ანტიისრაელურმა პოზიციამ გააჩინა საქართველოში ჰასბარას ორგანიზაციის დაარსების იდეა. ამ პროექტის, სახელწოდებით „ისრაელის სახლის“, კონცეფციის ქვაკუთხედია ჰასბარა და ორმხრივი კავშირების პროფესიონალური ლობირება. დღეს დღის წესრიგში დგას ამ მოდელის სხვა ქვეყნებში გადატანის საკითხი.

პირველი ორგანიზაცია, რომელიც შევიდა საბჭოთა კავშირში და 1989 წელს საქართველოდან დაიწყო საქმიანობა, იყო ებრაელ სტუდენტთა მსოფლიო კავშირი (დაარსდა 1924 წელს; პირველი პრეზიდენტი იყო ალბერტ აინშტაინი). მათ შესვლას საქართველოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა საერთაშორისო და ისრაელის მედიაში. ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა იციკ მოშე. 1990 წელს სოხნუთმა გამოაცხახდა ვაკანსია ებრაული სააგენტოს წარმომადგენლის თანამდებბაზე საბჭოთა კავშირში. კანდიდატთა შორის უპირატესობა მიანიჭეს ,საქართველოში დაბადებულ ისრაელის მოქალაქე იციკ მოშეს, რადგან ის იყო ისრაელიზებული ახალგაზრდა, რომლის სახელსაც უკავშირდებოდა ისრაელის მასშტაბით რამდენიმე პროისრაელური აქციის ორგანიზება. თბილისში ორგანიზაციის დაარსების შემდეგ, კავშირმა ისრაელში ჩაატარა 21-ე საერთაშორისო კონგრესი, რომელშიც პირველად მონაწილეობდნენ ქართველი დელეგატები. კონგრესის დასრულების შემდეგ, აქტიურად გააგრძელეს მუშაობა ებრაელობასთან, აცნობდნენ მათ ისრაელს და ყვებოდნენ ალიის მნიშვნელობაზე.

იციკ მოშეს ისრაელში ალიით 1971 წელს ჩავიდა. გაიგზავნა საქართველოში (საბჭოთ კავშირში) და აღმოსავლეთ ევროპაში, რათა მას მოემზადებინა მყარი ნიადაგი იქაური ებრაელების სამშობლოში რეპარაციისთვის. იციკ მოშემ დაამყარა კონტაქტები დედაქალაქის მერთან და მის ადმინისტრაციასთნ, სკოლების ხელმძღვანელებთან, მედიის წარმომადგენლებთან და ყევლა ამ ქმედებას ასრულებდა, როგორც ისრაელის სახელმწიფოს წარმომადგენელი. როდესაც სოხნუთის წარმომადგენლებმა საქართველოს ხელისუფლების წინაშე დასვეს ებრაული სააგენტოს წარმომადგენლობის გახსნის საკითხი, ხელისუფლება ორ წყალს შუა აღმოჩნდა,თუმცა პროფესორ აპოლონ სილაგაძის შუამავლობით, რომელიც იყო გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი და კულუარული ინფორმაციით პრემიერობისთვის ემზადებოდა. ის კეთლგანწყობას არ მალავდა სოხნუთის წარმომადგენლისადმი, გაიმართა თბილისის მერთან შეხვედრა და შეთანხმებასაც მიაღწიეს. გაფორმდა კონტრაქტი, რომლის თანახმადაც, ებრაული სააგენტო ბინას დაიდებდა თბილისის მერიის შენობაში.

ალიის საკითხების მოგვარების პარალელურად, საქართველოში იციკ მოშე ისრაელის დიპლომატის საქმესაც აკეთებდა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშანვია „გაერთიანებული ებრაული ფონდისა“ და მისი წევრების ვიზიტი საქართველოში. ეს იყო საქართველოს პირველი შხება მსოფლიო წამყვან ბიზნესწრეებთან. 1996 წელს, პირველად პოსტსბჭოთ სივრცეში, იციკ მოშემ დაარსა საქართველოში ორენოვანი -საქართველო ისრაელის ბიზნეს პალატა, რომლის საქმინობაც ერთობ მრავალპლანიანი იყო. ორგანიზაციის დაარსების სათავეებთან იდგნენ ისრაელის სავაჭრო პალატის წარმომადგენლები და იმჟამინდელი პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია.

იმდროინდელი საქართველოს მყიფე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენი იყო ლაპარაკი უცხოურ ინსვესტიციებზე, ერთობლივ საწარმოზე. ამის მიუხეედავად, ჩატარდა ბიზნესფორუმები და ებრაული ინვესტიციის მოზიდვაც მოხერხდა. იციკ მოშემ მიაღწია საჭირო დახმარებას, რომლის მეშვეობითც იწყება დიალოგი ორი ქვეყნის ბიზნესწრეებს შორის. ვითარდება ტურიზმი, თანამშრმლობა უძრავი ქონების და სოფლის მეურნეობის სფეროებში. გასული საუკუნეების 90იანი წლები ისრაელ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების ერთგვარი გზის გაკვალვის პერიოდი იყო, როცა ყველაფერი ნულიდან იწყებოდა. ამ ურთიერთობებში თავისი წვლილი მიუძღვოდა პირველ კულტურულ კონტაქტებსაც საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის ორგანიზატორობით. კულტურული საქმიანობა ერთგვარი დიპლომატიის ნაწილი გახდა. აღსანისნავია, რომ მომღერლები დამაკავშირებელი რგოლია შოუბიზნესში. 2002 წელს ბიზნეს პალატის ინიციატივით ისრაელში ამოქმედდა საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლობა. 200 000 ტურისტი ჩმოვიდა ისრაელიდან ტურისტული საეკლამო რგოლების მეშვეობით.

მიუხედავად ორმხრივი შეხვედრებისა და ეკონომიკური კავშირებისა, 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის ქვეყნები ერთმანეთის პოლიტიკურ რადარზე ნაკლებად ჩანდნენ. საქართველოში არც თუ სახარბიელო ვითარება იყო. შევარდნაძის მმართველობა დასასრულს უახლოვდებოდა.დანგრეული ეკონომიკის, მოშლილი სახელმწიფო მმართველობის პირობებში დაიწყო ქვეყნიდან ისრაელელი ინვესტორების გადინება. 2004 წელს იციკ მოშეს ორგანიზებით , აშშ-ში გაიმართა

საართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკშვილის, შეხვედრა ამერიკის წამყვანი 21 ებრაული ორგანიზაციის ლიდერებთან. 1991 წლის შემდეგ ეს იყო მსოფლიო ებრაელობასთან საქართველოს დაკავშირების უკვე მეორე, უფრო მასშტაბური შემთხვევა.

საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობაში, საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატა მას მრავალმხრივი გამოცდილებების გაზიარებას სთავაზობდა. მათ შორის იყო მუშაობა დიასპორასთან. 2013 წლის შემოდგომაზე საქართველო-ისრააელის ბიზნეს პალატაში მომზადდა ახალი ორგანიზაციის კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს ჰასბარასა და ქვეყნებს შორის მყარი კავშირების განვითარებისთვის ხელშეწყობას.

დაარსებიის დღიდან „ისრაელის სახლს“ არა ერთი ინიციატივა და აქტივობა უკავშირდება, მათ შორისაა: ისრაელისა და საქართველოს ოფიციალური უწყებების პირდაპირი კავშირის ხელშეწყობა, დელეგაციების სამუშაო ვიზიტების ორგანიზება, პროისრაელური აქციების ორგანიზება, ებრაული ბიბლიოთეკის გახსნა თუ სხვ.

„ისრაელის სახლის“ ორგანიზებით 2014-17 წლებში ყველაზე მეტი პარლამენტარი ისრაელიდან სწორედ საქართველოს სტუმრობდა. ორგანიზაცია წინა პლანზე წამოწევს ისეთ პრობლემურ თემებს, როგორიცაა უვიზო მიმოსვლა, შრომით მიგრაცია...

იციკ მოშე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო ასპარეზზე ნამდვილი ისრაელის წარდგენას. ეს პროექტი ისრაელის პოლიტიკის ნაწილია და უნდა დაინერგოს სხვა ქვეყნებშიც, რადგან მსოფლიოში ანტიისრაელური კამპანია მძვინვარებს. ამასთან დაკავშირებით ბოლო წლებში არაერთი ღონისძიება ჩატარდა : ებრაული კულტურის დღეები, საჯარო ლექციები, ებრაული საზოგადოებრივი დაწესებულებების დაარსება, ახალგაზრდებთან შხვედრები...

2017 წელს საქართველო ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტის მონაწილე ქვეყანა გახდა. საქართველოში ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტის ხელმძღვანელობის უფლება „ისრაელის სახლმა“ მოიპოვა. მათ მოამზადეს რამდენიმე დოკუმენტური ფილმი და საილუსტრაციო მასალა, სპეციალური ბუკლეტები... ამასთან , მისი ხელშეწყობით, ღრმავდება საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის პროფესიონალური კვლეა, რომელიც ფაქტობრივად, საქართველოში ებრაული მემკვიდრეობის ახლებური გააზრებაა.

ჰასბარას კამპანიის ფარგლებში სქართველოდან 200-ზე მეტი პროისრაელური სტატია თუ სიუჟეტი გავიდა, რათა საზოგადოებამ მიიღოს ისრაელის შესახებ ობიექტური ინფორმაცია. ნიშანდობლივია, რომ სერთაშორისო ასპარეზზე ისრაელისადმი სოლიდარობის შესუსტების ფონზე, ჰასბარას მასშტაბური კამპანია ისევ საქართველოდან დაიწყო. იციკ მოშე იმედოვნებს, რომ ისრაელისა და საქართველოს ურთიერთიერთობაში იქნება პროგრესული ძვრები, ურთიერთობები გამყარდება და გაუმჯობესდება...

ლიტერატურა

ბაღდადის დაცემა არაბულ პოეზიაში

ისლამურ სამყაროს იშვიათად თუ განუცდია ისეთი ფიასკო, როგორიცაა ბაღდადის დაცემა 1258 წელს. 1206 წელს გაერთიანებულმა მონღოლმა ურდოებმა ჯერ დაიკავეს ძინის იმპერია, შემდეგ ხვარაზმი და საბოლოოდ, ახლო აღმოსავლეთში დაიწყეს პოზიციების განმტკიცება. 1257 წელს მონღოლებმა გადალახეს მდინარე ევფრატი და ერაყის ჩრდილოეთ რეგიონში გამაგრდნენ. მონღოლთა არმიას ხელმძღვანელობდა ჰულაგუ ყაენი (1261-1265). აღსანიშნავია, რომ ჰულაგუს არმიაში არა მარტო მონღოლები, არამედ ქართველები, სოხმები და ანტიოქიის საგრაფოს მცხოვრებნიც შედიოდნენ.

ბაღდადის ალყა, 1258 წ.

ამ შემთხვევაში ყურადღება მინდა გაგიმახვილოთ ერთ-ერთ კასიდაზე, რომელიც ნაკლებად არის ცნობილი და რომლის ავტორიც, აგრეთვე, ევროპულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად ცნობილი თაკი ად-დინ აზ-ზაჰაბია (تقي الدين الذهبي). შევეცდები შემოგთავაზოთ ამ მუსლიმი ავტორის კასიდა ქართულ ენაზე.

ბაღდადში დაღვრილი ცრემლები გვაწვდიან ცნობებს:

რად დგახარ ასე, ოდეს სატრფოთ გაეყოთ გზები?

აზ-ზავრასაკენ მომავალო პილიგრიმებო, ნუღარ წამოხვალთ,

რამეთუ ტაძრებს, საცხოვრისებს არ ჰყავთ მცხოვრები.

სახალიფოს გვირგვინი და სასახლეები, სადაც ამაღლდა მორწმუნეთა რიტუალები,

იავარქმნილყვეს ვერაგმა მტრებმა.

დილაობით აქ თავს კვლავ იჩენს იერიშთა მსუბუქი კვალი

და მის ნანგრევებს მოფენილი ცრემლების ღვარი.

ჩემო გულის ცეცხლო, ანთებულო ომის ხანძრებით,

აალებულხარ, მაშინ, ოდეს ომის ქარმა დაწვა ქალაქი.

მინბარის მწვერვალს ამშვენებდა მაღალი ჯვარი

და მის ოსტატებს შემოსხმული ჰქონდათ სარტყელი!

რაოდენ ბევრი თურქთა თარეშს ექცია მონად,

თუმც აქამომდის მფარველობდათ ციხის გოდოლი.

რამდენი სავსე მთვარე ჩაქრა ალ-ბადრიასთან,

სადაც არასდროს გაბრწყინდება არცერთი მათგან.

რაოდენ დიდი საგანძური მიმოიბნა საზღვრებს გადაღმა,

გაძარცვულნი და დახარჯულნი ურწმუნოთ ხელში.

მამაკაცთა მხრებს მტრის სასჯელად ხმლები დაედო

და მათაც ცოდვა ჩაიდინეს უპატიები.

მოვთქვამდი, რადგან პატივაყრილ ტყვეებს ვუცქერდი,

მოვთქვამდი, რადგან პატივაყრილ ტყვეებს ბოჭავდნენ.

ტყვეებს, ვით პირუტყვთ, მიასხმადნენ ტანჯვა-წამებით,

დამონებულნი კი ღმერთს სთოხვდნენ სიკვდილს და შვებას!

ალაჰმა უწყის, თუ რაოდენ დიდი სიუხვით, კეთილგანწყობით სარგებლობდა ბაღდადის ხალხი

და მათ ღაფალთ და დაუდევართ სასჯელი მორწყა,

რომლის წინაშეც უსუსური არის ყოველი.

ვინ შეეწევა ბაღდადის ხალხს, ამ შავ დღეებში,

რომელსაც ჰქვია ღვთის სასჯელი და განაჩენი.

აბასიანთა ყველა სახლი დამონებულ-არს,

დაღამდა, თუმცა კვლავ მოველით ჩვენ მზის ამოსვლას.

მტრის გამოჩენის შემდეგ არ არს სიამოვნება,

გარდა ყურანის და წინაპართ ტრადიციების.

აღარ არსებობს არც სამყარო და აღარც რწმენა,

ყველა ბაზარი მათთან ერთად ძილქუშს მიეცა.

ბაღდადში სუფევს ღვთის სასჯელი,

მისი სიკეთე გადასწონა უბედურებამ.

წინასწარმეტყველის ოჯახი და მისი ხალხი ტყვედ ჩავარდნილა,

ვინ შეიძლებს, რომ მათ მაგივრად გასწიოს ჯაფა.

აღარ მეგონა, თუ ოდესმე ბაღდადს ვივლიდი,

მაგრამ მუხთალმა ბედისწერამ ასე ინება.

ზოია ფირზადი

ზოია ფირზადი 1952 წელს ირანში, ქალაქ აბადანში დაიბადა, აქვე დაამთავრა სკოლა. დედით სომეხია, ხოლო მამით ირანელი. ჰყავს ქმარი და ორი შვილი.

ზოია ფირზადი თავდაპირველად მთარგმნელობითი საქმიანობით იყო დაკავებული და ძირითადად მოთხრობებს თარგმნიდა. ნათარგმნი აქვს ლუის კეროლის ,,ალისა საოცრებათა ქვეყანაში" და იაპონური პოეზიის ნიმუშები.

,,ირანის ლიტერატურულ სივრცეში ფირზადი მე-20 საუკუნის მიწურულს გამოჩნდა. ამას მოწმობს იმ ლიტერატურული პრემიების ჩამონათვალი, რომელიც მის წიგნებს მიენიჭა: ნოველების კრებული ,,ხურმის მწკლარტე გემო" - 1997 წ. - პრემია ,,პროზის ოცი წელი"; მოთხრობების კრებული ,,აღდგომამდე ერთი დღე რჩება" – 1999 წ. - პრემია ,,წლის წიგნი"; რომანი ,,შუქს მე ჩავაქრობ" – 2001 წ. - ,,წლის საუკეთესო რომანი" მეორე რომანი ,,შევეგუებით"- 2004 წ." [ბურჯანაძე მზია შურღაია თეა. შევეგუებით, გვ. 8-9. (2013). თბილისი: დიოგენე]

მისი თხზულებები ნათარგმნია ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ და ბერძნულ ენებზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოია ფირზადი ის ერთადერთი ირანელი ავტორია, ვისი ნაშრომებიც მთლიანად არის ნათარგმნი ფრანგულ ენაზე.

მისი შემოქმედებების უმეტესობა ქალებსა და მათ პრობლემებზეა. ფირზადი წუხს და შეშფოთებას გამოთქვამს, ირანელი ქალების მდგომარეობაზე. ,,ფრანგ მკითხველთან შეხვედრისას, რომელიც ზოია ფირზადის პირველი რომანის ,,შუქს მე ჩავაქრობ" გამოცემის გამო გაიმართა, მწერალმა განაცხადა: ,,ვფიქრობ, ქალები უფრო საინტერესონი არინ, ვიდრე მამაკაცები" [ბურჯანაძე მზია შურღაია თეა. შევეგუებით , გვ. 9-10. (2013). თბილისი: დიოგენე]. მისთვის მტკივნეულია ის საკითხიც, რომ უმეტეს შემთხვევაში, ქალი მამაკაცზეა დამოკიდებული. ამ მცირე მოცულობის მოთხრობაშიც წარმოდგენილია ქალების მდგომარება და მათი მუდმივი საზრუნავი- შვილი და სახლის საქმეები.

მეზობლები

მე ჩემს მოპირდაპირე მეზობელს არ ვიცნობ, მაგრამ ჩემი სამზარეულოს ფანჯრიდან მას თავის ეზოში და სამზარეულოში ყოველდღე ვხედავ. დილაობით გარეცხილი სარეცხი ეზოში გამოაქვს და ორ ბებერ ჭადარს შორის გაბმულ გრძელ თოკზე ფენს. მერე სამზარეულოში შედის და სადილს ამზადებს. მეც სწორედ იმ დროს ვამზადებ სამზარეულოში სამხარს. ვიწრო ქუჩისა და პატარა ეზოს გაღმა-გამოღმა ერთმანეთის მსგავსად ვსაქმიანობთ.

შუადღისას მეზობლის ქმარი სამსახურიდან სახლში მოდის, შვილი კი - სკოლიდან. მეზობელი ქალი სუფრას სამზარეულოში შლის. მისი ქმარი ბავშვს ეთამაშება. ქალი საჭმელს თეფშზე უდებს. ბავშვი თეფშს ხელს ჰკრავს და არ ჭამს. ქალი ბავშვს აჭმევს. მისი ქმარი სადილობს და ბავშვის წუწუნზე იცინის. ნასადილევს ჩემი მეზობლის ქმარი ეზოში შვილს ბურთს ეთამაშება. ქალი სუფრას ალაგებს.

საღამოს უთო და საკერავი მოწყობილობა სამზარეულოში შემომაქვს. სამზარეულოში მეტი სინათლე და სითბოა. სამზარეულოში მეტ სიმშვიდეს ვგრძნობ.

მეზობელი ქალი საღამოებს თავის შვილთან ერთად ატარებს. გაკვეთილებს იბარებს. ხანდახან ეხმარება, ხანაც ეჩხუბება და წამოარტყამს კიდეც. ბავშვი ტირის. მეზობელი ქალიც ტირის. როცა ბავშვი წყნარდება, მეზობელი ქალი სამზარეულოს მაგიდასთან ჯდება. იდაყვებით მაგიდას ეყრდნობა და ხელებს თავზე იჭდობს. ხანდახან სიგარეტს უკიდებს და გაურკვეველ ადგილს აშტერდება. მერე უცბად წამოხტება ხოლმე. რამდენიმე ხანში ცარიელი კალათით ეზოში გამოდის. თოკიდან სარეცხს ხსნის, კეცავს და კალათაში აწყობს.

მე სამზარეულოში ვახშამს ვამზადებ. მეზობელი ქალიც თავის სამზარეულოში ვახშამს ამზადებს. ჩემი შვილები სკოლიდან ბრუნდებიან, ქმარი კი - სამსახურიდან. ლაპარაკობენ. ვუსმენ. მეკითხებიან: ,,ჭიქა სადაა? ფანქარი სადაა? საპონი სადაა?“ ვპასუხობ: ,,ჭიქა თაროზეა, ფანქარი - საწერ მაგიდაზე.“ პირსაბნის ონკანთან ახალ საპონს ვდებ. ბავშვები სკოლის ამბებს ყვებიან. მე სავახშმოდ სუფრას ვშლი. ვიღიმები. ბავშვები მეცადინეობენ, ვახშმობენ, ერთი აურზაური აქვთ. ჩემი ქმარი ნავახშმევს გაზეთს კითხულობს. მე ვახშმის ჭურჭელი სამზარეულოში გამაქვს. მეზობელი ქალი თავის სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავს. მე ხვალინდელ სადილზე ვფიქრობ.

რელიგია

წარღვნის მითი

წარღვნის მითის სხვადასხვა ვერსიები რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე ვრცელდებოდა სხვადასხვა ცივილიზაციებში, რომლის პირველწყარო სამხრეთ შუამდინარული წარღვნის მითი იყო. წარღვნა კაცობრიობის ისტორიას ორ ნაწილად ჰყოფს ისევე, როგორც დამწერლობის გაჩენა. თავის მხრივ, წარღვნა უკავშირდება არა მარტო განადგურებას, მოსპობას, არამედ ახლიდან შობასაც. ამ მოსაზრების მართებულობა მარტივად მტკიცდება შუამდინარული რელიგიის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც წყალი და დაბადება განუყოფელია. „მთელი ქვეყანა ზღვა იყო ოდენ“ ამ სიტყვებით იწყება ქვეყნის შესაქმე ძველბაბილონურ მითში და იგივე სიტყვები შეგვიძლია გამოვიყენოთ წარღვნის შემდგომაც.

შუამდინარული ტრადიცია გვინახავს წარღვნის რამდენიმე ვარიანტს. პირველი ეს არის ზიუსუდრას მითი, რომელიც ჩაიწერა ძვ.წ. XVIII საუკუნეში შუმერულ ენაზე, ქალაქ ნიფურში. სამწუხაროდ, ჩვენამდე ტექსტის მხოლოს მესამედმა მოაღწია. პირველი სტრიქონებიდან კი ვიგებთ, რომ ერთ–ერთი ღვთაება (ენქი) ცდილობს გადაარჩინოს ადამიანთა მოდგმა: „ჩემს ადამიანთა მოდგმას მისი დაღუპვის დროს მსურს დავეხმარო“. ღვთაება ენლილს სურს გაანადგუროს ყოველი ცოცხალი დედამიწის ზურგზე და იგი აპირებს მოავლინოს წარღვნა. მის ნებას კი წინ აღუდგება ღვთაება ენქი, რომელიც ეძებს რჩეულს და იპოვის კიდეც ზიუსუდრას სახით. იგი არის მეფე და ქურუმი, რომელიც ყოველ დღე შესაწირს უგზავნიდა ღვთაებებს, „მოწიწებით აღავლენდა ლოცვას... მოუხმობდა იგი ცას და მიწას“. სწორედ მას გაანდეს საიდუმლო და დაავალეს გადაერჩინა კაცთა მოდგმა. ტექსტის დაკარგული ნაწილი უნდა შეიცავდეს ინფორმაციის კიდობნის აგების შესახებ. წარღვნის შემდეგ ზიუსუდრა გამოდის კიდობნიდან და „უთუს წინაშე პირით ძირს განერთხა. მეფემ მრავალი ხარი და ცხვარი დაკლა სამსხვერპლოდ“. ტექსტის ბოლო ნაწილში ღვთაებები, რომლებსაც სურდათ ადამიანთა მოდგმის განადგურება ხარობენ, რომ ეს ვერ მოხერხდა. ზიუსუდრა „ანის და ენლილის წინაშე პირით მიწას განერთხა“, მათ კი ზიუსუდრას მიუალერსეს და „სუნთქვა ღვთაებათა მსგავსი, ჩამოუტანეს ზეციდან“ (ზიუსუდრა – „სიცოცხლე დღეთა გრძელთა მიეცა მას“) და დაასახლეს იგი დილმუნის ქვეყანაში, მზის ამოსვლის ადგილას. ტექსტის დანარჩენი ნაწილი დაკარგულია.

მეორე, ათრახასისის მითი, ჩაიწერა ძვ.წ. XVII საუკუნეში ქალაქ სიფარში, აქადური ენის ძველბაბილონურ დიალექტზე. ზიუსუდრას მითისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ჩვენ ვიცით მწერლის (შუმერულად: dub-sar-tur) სახელი – ქუაია. ჩვენამდე მოღწეულია ტექსტის 60%. აქ საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი ღმერთების ყოფა ადამიანამდე. „ოდეს ღვთაებები ადამიანებივით“, ასე იწყება პირველი ფირფიტა და ქუაია გვიამბობს, როგორ მძიმე შრომას ეწეოდნენ იგიგები (ანუნაქებზე უფრო დაბალი რანგის ღვთაებები). ეს გაგრძელდა 40 წელი, რის შემდეგაც ღვთაებებმა გადაწყვიტეს შეექმნათ „ლულუ“ ადამიანი და „დაე, მან ატაროს მძიმე შრომის უღელი... მძიმე შრომა ღვთაებებისა კაცმა გასწიოს“. „ლულუს“ ქმნის ქალღვთაება ნინთუ, რომელსაც საჭირო თიხას აძლევს ენქი, ღვთაება, რომლის იდეაც იყო ადამიანის შექმნა. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო მსხვერპლი, რომელიც გახდა ღვთაება ვეილა, „რომელსაც გააჩნდა სული–გონიერი“ და „ხორცითა მისითა და

სისხლითა მისითა ნინთუმ მოზილა თიხა“, დანერწყვა იგი და შექმნა ადამიანი. თუმცა 1200 წლის მანძილზე ადამიანთა მოდგმა გამრავლა და მათი ხმაურით შეწუხდნენ ღმერთები. სხვადასხვა საშუალებით ცდილობს ენლილი შეამციროს ადამიანთა რიცხვი, თუმცა ენქის დახმარებით ისინი მაინც ახერხებენ გადარჩენას და ხმაური უფრო იზრდება. საბოლოოდ, ენლილი მოავლენს წარღვნას. ამ შემთხვევაში რჩეულის როლშია ათრახასისი – „მეტად ბრძენი“. იგი აგებს კიდობანს და ავსებს მას საკვებითა და სხვადასხვა ქმნილებებით (ეს ეპიზოდი დაწვრილებით არის აღწერილი). წარღვნის დროს ღმერთების გოდება გამაყრუებელია, „ენქის ეცვალა ცნობიერი ხედავდა რა თავისი შვილების აღსასრულს“. ღმერთები ენლილს ადანაშაულებენ, რომელმაც „თქვა ავყიობა მსგავსად იმ თირურუ(დემონისა)“. წარღვნის შემდეგ ათრახასისიც იგივეს აკეთებს რასაც ზიუსუდრა : „მან დაალაგა... მოამარაგა საკვები..“, შესწირა ღმერთებს, რომლებიც „როგორც ბუზები (ისე) შესაწირზე შეიკრიბნენ“. აქ მოეწყო ენლილის სასამართლო, სადაც გაკიცხეს იგი თავისი გადაწყვეტილების გამო და ასევე გადაწყვიტეს ადამიანებს შორის ყოფილიყო ფატიშუ–დემონი, რომელიც მოიტაცებდა ბავშვებს, შეწყვეტდა ორსულობას და ამით შეაფერხებდა ადამიანთა მოდგმის ზრდას.

მესამე, ეს არის უთნაფიშთის მითი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია სრული სახით, ვინაიდან იგი შესულია გილგამეშის ეპოსში. ჩაწერილია ძვ.წ XII-XI საუკუნეების მიჯნაზე, აქადური ენის ასურულ დიალექტზე. ეპოსი ეძღვნება გილგამეშს, რომელიც არის 2/3 ღმერთი. მას შემდეგ, რაც მეგობარი, ენქიდუ გარდაიცვლება, გილგამეშს იპყრობს სიკვდილის შიში და სურს უკვდავება. იგი სთხოვს უთნაფიშთიმს, გაანდოს უკვადების საიდუმლო და სწორედ აქ იწყებს უთნაფიშთი წარღვნის ამბის მოყოლას, რომ ღმერთებმა განიზრახეს ადამიანთა მოდგმის განადგურება. კეთილმა ღვთაება ეამ კი, მას გაანდო საიდუმლო და უბრძანა აეგო ხომალდი, „აიყვანე თესლი ყოველი სულდგმულისა ხომალდის შიგნით“. დაწვრილებით არის აღწერილი ხომალდის აგება, მისი ზომები და ყველაფერი ის, რაც მოთავსდა მასში. წარღვნის დროს ღვთაებები კვლავ მოთქვამენ, „კიოდა ქალღვთაება იშთარი მშობიარესავით“, მოთქვამდა მათი ადამიანთა შემქმნელი „მე ვარ, ვინც ვბადებდი მათ, ახლა კი შვილები თევზებივით ავსებენ ზღვას“. როცა წყალმა იკლო, უთნაფიშთი გამოვიდა კიდობნიდან და ოთხივე მხარეს შესწირა მსხვერპლი. ღვთაებებმა იყნოსეს რა კეთილსურნელება, ხარობდნენ და გაკიცხეს ენლილი და არ მიუშვეს საკმეველთან, რადგან „არ იაზრა კარგად და დაადგინა წარღვნა“. ენლილი განრისხდა როცა დაინახა გადარჩენილი ადამიანები. მადლიერმა ღმერთებმა უთნაფიშთის და მის ცოლს მიანიჭეს უკვდავება (უთნაფიშთი – „იპოვა (მუდმივი) სიცოცხლე“) და დაასახლეს „შორეთში მდინარეთა დასაბამთან“.

ბოლოს ჩვენს ხელთაა წარღვნის გვიანდელი და ბერძნულენოვანი ვარიანტი, ქსისურთოსის მითი. იგი ჩაწერა ბაბილონელმა მწერალმა ბეროსოსმა ძვ.წ. IV-III საუკუნეებში. ქსისურთოსი არის მეფე, რომელმაც „იმეფა თვრამეტი საროსი და ამ დროს მოხდა წარღვნა“. მოსალოდნელი საფრთხის შესახებ იგი გააფრთხილა კრონოსმა და უბრძანა ყველა თიხის ფირფიტა ქალაქ სიპაროსში დაემარხა და აეგო ხომალდი, აეყვანა ოჯახი, მეგობრები და ცხოველები. წარღვნის შემდეგ კიდობანი მიადგა მთას. ქსისურთოსი გარეთ გამოვიდა ცოლთან, ქალიშვილთან და მესაჭესთან ერთად. მან ააგო საკურთხი, მსხვერპლი შესწირა ღმერთებს და გახდა უხილავი, მიიღო უკვდავება და ღმერთებთან ერთად დაიწყო ცხოვრება. კიდობანში მყოფთ კი ღმერთებმა დაავალეს ფირფიტების პოვნა და გავრცელება.

რა არის ის, რაც აერთიანებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მითს? პირველ რიგში, ეს არის ის, რისი საშუალებითაც მოხდა წარღვნა – წყალი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სწორედ წყალი არის პირველსაწყისი. ენუმა ელიშში ჩვენ გვაქვს ორი საწყისი, მამრი – აპსუ/აბზუ და მდედრი – თიამათი. ორივე წარმოდგენილია წყლის (მტკნარი და მლაშე) სახით. მათი აღრევით თიამათი შობს ღმერთებს, რომლებმაც ხმაურით (Rigmu) შეაწუხეს აპსუ და აამღვრიეს თიამათის შიგანი. დაამყარეს ქაოსი კოსმოსის ადგილას და განარისხეს აპსუ, რომელიც გადაწყვეტს ბოლო მოუღოს მათ, რათა მშვიდად იძინოს ისევ (შუამდინარულ წარმოდგენებში ძილის სუბსტანცია თხევადია). წარღვნის მითში ენლილი სწორედ იგივე ხმაურის გამო ჩივის და ამბობს, რომ rigmu არ აძლევს საშუალებას მშვიდად იძინოს. თითქოს ისტორია მეორდება. თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ ადამიანი შექმნილია ამბოხებულ ღმერთ ქინგუს სისხლისგან, რის გამოც ადამიანთა მოდგმა უკვდავია, (რასაც წარღვნის მითიც ადასტურებს) ვინაიდან ღმერთის მოკვლა შეუძლებელია. იგი მოლოდ გარდაისახება.

ადამიანში ისევე ჩაიდო ამბოხი და ქაოსი, როგორც სიბრძნე და კოსმოსი. მასში არის ერთგვარი ბალანსი, რომლის დარღვევამამაც, სავარაუდოდ, გამოიწვია ღმერთებისთვის ესოდენ აუტანელი ხმაური. „ერას ეპოსშიც“ ღვთაება ერა იგივე ხმაურს უჩივის, რომელიც ურღვევს მშვიდ ძილს. მას სურს დაისადგუროს სიმშვიდემ, ანუ კოსმოსმა. ხმაური კი წარმოქმნის ქაოსს, რის წინააღმდეგაც იბრძვიან ღმერთები დასაბამიდან.

კოსმოსის გამოხატულებაა დურანქი, კავშირი ცისა და მიწისა. ენლილი (ჰაერი) ჩადგა ანუს (ცა) და ქის (მიწა) შორის, რათა დაემყარებინა ბალანსი, ერთდროულად განეკვეთა ცა და მიწა ერთმანეთისგან და ასევე არ გაეწყვიტა კავშირი მათ შორის. დურანქის გამოხატვაა ზიქურათი. გავიხსენოთ წარღვნის დასრულების შემდეგ რჩეულის ქმედება; იგი წირავს მსხვერპლს. ეს ჟესტი და საკურთხი შეიძლება გამოხატავდეს კოსმოსის დაბრუნებას დედამიწაზე მით უმეტეს, რომ კიდობანი ჩერდება მთაზე, რაც სიმბოლოა დურანქისა. ბოლოს და ბოლოს ხომ ეს იყო ენლილის მიზანი, რომ დაეხშო rigmu სამყაროს ამოყირავებით, (გავიხსენოთ მთვარის ღმერთი სინი) რათა კვლავ სიმშვიდეს დაესადგურებინა. იქნებ, თავად ენლილსაც არ სურდა ადამიანთა მოდგმის ბოლომდე განადგურება, რადგან ადამიანის გარეშე თავად ღმერთებიც ვერ იარსებებდნენ, ვერ მიიღებდნენ საზრდოს. შესაძლოა სწორედ ამიტომ გამოიყენა მან წყალი, ყოველივეს საწყისი, რათა არ შეწყვეტილიყო ციკლი.

ენქიც ისევე იბრძვის „შვილების“ გადასარჩენად, როგორც ერთ დროს თიამათი იბრძოდა აპსუს წინააღმდეგ. თუმცა არ ჩანს ამის კონკრეტული მიზეზი. თითქოს ენქისთვის ადამიანი კოსმოსის აუცილებელი ნაწილია. მართლაც, იგი ხომ არ ასვენებს ენლილს და ძილს უფრთხობს მას. ძილს, რომელიც ასოცირდება სიკვდილთან. რა მოხდება თუ ენლილი ღრმა და მშვიდი ძილით იძინებს? იგი დაემსგავსება წაქცეულ ხეს, რომელმაც დაკარგა დურანქის მნიშვნელობა. ცა და მიწა კვლავ შეერთდება და სამყაროს კვლავ ქაოსი შთანთქავს. ამ ქაოსში კი თიამათის წიაღი მუდმივმოქმედია და იგი შობს სხვადასხვა ურჩხულებს. ამ ყველაფრის ფონზე გასაკვირი არ უნდა იყოს ენქის დაუზარელი ძალისხმევა, რათა გადარჩეს ის, რაც გადაარჩენს თავად ღმერთებსაც.

წარღვნამ ისევე განკვეთა დრო, როგორც ერთ დროს მარდუქმა თიამათი („განკვეთა ურჩხული მშვენიერ ნივთთა შესაქმნელად“). წარღვნის შემდეგ იქმნება ყოველივე მეტად დიდებული. იგება ქალაქები (ური, ურუქი...), იქმნება დამწერლობა, ეპოსები... თითქოს ადამიანები დაჯილდოვდნენ და ეს

ჯილდო იყო ცოდნა, შემეცნების ძალა. ეს ჩანს წარღვნამდეც. მაშინ, როცა ენქი ორაკულივით მოქმედებს და ამავეს ასწავლის რჩეულთ. ენქია „მეების“ პირველი მფლობელი ღმერთი, ბრძენი ღმერთი, რომლის გაცურებასაც ახერხებს ინანა და იღებს „მეებს“, რათა ადამიანებს მისცეს ისინი. მაგრამ იქნებ თავად ენქისაც სურდა ეს მომხდარიყო? იქნებ ენქი ადამიანს აძლევს შანსს, რომ გახდეს უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ მსახური.


კულტურა და ცივილიზაცია

კაში-სინათლის ქალაქი

ყველა კულტურა ღირებულია იმ კონკრეტული მოსახლეობისთვის რომელშიც ისინი ცხოვრობენ, ამას ძირითადად ტერიტორია და ემოციური კავშირები განაპირობებს, მაგრამ ინდური კულტურის შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ის საზოგადო კულტურაა, ვინაიდან ის არის მეცნიერული პროცესი, რომელიც მიმართულია ადამიანის განთავისუფლებასა და კეთილდღეობისაკენ. არცერთი სხვა კულტურა არ უყურებს ადამიანს იმ სიღრმითა და გაგებით, რამდენადაც ამას ინდოეთის კულტურა აკეთებს, იგი წარმოუდგენლად რთული და გონებამახვილური პროპორციების ქაოსს წააგავს, მაგრამ ამ ერთი შეხედვით ქაოსის ქვეშ არის მეცნიერული საფუძველი, რომელიც ათასობით წლისაა. სწორედ ასეთ ძველ კულტურას წარმოადგენს კაში იგივე ვარანასი, რომელიც დღეს ცნობილია როგორც რიტუალების ცენტრი და სულიერი ზრდისთვის შექმნილი ფენომენალური ინსტრუმენტი. სწორედ აქ ატარებდნენ მთავარ რიტუალებს იოგები, მისტიკოსები და გურუები. კაში არის ერთ-ერთი უძველესი საცხოვრებელი ქალაქი პლანეტაზე. მარკ ტვენი ამბობდა: ,,ბარანასი (ასეც მოიხსენიება ხშირად) უფრო ძველია, ვიდრე ისტორია, ვიდრე ტრადიცია, უფრო ძველი ვიდრე ლეგენდა, და გამოიყურება ორჯერ უფრო ძველად ვიდრე ყველა მათგანი.“ მისი ადრეული ისტორია იწყება ძვ.წ II საუკუნიდან, როდესაც არიელები სახლდებიან შუა განჯის ხეობაში. ათასწლეულების განმავლობაში იგი წარმოადგენდა არიელთა რელიგიის, ფილოსოფიის,

კომერციულ და სამრეწველო ცენტრს, რომელიც ცნობილი იყო თავისი მუსლინისა და აბრეშუმის ნაწარმით, პარფიუმერიითა და სპილოს ძვლის ნაკეთობებით თუ ქანდაკებებით. ვარანასი იყო კაშის სამეფოს დედაქალაქი ბუდას დროს (ძვ.წ VI საუკუნე). მოგვიანებით, ვარანასი დაპყრობილი იყო მუსლიმების მიერ სამი საუკუნის განმავლობაში 1194 წლიდან. ქალაქის მრავალი ინდური ტაძარი განადგურდა და სწავლული მეცნიერებიც სხვა მხარეში გაიქცნენ. მე-16 საუკუნეში მუღალის იმპერატორმა აკბარმა განაახლა ქალაქის რელიგიური და კულტურული საქმიანობა, მაგრამ მე-17 სააუკუნეში მეფე აურანგზობის დროს კვლავ უკუსვლა დაიწყო, თუმცა მოგვიანებით, მარათებმა (ხალხი ინდოეთში-მაჰარაშტრას შტატის ძირითადი მოსახლეობა) ახალი აღორძინება დაიწყეს. მე-18 საუკუნეში ვარანასი დამოუკიდებელი სამეფო გახდა, ხოლო ბრიტანეთის შემდგომ პერიოდში იგი კვლავ სავაჭრო და რელიგიურ ცენტრად დარჩა. 1910 წელს ბრიტანელებმა ვარანასი- ახალი ინდური სახელმწიფო შექმნეს, სადაც რამაგარი (მოპირდაპირე სანაპიროზე) შტაბი იყო, მაგრამ იურიდიულად არ არსებობდა ქალაქ ვარანასი. 1947 წელს, ინდოეთის დამოუკიდებლობის შემდეგ, ვარანასი გახდა უტტარ პრადეშის შტატის ნაწილი. არსებობს ისტორია შივას (დიდი ღმერთი, უსახო და უსახელო ღვთაების ერთ-ერთი სახე) კაშიში ჩასვლის შესახებ. მეფე დივოდას არ სურდა, რომ ის ქალაქში შესულიყო, რადგან იცოდა, შივა რომ ყოფილიყო იქ, ის აღარ იქნებოდა მთავარი ფიგურა. ამიტომ მან მიმართა მოსახლეობას: ”მეფეს შეუძლია მართოს ქალაქი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველანი მხოლოდ მას აღიარებენ. თუ გინდათ, რომ მე ქალაქი განვაგო, შივა არ უნდა ჩამოვიდეს. თუ ის მოვა, მე წავალ. ” შივამ კაშიში ორი ,,მსახური“ გაგზავნა რათა გაეგო როგორ მოეშორებინათ მეფე, არც ერთი უკან არ დაბრუნებულა და შივას შეუთვალეს რომ კაში შეუყვარდათ და ამ ქალაქში რჩებოდნენ, შივამ კიდევ ორი ,,მსახური“ გააგზავნა, თუმცა არც ისინი დაბრუნებულან. დღეს კი კაშის ოთხ კუთხეში, ოთხი საზოგადოებრივი სივრცეა, სადაც წარგზავნილები დასახლდნენ. შივამ შემდგომ განაპატი გაუგზავნა არც ის დაბრუნებულა, შემდგომ კუბერა, არც ის აღარ დაბრუნებულა, ამიტომ იძულებული იყო თვითონ წასულიყო, თუმცა ისიც აღარ დაბრუნებულა უკან და დარჩა-იმდენად მომნუსხველი და ლამაზი იყო ეს ქალაქი. უამრავი მეცნიერი საუბრუბდა იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა ჰქონოდა ამ ქალაქს ამგვარი რთული და სრულყოფილი გეომეტრიული ფორმების დიზაინი. ასევე საუბრობდნენ იმაზე, რომ კაშის ცენტრი იყო ენერგიის ძლიერი ფორმა, რომელმაც შექმნა სინათლის კოშკი, უამრავმა ბრძენმა და წმინდანმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ კაში რეალურად იყო ენერგიის ფორმა. დღესაც ეს ნაწილი ხელუხლებელია, მართალია, მთავარი ტაძარი გატეხილია, მაგრამ ეს არ უშლის ხელს რიტუალს, რომელიც საღამოს 7:30 ტარდება სახელად-საფტა რიში აარტი-რომელიც შივამ ასწავლა იოგებს და გაუშვა ისინი სხვადასხვა მხარეში, რათა გაევრცელებინათ. ეს რიტუალი ემსახურება ენერგიის მიღებას და გადაცემას, რომელსაც 7 იოგი ან მღვდელი ასრულებს. ამ რიტუალში მონაწილეობა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, თუმცა აქ მთავარი პროცესის სწორად წარმართვაა და განსაკუთრებულ უნარებს და ენერგიას საჭიროებს. ამის საშუალებით ადამიანის შინაგან სამყაროში შეღწევა შეგვიძლია იმდენად, რამდენადაც ვერ წარმოვიდგენდით. ასევე აქ ტარდება განგის ფესტივალი ნოემბერში ან დეკემბერში, რომელიც ეძღვნება მდინარე განგის ქალღმერთს, რომელიც ყველა ინდოელის მიერ წმინდად მიიჩნევა. ათასობით ნათურა იდება ხის ნაჭრებზე და მდინარეზე გადის, რომელიც ულამაზესი სანახავია. უამრავი ტაძრის გარდა ამ

ქალაქში არის სამი უნივერსიტეტი, ათზე მეტი კოლეჯი და საშუალო სკოლა, რომლებშიც ტრადიციულ ჰინდუს ასწავლიან.

ქალაქი დღესაც წარმოადგენს ხელოვნებისა და ხელნაკეთობების, მუსიკისა და ცეკვის ცენტრს. ვარანასი განთქმულია აბრეშუმის და ბროკადების წარმოებით, ოქროსა და ვერცხლის ძაფებით. აქ არის ასევე ცნობილი ხალიჩების ქსოვილის ცენტრი. ასევე ვარანასში იწარმოება ხის სათამაშოები, შუშისგან გაკეთებული ბუშტები, სპილოს ძვლის ნაწარმი და სპილენძის საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

ტურისტებს საშუალება აქვთ დაათვალიერონ ეს ულამაზესი ქალაქი, სადაც დატკბებიან უძველესი ნაგებობებით და შეუძლიათ დაესწრონ არაერთ რიტუალს და ეზიარონ კაშის კულტურას.

რელიგიების კომპლექსი კაიროში

مجمع الأديان

რელიგიათა კომპლექსი მდებარეობს ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში, კერძოდ ძველ კაიროში, ისტორიული ბაბილონის ციხესთან ახლოს. ეს კომპლექსი აერთიანებს: დაკიდულ ტაძარს, წმინდა გიორგის ბერძნულ-მართმადიდებულ ეკლესიას, ამრ იბნ ალ-ასის მეჩეთს, ბენ ეზრას სინაგოგას და კიდევ რამოდენიმე ეკლესიას.

ამ რეგიონის ისტორიას მივყვართ ძველი ფარაონების ხანასთან. ეს იყო ადგილი, სადაც გამუდმებით ხდებოდა შეტაკებები. თავდაპირველად აქ იყო ოსირისის წარმართული ტაძარი, შემდეგ რუმინელთა ციხე-სიმაგრე, რომელიც დღეს ცნობილია ბაბილონის ციხის სახელით.

დაკიდული ტაძარი

დაკიდული ტაძარი მდებარეობს რელიგიათა კომპლექსში და ერთ-ერთია რეგიონის სიძველეთა შორის. ის აშენდა ბაბილონურ-რუმინული ციხე-სიმაგრის თავზე, მიწის ზედაპირიდან 13 მეტრზე (სწორედ ამიტომ ეწოდა „დაკიდული“) და იქცა მიმდებარე არეალის უმაღლეს ნაგებობად.

თარიღდება ჩვ.წ. Vს-ით და ის შესულია ეგვიპტის უძველეს ეკლესიათა სიაში. მის ადგილას თავდაპირველად იყო ფარაონების ტაძარი. ჩვ.წ. 80 წელს რუმინელთა იმპერატორმა ააშენა ბაბილონურ-რუმინული ციხე-სიმაგრე წარმართული ღვთისმსახურებისათვის, თუმცა მალევე რუმინელები მოექცნენ ქრისტიანობაზე და წარმართული ტაძარი გადააკეთეს უძველეს რუმინულ ეკლესიად ეგვიპტეში, რომელიც დღემდე მოქმედია და აღევლინება რელიგიური ღვთისმსახურება.

ზოგი მეცნიერის მოსაზრებით, ეს ის ადგილია,სადაც ცხოვრობდა წმინდა ოჯახი 3 წლის განმავლობაში (ღვთისმშობელი მარიამი, ყრმა იესო და იოსებ დამწინდველი). ისინი გაურბოდნენ პალესტინის მმართველ ჰეროდეს, რომელმაც წინასწარმეტყველების საფუძველზე ბავშვების დახოცვა ბრძანა. ხოლო ზოგიერთი თვლის, რომ ეს იყო განმარტოების ადგილი, სადაც ცხოვრობდნენ ასკეტი ბერები და რომლებიც ამ ადგილს აფარებდნენ თავს.

დაკიდულ ტაძარს გამოარჩევს ის ფაქტიც, რომ მასში ერთიანდება 120 ხატი, რომლის მნიშვნელობაც განუზომელია და ეს ხატები გადანაწილებულია კედლებზე, ასევე, მის შიგნით არის კიდევ ერთი ეკლესია, რომელშიც ასვლა შესაძლებელია ხის კიბეებით.

მეთერთმეტე საუკუნეში ის წარმოადგენდა რამდენიმე პატრიარქის რეზიდენციას.

ტაძარი რესტავრირდა რამდენჯერმე,მათ შორის ჰარუნ არ-რაშიდის დროს, როდესაც პატრიარქმა მარკოზმა მმართველისგან მოითხოვა მისი განახლება. ხოლო მეორედ, ფატიმიანთა ხალიფას დროს, როდესაც მან

ნება დართო პატრიარქ - ეფრემ ასურს განეახლებინა გარკვეული რაოდენობა ეკლესიებისა ეგვიპტეში.

წმინდა გიორგის ბერძნულ-მართმადიდებლური ეკლესია

წმინდა გიორგის ბერძნულ-მართმადიდებლური ეკლესია მდებარეობს რელიგიათა კომპლექსში და თარიღდება ჩვ.წ. 684წ-ით. აგებულია ადრეული ქრისტიანული ხანის ერთ-ერთი ქველმოქმედის შეწევნით.

გადმოცემის თანახმად, აშენებულია ბაბილონის ციხის ნანგრევებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტეში მსგავსი სახელით კიდევ 371 ეკლესიაა, ის გამოირჩევა უნიკალური ფორმით. მისი წრიული დაპროექტება განსხვავდება ყველა სხვა დანარჩენი ეკლესიისაგან. ეს ფორმა შთაგონებულ უნდა იყოს ნოეს კიდობნისაგან, რომელიც ურყევ რწმენასა და ერთგულებას გამოხატავს. ეკლესიაში არის მომლოცველებისათვის იშვიათი კოპტური ხატები, რომლებიც თარიღდება XI-XVსს-ით.

თავდაპირველად, ეს იყო დაპირისპირებათა ადგილი, როდესაც ქრისტიანობა ჯერ კიდევ ახალი იყო და იდევნებოდნენ ქრისტიანობის მიმდევრები, ამიტომ ამ ბრძოლების დროს ეკლესიის გარკვეული ნაწილი დაზიანდა. მწვალებლების შემოსევის შემდეგ ამ ეკლესიაზე უნდა ეზრუნა ქალამუნის მონასტრის წინამძღოლს, იღუმენ მარკოზს, რომელმაც მთელი ქონება ამ ეკლესიას მოახმარა.გადმოცემის თანახმად ამ პერიოდში ეკლესია უნდა ყოფილიყო სამყოფელი ბერებისათვის.

ეკლესიას აქვს სამი მთავარი კარი: პირველი კარი,რომელიც დასავალეთით მდებარეობს გამოიყენება დღესასწაულებისა და წირვის დროს, ჩრდილოეთით მდებარე კარი ყოველთვის დაკეტილია,ხოლო მესამე კარი ღიაა ვიზიტორებისათვის. ასევე, აქვე არის პატარა კარი,რომელსაც ნათლობის დროს აღებენ.

აქ აღმოჩენილია საზომი ხელსაწყო, რომელსაც იყენებდნენ ნილოსში წყლის დონის განსასაზღვრად. აქ მდებარეობს ოთახი, სადაც შეპყრობილი ჰყავდათ წმინდა გიორგი და შესაბამისად ამ ოთახში ვხვდებით მწვალებლურ საშუალებებს, მაგალითად, როგორიცაა მათრახი,ლურსმნები,რკინის ჯაჭვები.

ეკლესიაში ვხვდებით, ფერად ჩუქურთმებს, თანამედროვე სტილის სვეტებს, ხის ორნამენტებს, რაც ეკლესიას დამატებით ელფერს სძენს.

ამრ იბნ ალ-აასის მეჩეთი

ამრ იბნ ალ-ასის მეჩეთი ეგვიპტეში პირველი ისლამური უნივერსიტეტია, რომელშიც არაბულ მეცნიერებებსა და ისლამის მოძღვრებას ასწავლიდნენ.

ეგვიპტის ახალი დედაქალაქის - ფუსტატის დაარსების შემდეგ, ხალიფამ გადაწყვიტა აეგო მეჩეთი, სადაც მუსლიმები შეძლებდნენ ლოცვას დღეში ხუთჯერ და ასევე, შეიქმნებოდა სივრცე პარასკევის ლოცვისთვისაც.

გადმოცემის თანახმად, თავდაპირველი ადგილმდებარეობა მეჩეთისა ფრინველმა შეარჩია. ამრ იბნ ალ-ასმა ხალიფა ომარის ბრძანებით გაათავისუფლა ეგვიპტე რომაელთაგან. 641 წელს ამრი დაბანაკდა ნილოსის აღმოსავლეთ მხარეს, დელტის სამხრეთ ნაწილში,სადაც ბრძოლამდე ცოტა ხნით ადრე მტრედმა კვერცხი დადო მის კარავში. როდესაც ამრი გამარჯვებული დაბრუნდა, მას ახალი ადგილის არჩევა სურდა ახალი დედაქალაქისთვის, ამიტომ ამრმა მტრედის კვერცხის ადგილი წმინდად გამოაცხადა და იგი მისი ახალი ქალაქის, ფუსტატის ან მისრ ალ-ფუსტატის ცენტრად აქცია. მოგვიანებით, ამავე ადგილას აშენდა მეჩეთი.

თავდაპირველი განლაგება მეჩეთისა იყო მარტივი ოთხკუთხედი. ეს იყო დაბალი ზომის ფარდული პალმის ხის ტოტების, ქვებისა და ტალახის აგურისგან გაკეთებული სვეტები, რომლებიც დაფარული იყო ხის და პალმის ფოთლების სახურავით. იატაკი ხრეშით იყო მოფენილი. შენობის შიგნით მექისკენ მიმართული ორიენტაციის ნიშა არ არსებობდა. ამის ნაცვლად, ააშენეს ოთხი სვეტი, რომელთაგან ერთ-ერთზე იყო კიბლა ანუ მიმართულება მექისაკენ. ეს საკმარისი იყო ამრის ჯარისთვის სალოცავი ადგილის უზრუნველსაყოფად, მაგრამ მას არ ჰქონდა სხვა დეკორაციები და არც მინარეთები.

დღესდღეობით მეჩეთი საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. გამოირჩევა თავისი არქიტექტურით, ამასთანავე წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ტურისტულ ადგილს კოპტურ კაიროში.

ბენ ეზრას სინაგოგა

ბენ ეზრას სინაგოგა ან ელ-გენიზა მდებარეობს ძველი კაიროს რელიგიათა მუგამაში. ადგილობრივი გადმოცემის თანახმად სწორედ ამ ადგილას იპოვეს ჩვილი მოსე, რაზეც მიუთითებს წიგნები, რომლებიც აღმოაჩინეს მარმარილოს ნაგებობაში, ტაძრის შუა ნაწილში.

ბენ ეზრა, როგორც ინსტიტუტი, ერთ-ერთი უძველესია კაიროში. მრავალჯერ რესტავრირდა, ხოლო ამჟამინდელი შენობა 1890-იანი წლებით თარიღდება.

სინაგოგა რამდენჯერმე გაიყიდა და ამავდროულად გადაკეთდა, მაგრამ საბოლოოდ მიიღო ის სახე, რომელიც მას ამჟამად აქვს.

ასწლეულობით იყო მივიწყებული ეგვიპტეში ძველი კაიროს (ფუსტატის) ბიბლიოთეკა მანამ, სანამ მის შესახებ რუმინელმა ებრაელმა ჯეიკობ საფირმა არ შეიტყო და აღწერა წიგნში 1874 წელს.

ბენ ეზრას სინაგოგის კედლებში დამალული 280 000 ებრაული მანუსკრიპტის საცავი „კაირო გენიზას“ სახელითაა ცნობილი. სიტყვა „გენიზა“ ძველი ივრითულიდან მოდის და თავდაპირველად დამალვას ნიშნავდა, მოგვიანებით კი არქივის მნიშვნელობითაც გამოიყენებდნენ. 1000 წლის განმავლობაში ძველ ეგვიპტეში, ფუსტატში მცხოვრები ებრაელები ტექსტებს მათთვის წმინდა ადგილზე ინახავდნენ. ნიუ-იორკერის მიხედვით კაირო გენიზა მანუსკრიპტების ხელუხლებელი არქივია, რომელიც ინახავს ეგვიპტეში მცხოვრები ებრაელების შესახებ ცნობებს მე-9-დან მე-19 საუკუნემდე. ეს მსოფლიოში ერთადერთი არქივია,

რომელიც უწყვეტად აღწერს ეგვიპტეში ებრაელთა ცხოვრების ათასწლეულს.

კაირო გენიზას მასალების დიდი ნაწილი კემბრიჯის ბიბლიოთეკაშია დაცული, ნაწილი კი – ებრაულ თეოლოგიურ სასწავლებელში.

ჩვენი ვიზიტისას ეგვიპტეში, კოპტური ანუ ძველი კაიროს უბანი იყო ერთ-ერთი პირველი დანიშნულების ადგილი ტურისტულ რუკაზე და ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა:

პირველი იყო ის, რომ ეს ადგილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენს რელიგიების კომპლექსს და მასში უამრავი სიძველეა დაცული და მეორე ის, რომ რელიგიათა კომპლექსი გვახსენებდა ძველ თბილისს, სადაც ერთ ქუჩაზე განლაგებულია მეჩეთი, ეკლესია და სინაგოგა და წარმოადგენს ტოლერანტობის კარგ მაგალითს.

ქალწულის კოშკი

თურქეთის კულტურულ საგანძურთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია Kız kule - ქალწულის კოშკი, რომელიც ცნობილია მაიდნის კოშკისა და ლეანდროს კოშკის სახელითაც. კოშკი მდებარეობს ბოსფორის სრუტის ანადოლუს კალთაზე, ისკადარის სანაპიროს მახლობლად, სტამბოლში. ქალწულის კოშკი ძველი ქალაქის სიმბოლოდ იქცა. მას საფუძვლად უდევს მრავალი ლეგენდა და ისტორიული თქმულება.

ქალწულის კოშკის აგების ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა ისტორიული წყაროებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ იგი ანტიკური ბიზანტიური ხანისაა. კოშკი დაახლოებით 2500 წელს ითვლის. ეს უნიკალური მშენებლობა სტამბოლის ისტორიის მოწმეა. ძვ. წ. 411 წელს, ათენსა და სპარტას შორის გაჩაღებული ომის დროს, სტამბოლი სპარტელებს მიემხრო. ამრიგად, ბოსფორის ევროპული ნაწილი სპარტის მფლობელობაში გადავიდა, აზიური კი — ათენის. საბოლოოდ, სპარტა დამარცხდა ათენთან ბრძოლაში, მაგრამ გამარჯვებულებს იერიში აღარ მიუტანიათ ბიზანტიონზე, უბრალოდ ბოსფორის სრუტეზე კონტროლი დააწესეს და მასზე გამავალ გემებს საბაჟო გადასახადი დაადეს. ფიქრობენ, რომ ათენელმა მხედართმთავარმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ, ალკიბიადემ, საბაჟო სადგური ააშენებინა ამ კლდოვან კუნძულზე. მისი ძირითადი დანიშნულება კი იყო სპარსული ხომალდების კონტროლირება, მაგრამ მატიანე დუმს იმხნად ამ ადგილას რაიმე კოშკის არსებობის შესახებ. რამდენიმე წლის შემდეგ ათენი მთლიანად დაეპატრონა ბიზანტიონს.

მაკედონიის მეფის, ფილიპე II-ის მუქარით შეშინებულმა ათენელებმა 40 სამხედრო გალერა გაგზავნეს ბიზანტიონში თავიანთი პოზიციების გასამაგრებლად. სამხედრო ფლოტის ადმირალმა, ჰარესმა ცოლიც თან იახლა, მაგრამ, მოგვიანებით, მისი მეუღლე ავად გახდა და ქრისოპოლისში (ახლანდელ უსქუდარში) გარდაიცვალა. გადმოცემის თანახმად, ადმირალს სამსხვერპლო აუგია თავისი ცოლისთვის იმ პატარა კლდოვან კუნძულზე, სადაც მოგვიანებით ქალწულის კოშკი იქნა აგებული.

სხვა ვერსიის თანახმად, ქალწულის კოშკის მშენებლობა დაკავშირებულია იმპერატორ კონსტანტინე დიდის მმართველობის ხანასთან.

ქალწულის კოშკი ერთ – ერთი ყველაზე რომანტიკული გარემოა მსოფლიოში, თავისი გულისამაჩუყებელი მითიური ისტორიითა და საინტერესო თანამედროვე ზღაპრებით.

მაიდნის კოშკის სახელთან მრავალი ლეგენდაა დაკავშირებული. მათგან ყველაზე მეტად გავრცელებულია ლეგენდა ლეანდრეს შესახებ. გადმოცემის თანახმად, ესკვარდის ზურგზე ყოფილა ტაძარი, რომელსაც ღვთისმშობლის აფროდიტე ერქვა. ლეგენდის ერთ-ერთი გმირი, ჰერო, ამ ტაძრის მონაზვნად იყო აღკვეცილი. ჰეროს მოვალეობა იყო კოშკში მტრედების მოვლა-პატრონობა. ყოველწლიურად,

გაზაფხულზე, ტაძრის გარშემო ტარდებოდა ცერემონიალი, სადაც სიყვარულის მაძიებლები იყრიდნენ თავს.

ლეგენდის მეორე მთავარი გმირი არის ლეანდროსი. იგი ბოსფორის მოპირდაპირე სანაპიროზე იჯდა. მოგვიანებით, ტაძარში წავიდა ზემოხსენებული ცერემონიის შესასრულებლად და სწორედ აქ შეხვდა ჰეროს. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ. სამწუხაროდ, წინ დაბრკოლებებით აღსავსე გზა ელოდათ, რადგან ჰერო მონაზონი იყო და ეკრძალებოდა ქორწინება. მიუხედავად ამისა, ლეანდროსი ყველანაირად ცდილობდა ჰეროსთან მიახლოებას. მაშინ, როცა კოზკულესის თავზე ხანძარი მძვინვარებდა, ლეანდროსი ხელში ჩირაღდნით მთვარის ნათელი შუქით განათებულ მშვიდ ზღვას გაჰყურებდა. იგი ჰეროს შეხვედრის ოცნებით გადაეშვა ბოსფორის წყლებში. გადაცურა და მიაღწია კოშკამდე, სადაც მათ აკურთხეს თავიანთი სიყვარული.

ამ დღის შემდეგ, კოზკულესი შეესწრო ორი ახალგაზრდის საიდუმლო სიყვარულს და მათი სიყვარულის ყოველსაღამოებრივ კრძალავს. ლეანდროსი თავს ტოვებს ბოსფორის მძვინვარებულ წყლებში, მშფოთვარე ღამით, რომ შეხვდეს მის ერთადერთ სიყვარულს ჰეროს. ეს ცერემონიალი გრძელდებოდა მთელი ზაფხულის მანძილზე, მაგრამ ზამთრის მოსვლამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ერთ ღამეს ჰეროსთან მიმავალ ლეანდროსს ფანარი წყალში ჩაუვარდა. სიბნელეში მიმავალმა კოშკამდე ვერ გაცურა და გაუჩინარდა ბოსფორის ბნელ წყლებში. ჰერო შეუქცევადი შფოთით დილამდე ელოდა ლეანდროსს. მოულოდნელად მან დაინახა მოპირდაპირე სანაპიროზე ლეანდროსის უსიცოცხლო სხეული. ვერ გაუძლებო ამ ტკივილს და კოზკულესიდან ბოსფორის წყლებში თავით გადაეშვა. სწორედ აღნიშნული ლეგენდა უდევს კოშკის ერთ-ერთ სახელს („ლეანდროს კოშკი“) საფუძლად.

მეორე ლეგენდა უკავშირდება ბიზანტიის ერთ-ერთი უცნობი იმპერატორის ქალიშვილს. ქალწულის კოშკი, როგორც სახელი მიგვანიშნებს, აუგიათ ერთ-ერთი დედოფლის დასაცავად. წინასწარმეტყველი, ბიზანტიის იმპერატორს გააფრთხილებს, რომ მისი ქალიშვილი მოკვდება გველის კბენის შედეგად. შეშფოთებული მეფე, ერთ-ერთ კუნძულზე, სადაც შეუძლებელი იქნებოდა გველების არსებობა, ქალთა ციხე- კოშკს გააშენებს და იქ განათავსებს თავის ქალიშვილს. მაგრამ, საუბედუროდ, კოშკზე, დედოფლისთვის წასაღებ კალათაში შემძვრალი გველი, უკბენს დედოფალს და მოკლავს. მამამისი, რკინის კუბოში ჩაასვენებს ცხედარს და აია სოფიის შესასვლელში, მაღლობ ადგილზე დაასვენებს. იმ რკინის კუბოს დღეს, ორი ნახვრეტი ატყვია. რწმენით, გველებს, რკინის კუბოშიც არ მიუციათ დედოფლისთვის მოსვენება.

ციხე-კოშკის მორიგი ლეგენდა უკავშირდება გაზი ბატალს. ლეგენდარული არაბი სარდალი თავისი ჯარით უსკუდარს ეწვევა. უსკუდარის გუბერნატორი ქალიშვილის დაცვის მიზნით ამ ციხე-კოშკს ააშენებს და იქ დააბინავებს ქალიშვილს. კუნძულზე ჩასული ბატალ გაზი, ცოლად შეირთავს გუბერნატორის ქალიშვილს და თან წაიყვანს მალათიაში.

რეალურ ისტორიებსა და ლეგენდარულ თქმულებებთან ერთად საინტერესოა კოშკის განვითარების ისტორიული ეტაპები. 1453 წელს სტამბოლის დაპყრობისას ეს ციხე-სიმაგრე უვნებელი გადარჩა და მას კვლავ სტრატეგიული მიზნებისთვის იყენებდნენ. მოგვიანებით, ამ ადგილას ააგეს ხის შუქურა, რომელიც მარმარილოს ზღვისკენ იყურებოდა. სტამბოლის აღების შემდეგ კოშკი კვლავ

მდუმარედ ადევნებდა თვალს, თუ როგორ ემატებოდა სისხლით დაწერილი ფურცლები კაცობრიობის ისტორიას — ბოსფორის სრუტეში სამხედრო ფლოტები ერთმანეთს ერკინებოდნენ, ხოლო ხმლის ტრიალში გაწაფული ჯარისკაცები ორთაბრძოლაში ებმებოდნენ; ბრძოლაში თოფის წამლითა და სხვა აალებადი მასალებით სავსე სატვირთო გემებსაც კი იყენებდნენ.

წლების განმავლობაში კოშკი სხვადასხვა მიზეზით ზიანდებოდა. მაგალითად, 1510 წლის სტამბოლის ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა მიწისძვამ ,რომელიც ცნობილია როგორც , ,,პატარა განკითხვის დღე“ დიდი ზიანი მიაყენა კოშკს. რეკონსტურქცია კი იავუს სულთან სელიმის პერიოდში დაიწყო.

შემდგომი ზიანი კოშკს მიადგა 1720 წელს ხანძრის შედეგად. დიდმა ხანძარმა იგი თითქმის მიწასთან გაასწორა. გარკვეული ხნის შემდეგ, დანგრეული კოშკი დამათ იბრაჰიმ-ფაშამ აღადგინა, რეკონსტრუქციისთვის მშენებლებმა ქვა გამოიყენეს და ნაგებობას, დამატებით, ტყვიით მოპირკეთებული მრავალსარკმლიანი კოშკურა დააშენეს. 1829 წელს, როდესაც ქოლერის ეპიდემიამ იფეთქა, დაიწყეს კოშკის საკარანტინო საავადმყოფოდ გამოყენება. ამ დროს მაიდნის კოშკი გამოიყენებოდა, როგორც "იზოლაციური საავადმყოფო". ეს კი ნიშნავს ადგილს, რომელიც იცავს ჯანმრთელ ადამიანებს ავადმყოფებისგან. მოგვიანებით, 1832 წელს, მაჰმუდ II-ის მმართველობისას, უკანასკნელი უდიდესი აღდგენითი სამუშაოები იქნა ჩატარებული. 1857 წელს კოშკი გადაეცა შუქურების სამმართველოს, რომელმაც ფრანგულ კომპანიას მისი მოქმედ შუქურად გადაკეთება დაავალა. მისი ავტომატიზაცია მთლიანად 1920 წლისთვის დასრულდა. შუქურის ფუნქციას ნაგებობა თითქმის ასი წლის განმავლობაში ასრულებდა.

ოსმალების ბატონობის პერიოდში კოშკს უმეტესწილად შუქურად იყენებდნენ. ის არა მარტო ღამით ეხმარებოდა ხომალდებს გზის გაკვლევაში, არამედ დღისითაც — თუ ნისლი იყო ჩამოწოლილი. პატარა გემები შტორმის დროს აქ ეძებდნენ მყუდრო სავანეს — ნაოსნები კოშკზე აბამდნენ მათ და ამგვარად უსხლტებოდნენ აბობოქრებულ ტალღებს. საზეიმო ცერემონიების დროს კოშკზე მოთავსებული ზარბაზნებიდან გაისროდნენ ხოლმე.

ოსმალების სამეფო კარი კოშკს ხანდახან სხვა დანიშნულებითაც იყენებდა. სახელმწიფო მოხელეები, რომლებსაც გადასახლება ან სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი, ჯერ აქ გადმოჰყავდათ და მერე აქედან აგზავნიდნენ სხვა ადგილებში და მიჰყავდათ განაჩენის სისრულეში მოსაყვანად.

XX საუკუნისთვის კოშკის დანიშნულება იცვლება. 1923 წლიდან მთავრობამ შეწყვიტა კოშკის თავისი ინტერესებისთვის გამოყენება და იგი მხოლოდ შუქურის მოვალეობას ასრულებდა. მეორე მსოფლიოს ომის მძიმე დღეებში კოშკი შეაკეთეს და შენობის შიდა ნაწილი ბეტონით გაამაგრეს. 1965 წლიდან კოშკი სამხედრო-საზღვაო ფლოტს გადაეცა და გარკვეული დროის განმავლობაში მასში სამხედრო-საკომუნიკაციო ცენტრი ფუნქციონირებდა. XX საუკუნის მეორე ნახევარში ბოსფორში საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტის მიმოსვლა უფრო ინტენსიური გახდა — სრუტეს სულ უფრო მეტი და დიდი გემები კვეთდნენ. დიდი გემების გამოჩენასთან ერთად, ქალწულის კოშკის სიმშვიდისა და განმარტოების ხანაც წარსულს ჩაჰბარდა. 1983 წლიდან მოყოლებული, კოშკს თურქეთის საზღვაო ადმინისტრაცია იყენებდა სამეთვალყურეო პუნქტად, საიდანაც სრუტეში საზღვაო ტრანსპორტის მოძრაობას არეგულირებდნენ.

1989 წლის დასაწყისში ბოსფორის „ქალწულმა“ კვლავ მიიპყრო უჩვეულო ინფორმაციით აფორიაქებული საზოგადოების ყურადღება. „ქალწულის კოშკი მოწამლულია!“ — ასე იყო დასათაურებული ერთი საგაზეთო სტატია. მასში ნათქვამი იყო, რომ ციანიდი, რომელსაც გემთსაშენში მდგარი ხომალდების პარაზიტებისგან სადეზინფექციოდ იყენებდნენ, ქალწულის კოშკში ინახებოდა. მანამდე ამ ქიმიურ ნივთიერებას დოკში არსებულ საწყობში ინახავდნენ, მაგრამ საწყობი გააუქმეს და „რადგან არ იცოდნენ, სად წაეღოთ“, ეს მომაკვდინებელი შხამი კოშკში გადაიტანეს. აი, ასე მოწამლეს ბოსფორის მარტოხელა „ქალწული“. ცნობაში კიდევ უფრო ყურადსაღები მომენტი იკვეთება: ციანიდის გაზი რომ აფეთქებულიყო, სტამბოლი კატასტროფას ვერ გადაურჩებოდა. რვა თვის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც ზემოხსენებული თემა საგაზეთო და სატელევიზიო განხილვის საგნად იყო ქცეული, პრობლება, როგორც იქნა, მოგვარდა; ციანიდით სავსე კონტეინერები სხვა ადგილას გადაიტანეს.

1992 წლის მაისში ახალგაზრდა პოეტების ჯგუფი ქალწულის კოშკისკენ გაემართა და, მერის მხარდაჭერით, საჯაროდ გამოაცხადა, რომ პოეტებს თითქმის მთლიანად მიგდებული კოშკის კულტურულ ცენტრად გადაქცევა სურდათ. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ საუკუნეების განმავლობაში უამრავი პოეტისა და მწერლის შთაგონების წყარო იყო. ამ მოვლენიდან ცოტა ხნის შემდეგ, კოშკში უკვე ეწყობოდა ხელოვნების ნიმუშებისა და ფოტონამუშევრების გამოფენები და რამდენიმე კონცერტიც გაიმართა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოშკი თავისი ფუნქციონალური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მას სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა. თავდაპირველად იყენებდნენ როგორც სამარხს. ცნობების თანახმად, ეს იყო ერთგვარი მავზოლეუმი, რომელიც შეიქმნა მარმარილოს სვეტებზე მეთაურ ჩარესის მეუღლისთვის. მაგრამ ზოგიერთი წყარო ხაზს უსვამს იმას, რომ საფლავი მდებარეობდა სალაყაკის (ზღვისპირა ქალაქი უქსკარდში, სტამბოლში) მხარეში.

მოგვიანებით, მან შეიცვალა ფუნქცია და სულ სხვა დანიშნულება მიიღო. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ახ.წ.აღ-ის მე-5 საუკუნეში ქალწულის კოშკი ალკიბიადესმა გამოიყენა სპარსელების გემების გასაკონტროლებლად. შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდში საკონტროლო პუნტქის ფუნქციას კისრულობდა ქალწულის კოშკი. აქვე უნდა ითქვას, რომ ალკაბიადესმა საბაჟო გადასახი დააწესა ბოსფორის შესასვლელსა და გასასვლელზე მიმავალ გემებზე. კოშკს კი საბაჟოს დანიშნულებითაც იყენებდნენ.

ახალი წელთაღრიცხვით მე-11 ს-ში ბიზანტიის იმპერატორმა მანუელ კომნენოსმა (1143-1178) ააგო კოშკი, რომელსაც თავდაცვითი ფუნქცია ჰქონდა. კოშკს სხელად ''Arcla '' ეწოდა, რაც პატარა კოშკს ნიშნავდა.

ქალწულის კოშკმა ადგილი დაიმკვიდრა და განვითრება ჰპოვა კულტურაშიც.რისი ნათელი მაგალითებიცაა :

1.კოშკი წარმოდგენილი იყო ჯეიმს ბონდის ფილმში ,,სამყარო არ არის საკმარისი“.

კოშკი ასევე ფონად ჩნს 1963 წლის ბონდის ფილმში ,,რუსეთი სიყვარულით“

2.კოშკი წარმოდგენილი იყო ფილმში ,,ჰიტმანი“.

3.კოშკი იყო წერტილი ამერიკული რეალობის თამაშების შოუში ,,The Amazing Race 7“.

4.კოშკი დიდად გამოირჩეოდა თურქულ დრამატურგიულ პროგრამაში ,,კურტლარ ვადისი“.

5.კოშკი წარმოდგენილი იყო თამაშში ,,Assassin's Creed,Revelations“ , სადაც ეს არის Masayaf-ის ერთი გასაღების ადგილმდებარეობა,რომელიც უნდა შეაგროვოს მთვარმა პერსონაჟმა თმაშის დასრულებისთვის.

6.კოშკი აშკარად იქნა გამოსახული სტამბოლიუს 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიადის წარუმატებელი შეთვაზებისთის.

გასაოცარია ის ფაქტი, რომ ამდენი ცვლილების, ნგრევისა და რეკონსტრუქციის შემდეგ კოშკი დღესაც განაგრძობს ფუნქციონირებას. საბოლოოდ, მიიღეს გადაწვეტილება, რომ კოშკი მნახველებისთვის გაეხსნათ. ამ მიზნით 1999 წელს მას კაპიტალური რემონტი ჩაუტარეს და განცხადებაც გააკეთეს იმის თაობაზე, რომ ერთი წლის შემდეგ, ტურისტული პროექტით, აქ რესტორნისა და კულტურული ცენტრის გახსნა იყო გათვალისწინებული. დღეს აქ ტურისტებსა და მნახველებს ემსახურებათ რესტორანი, კაფე-ბარი და სუვენირების მაღაზია. ტრანსპორტირება უზრუნველყოფილია პატარა გემებით.

„ძნელია იმ გრძნობების კალმით გადმოცემა, რა გრძნობებიც ბევრ ადამიანს ამ კოშკთან აკავშირებს. საყვარელი ადამიანები დაკარგა, თავს იმით ინუგეშებს, რომ მის სიმარტოვეს ეს კოშკი ყოველ საღამოს, როდესაც მზე ჩასასვლელად ემზადება, ყოველთვის ვიღაც დგას ქალაქის აზიური ნაწილის სანაპიროზე და ბინდბუნდში გახვეული სტამბოლის ფონზე აფერადებულ ქალწულის კოშკს გაჰყურებს. ვინ იცის, იქნებ იქ მრავლისმომსწრე მოხუცი დგას და ტკბილი მოგონებებისთვის მიუცია თავი, ან იქნებ სიცოცხლითა და იმედით სავსე ახალგაზრდა მამაკაცი განმარტოებულა და მომავალზე ოცნებობს. ანდა, შეიძლება, გულზე კაეშანმოწოლილი ქალი, რომელმაც იზიარებს. თურქმა პოეტმა, სუნაი აქინმა, რომელიც თავის ნაწარმოებებში ხშირად იხსენიებს ქალწულის კოშკს, ერთხელ თქვა: „სტამბოლის ყველაზე საშინელი ხედი ქალწულის კოშკიდან იშლება; და ეს იმიტომ, რომ იქიდან თვითონ მისი სილამაზე აღარა ჩანს“.

პოლიტიკა

ქალთა უფლებები საუდის არაბეთში

საუდის არაბეთი და ადამიანის უფლებების დაცვა არის საკმაოდ აქტუალური საკითხი, მარადიული განსჯის საგანი დასავლეთის ქვეყნებისათვის და ადამიანის უფლებათა დამცველთათვის. საუდის არაბეთის სამეფო გამოირჩევა მკაცრი კანონებითა და დამოკიდებულებებით საკუთარი მოქალაქეებისადმი, ეს კი განსაკუთრებით ეხება ქალებს. სამეფოში რელიგიურ ფუნდამენტსა და გააზრებას ეფუძნება კანონებიც, თუმცა საკმაოდ შესამჩნევია დისკრიმინაციული დამოკიდებულება ქალთა მიმართ და ნულოვანი გენდერული ბალანსი.

რელიგიური ინსტიტუტი ასრულებს მნიშვნელოვან როლს ქვეყნის მმართველობაში. სამეფოს მთავარი კანონმდებლობა დასაწყისშივე უთითებს ყურანსა და სუნას სტატუსს და მის მნიშვნელობას. რელიგიური ინსტიტუტები აკონტროლებენ სამეფოსთან დაკავშირებულ თითქმის ყველა საქმეს, სფეროს; სამეფოში შექმნილია საზოგადოებრივი ზნეობის პოლიტიკაც(public morality) და მკაცრად წარმოებს ამ უკანასკნელის აღსრულებაც. სამეფოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი ამბობს, რომ „სახელმწიფო დაიცავს ადამიანის უფლებებს ისლამური შარიათის შესაბამისად“, თუმცა ამ მუხლის დარღვევის უამრავი მაგალითი არსებობს. უფლებათა დარღვევა კი განსაკუთრებულად შესამჩნევია ქალების მიმართ. აღსანიშნავია, რომ სამეფოს კანონმდებლობა და რეალობა ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება. აგრეთვე, სახელმწიფო ბევრ ადამიანის უფლებათა დამცველ ხელშეკრულებას შეუერთდა, თუმცა სურათი ქვეყანაში მაინც მძიმეა. თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საუდელი ქალები არიან მარგინალიზებულნი.(Rajkhan, S.F. 2014). ეკონომიკურ მაჩვენებლებს თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ საუდის არაბეთი გამოირჩევა ქალთა დასაქმების დაბალი მაჩვენებლით მთელ შუა აღმოსავლეთში. ქალის მონაწილეობა და ჩართულობა ანაზღაურებად სამუშაოში არის სოციალური სტიგმა და მიიჩნევა, რომ მხოლოდ მამაკაცის მოვალეობაა იყოს დასაქმებული. კანონში ამაზე აქცენტი არაა გაკეთებული, თუმცა ქვეყანაში არსებობს საზოგადოებრივი აზრი, რომ ქალმა უნდა იზრუნოს საკუთარ ქმარსა და ოჯახზე და ესაა მისი უმთავრესი პასუხისმგებლობა და მოვალეობა. სამეფოში სამუშაო ასაკის დაახლოებით 8.5 მილიონი ქალია, თუმცა მათგან მხოლოდ 20 %-მდეა დასაქმებული, ისიც არასტაბილურად. ცალკე მტკივნეული საკითხია, დასაქმებული ქალებისა და მამაკაცების არათანაბარი შესაძლებლობები და მდგომარეობა. ქალები უფრო მეტად არიან ჩართულნი განათლებისა და სამედიცინო(მედდები) სფეროებში. რეალობაში მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ეს სფეროები ქალთა ბუნებას შეესაბამება. (მიქელაშვილი, 2019).

აღსანიშნავია, რომ ქალთა უფლებები საუდის სამეფოს საზოგადოებაში შეცდომითაა დაკავშირებული ისლამურ სწავლებასთან. გენდერული უთანასწორობა, რაც ასე აშკარა და შესამჩნევია სხვადასხვა ასპექტში საუდის ყოფაში, არის ინსტიტუციონალიზებული. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალთა მიმართ უთანასწორო დამოკიდებულება უკვე ტრადიციულად სტრუქტურირებულია საზოგადოებაში. საუდელი ქალები, განსაკუთრებით ბოლო წლებში, აქტიურად ცდილობენ ჩაერთონ სოციალურ ცხოვრებაში და მიაღწიონ სამართლიანობას, თუმცა ეს საკმაოდ რთულია საუდის სამეფოს რელიგიურ-პატრიარქალური საზოგადოების გათვალისწინებით.

ბოლო დროს, რელიგიური იდეოლოგია გახდა საუდელი ქალების იარაღი; ისინი ცდილობენ შეისწავლონ ისლამური იდეოლოგია სიღრმისეულად და გამოიყენონ ის ქალთა საკითხებში. ქალები სწავლობენ ე.წ. „კანონიერ ენას“, რელიგიურ ენას, ენას, რომელსაც ვერ შეეწინააღმდეგებიან მათი თანატოლი მამაკაცები თავიანთი მიზნების მისაღწევად. საუდელი ქალები, აგრეთვე, აქტიურად სწავლობენ შარიათის კანონებს, რათა შეძლონ ისლამის სახელით საუბარი, სამართლიანი და ობიექტური გარემოს შექმნა და სტატუს კვოსთან დაპირისპირება. (Rajkhan, S.F. 2014).

ქალთა გააქტიურებითა და სამეფოს პოლიტიკის გადახედვით, ბოლო წლებში შესამჩნევია ქალების მიმართ არსებული დისკრიმინაციული წესების შემსუბუქება. საუდის არაბეთში ყველა ქალს უნდა ჰყავდეს მეურვე მამაკაცი(ქმარი, მამა, ძმა, მამრობითი სქესის ახლო ნათესავი). 2019 წლამდე საუდელ ქალებს არ შეეძლოთ პასპორტის აღება და დამოუკიდებლად მოგზაურობა მეურვის ნებართვისა და თანხლების გარეშე. თუმცა 2019 წლიდან სამეფოს ბრძანებით, ქალებს დამოუკიდებლად მოგზაურობის უფლება მიეცათ. აქვე უნდა ითქვას, რომ რეალობა მაინც მძიმეა, ვინაიდან ყოფით ცხოვრებაში სტიგმები საკმაოდ ფესვგადგმულია. აგრეთვე, ახალი ბრძანების თანახმად საუდის არაბეთის მოქალაქე ქალებს ამიერიდან ქორწინების, განქორწინებისა და შვილის დაბადების მოწმობის დარეგისტრირება დამოუკიდებლად შეეძლებათ. ამასთან, დარეგულირდება კანონი, რომელიც ქალების მუშაობას ეხება. ამიერიდან საუდის არაბეთის ნებისმიერ მოქალაქეს მუშაობის უფლება ასაკის, სქესისა და სხვა სახის დისკრიმინაციის გარეშე ექნება. (1TV.GE)

მეფე სალმანმა 2019 წელს გამოსცა კანონი, რომლის მიხედვითაც, ქალებს არ დასჭირდებათ მეურვე მამაკაცების თანხმობა არც განათლების და არც სამედიცინო მომსახურების მისაღებად. თუმცა უფლებადამცველები შენიშნავენ, რომ ამ კანონების აღსრულება საკმაოდ ნელი ტემპით და რთულად მიმდინარეობს. აქვე ვახსენოთ ისიც რომ, 2018 წლის 15 თებერვლის ვაჭრობისა და ინვესტიციების სამინისტროს განცხადებით, ქალებს ამიერიდან აღარ დასჭირდებოდათ მეურვე მამაკაცთა თანხმობა ბიზნეს საქმიანობის დასაწყებად, თუმცა „საერთაშორისო ორგანიზაცია „Amnesty International” ვარაუდობს, რომ პრაქტიკაში ეს ყოველივე არ გატარებულა“. (COI-MRA. 2019).

2016 წელს საუდის არაბეთში ამოქმედდა ეკონომიკური განვითარების ახალი გეგმა, რაც ქალების ჩართულობის გაზრდას ითვალისწინებს. შრომის კოდექსში გაუქმდა ქალთა დასაქმებაზე დაწესებული შეზღუდვები, აღარც მეურვე მამაკაცის თანხმობაა საჭირო. თუმცა შესამჩნევია, რომ ზოგი დამსაქმებელი მაინც მოითხოვს მეურვე მამაკაცის ცნობას თანხმობის შესახებ.

საუდელი ქალებისათვის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ავტომობილის მართვის უფლების მოპოვება, რომელიც 2018 წლიდან ამოქმედდა. საუდის არაბეთი ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც ქალებს ამის უფლება არ გააჩნდათ. რაღა თქმა უნდა, სოციუმი არც ამ ცვლილებას შეხვედრია მარტივად, მოხდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ქალებს ავტომობილები დაუწვეს. ქალებს ავტობუსებსა და მატარებლებში ქმრის ან ძმის გარეშე მგზავრობა მაინც ეკრძალებათ. რიგ შემთხვევებში საკმაოდ ჭიანურდებოდა ხოლმე მართვის მოწმობის აღების პროცესიც. სასწავლო დაწესებულებებში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ქალი მასწავლებლები გოგონებისთვის. გენდერული სეგრეგაცია ეხება ბევრ დაწესებულებას, ქალებსა და მამაკაცებს ცალ-ცალკე ადგილები აქვთ გამოყოფილი რესტორნებში, საკონცერტო

დარბაზებში, წვეულებებზე, კაფეებში, სავაჭრო ცენტრებში და ა.შ. სეგრეგაცია ვრცელდება როგორც კერძო ბიზნესში, ასევე სამთავრობო დაწესებულებებშიც.

უნდა შევეხოთ ქალთა სამოსსაც, ისევე როგორც ბევრ არაბულ ქვეყანაში, საუდის არაბეთშიც, არსებობს არაოფიციალურად დაწესებული წესები და მოთხოვნები. საუდელ ქალებს აუცილებლად უნდა ეცვათ აბაია(გრძელი ტრადიციული არაბული სამოსი), ჰქონდეთ ჰიჯაბიც(თავსაბურავი). მუსლიმი ქალებისგან მოითხოვენ, რომ მათ დამალონ საკუთარი თმა. რაც შეეხება „არამუსლიმ ქალებს აზიიდან და აფრიკიდან, მათ უფრო მეტად მოეთხოვებათ აღნიშნული წესის დაცვა, ვიდრე არამუსლიმ ქალებს დასავლეთიდან“.(COI-MRA. 2019). საუდის არაბეთში არსებობს საკმაოდ ცნობილი და პოპულარული მეფე აბდულას სახელობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, სადაც ქალები და კაცები ერთად მუშაობენ, ასევე საერთო საცხოვრებელში ქალებს არ მოეთხოვებათ აბაიას ტარება. გამონაკლისს მიეკუთვნება აგრეთვე სამედიცინო სკოლებიც.

საუდის არაბეთში ქალები დისკრიმინაცის აწყდებიან სასამართლოებშიც, სადაც, მაგალითად, ყველა მოსამართლე მამაკაცია. სამწუხარო ფაქტია ისიც, რომ ერთი კაცის ჩვენება ორი ქალის ჩვენების ტოლფასია. ქალების უფლებები შელახულია მოქალაქეობის ნატურალური გზით გადაცემის მხრივაც, მათ არ შეუძლიათ თავიანთ შვილებს გადასცენ მოქალაქეობა. ასევე, შარიათის კანონები ზღუდავს ქალების ქორწინებას არამუსლიმ მამაკაცებზე, თუმცა მუსლიმ მამაკაცს შეუძლია ცოლად შეირთოს არამუსლიმი ქალი(ქრისტიანი, ებრაელი).

ქალების უფლებები სოციალური შეგნებისა და აზრის გამო ირღვევა ოჯახებშიც. ხშირად არა, თუმცა მაინც ვარაუდობენ, რომ ფიქსირდება ოჯახური ძალადობის(ფსიქოლოგიური და ფიზიკური) ფაქტები, რასაც ქალი არ ან ვერ ამტკიცებს ხოლმე. ქალების სოციალური ჩართულობა გასულ დეკადაში გაცილებით დაბალი იყო, თუმცა პოზიტიური მონაცემები შეინიშნება ბოლო პერიოდში. გაცილებით მეტი ქალია დღეს უკვე ჩართული საზოგადოებრივ თუ კულტურულ ორგანიზაციებში, ასევე ტელე-მედია სფეროში, თუმცა საკმაოდ მკაცრად კონტროლდება მათი ჩაცმულობა და ქმედებები ტელეეკრანებთან.

საუდის არაბეთის განათლების სამინისტრო და რელიგიური ჯგუფები საკმაოდ სკეპტიკურად უყურებდნენ ქალების ჩართულობას სპორტსა და ფიზიკურ აქტივობებში. მხოლოდ გასულ წელს მიიღო განათლების სამინისტრომ დადგენილება, რომ გოგონებისათვის სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები დაიწყება, თუმცა შეზღუდული რესურსებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სპორტულ ოლიმპიადებზე ქალთა მონაწილეობის რამდენიმე ერთეული შემთხვევა მაინც ფიქსირდებოდა. პირველად გამონაკლისი 2012 წელს მოხდა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დამსახურებით, შედეგად, საუდის არაბეთის სამეფომ პირველი ქალი სპორტსმენი წარადგინა ოლიმპიადაზე. (მიქელაშვილი, 2019).

Human Rights Watch-ის 2016 წლის ანგარიშმა გამოაქვეყნა საინტერესო ცნობები იმის შესახებ, რომ საუდის არაბეთში კაცებს შეეძლოთ განქორწინება ცალმხრივად, თავიანთი მეუღლეების გაფრთხილების გარეშე და ქალები, შესაბამისად, არც ცხადდებოდნენ სასამართლო დარბაზებში. უმეტეს არაბულ-ისლამურ ქვეყნებში, კაცებს შეუძლიათ განქორწინება მარტივად, თუმცა ქალებმა იციან წინასწარ ამის შესახებ. ამიტომაც 2019 წლიდან, საუდის არაბეთის იუსტიციის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალებს ამიერიდან ტექსტური შეტყობინებებით ეცნობებათ

მათი ქორწინების დასრულების შესახებ, რითიც თავიდან აირიდებენ ფარული განქორწინებების შემთხვევებს. (TIME. 2019).

საუდელი ქალები, რომლებთანაც დაკავშირება მოხერხდა, საკმაოდ შემზარავად აღწერენ თავიანთ ყოფასა და მდგომარეობას. მათთვის ყოველი დღე, ფაქტობრივად, ბრძოლას, ომს წარმოადგენს. ქალთა უფლებების ერთ-ერთი დამცველი საუდის არაბეთში აცხადებს, რომ "საუდის საზოგადოება ემყარება ბატონებსა და მონებს, უფრო სწორად კი ბატონებსა და მოახლეებს, რადგან ბატონები არიან კაცები, მონები კი ქალები". (WEB.ARCHIVE.2011).

საუდის არაბეთის სამეფოში აკრძალულია ქალების ფოტოგადაღებაც კი, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში მათი თანხმობაა აუცილებელი. ქალებს არ აქვთ ასევე სასაფლაოებზე ან სპორტულ ღონისძიებებზე კაცების გარეშე წასვლის, აგრეთვე მოდის ისეთი ჟურნალების კითხვის უფლება, რომლებსაც ცენზურა არ გაუვლიათ. ეს უკანასკნელი და ზემოთ ხსენებული სხვა შეზღუდვები კი ნათლად მოწმობს თუ რამდენად უუფლებონი არიან ქალები საუდის არაბეთში. მიუხედავად გარკვეული გატარებული ცვლილებებისა ბოლო წლებში, სიტუაცია მაინც კრიტიკულია, რადგანაც აღსრულების პროცესს ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი აქვს, განსაკუთრებით საზოგადოების განწყობა, ცვლილებებისადმი რადიკალურად განწყობილი პატრიარქალური სოციუმი და რელიგიური ჯგუფების ავტორიტეტი.

ბოლოს უნდა შევეხოთ ქალების პოლიტიკურ ჩართულობას, 2015 წელს ამ მხრივაც მოხდა ცვილელები და მხოლოდ და მხოლოდ 2015 წელს მიეცათ პირველად ქალებს ადგილობრივ არჩევნებში საარჩევნო უფლება. აღნიშნულის მიხედვით, საარჩევნო კანონი საუდის არაბეთში ქალებს არა მხოლოდ ხმის უფლებას, არამედ არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წარდგენის საშუალებასაც აძლევს. თუმცა 2015 წელს „საუდის არაბეთში, არჩევნებში ხმის მიცემის უფლებით სარგებლობისთვის, საარჩევნო სიებში სულ 16 ქალი დარეგისტრირდა".(IPRESS.GE.2015). ზოგადად არჩევნები საუდის არაბეთში იშვიათი მოვლენაა, თუმცა ხმის მიცემითა და მონაწილეობით არჩევნებში ქალები მამაკაცებთან შედარებით დაჩაგრულნი იყვნენ, სიტუაციის შერბილება კი 2011 წლიდან დაიწყო. მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ „2018 წლის თებერვალში ერთი ქალბატონი დაინიშნა შრომისა და სოციალური განვითარების მინისტრის მოადგილედ. მისი ფუნქციაა ქალთა დასაქმების პროპაგანდა".(COI-MRA. 2019).

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ საუდის არაბეთის სამეფო ცდილობს ქალთა დისკრიმინაციის შემცირებას ქვეყანაში ბოლო წლებში, თუმცა პრობლემატური საკითხები კიდევ ბევრია და ამ ცვლილებების სამართლიანად აღსრულებაც საკმაოდ ჭიანურდება. აუცილებელია მთავრობამ, რელიგიურმა ჯგუფებმა და საზოგადოებამ გაიაზროს, რომ ქალებიც, მამაკაცების მსგავსად, იმსახურებენ თანასწორუფლებიან გარემოს და მათი ჩართულობა სამოქალაქო თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოიწვევს პოზიტიურ შედეგებს, კულტურულ და სამოქალაქო განვითარებას. ეკონომიკურ საქმიანობაში ქალების მონაწილეობით გაძლიერდება კონკურენცია, შეიქმნება უფრო მეტად ჯანსაღი საბაზრო პოლიტიკა. აგრეთვე დახმარება გაეწევათ დემოკრატიულ ინსტიტუტებს, რომლებიც თავის მხრივ ამცირებენ ქვეყანაში ექსტრემისტულ გავლენას. „ქალებისა და მათი უფლებების გაძლიერება წარმოადგენს ე.წ. მორალურ იმპერატივს და განვითარების, პროგრესის ძლიერ გზას".(Rajkhan, S.F. 2014) ტოლერანტობა და

საზოგადოებაში თანასწორობა კი საერთო ჯამში ქმნის ქვეყნის განვითარების რეალურ პერსპექტივას. აუცილებელია მეტი საგანმანათლებლო დახმარება ქალთა მიმართ, მათთვის ფართო არეალის შექმნა. სახელწმიფოს მხრიდან ეროვნული გეგმის შექმნაა საჭირო, სასიცოხლოდ მნიშვნელოვანია ასევე გატარებული რეფორმების აღსრულების მონიტორინგი, მათი ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

თურქეთის ექსპანსიური პოლიტიკა და დაპირისპირება ევროპასთან

XXI საუკუნემ ნათლად გვანახა, რომ ნაციონალიზმი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იდეოლოგია ხდება მთელ ევროპაში. თუკი გასულ დეკადაში ევროპაში საერთოდ არ არსებობდა კონსერვატიული ჟურნალ-გაზეთები, ან ისინი ნაკლებად პოპულარული იყო, თანამედროვეობამ მოსახლეობა მიაბრუნა საკუთარი ერისა და სამშობლოს კეთილდღეობის მოთხოვნილებისკენ. მათ შორის, გამონაკლისი არ არის არც თურქეთი. როგორც ვიცით, თურქეთი ოსმალეთის იმპერიის სამართალმემკვიდრე ისლამური სახელმწიფოა. როგორც ყველა ისლამურ სახელმწიფოში, ამ კონკრეტულ ქვეყანაშიც ნაციონალიზმი უშუალოდ არის დაკავშირებული რელიგიურ მრწამსთან.

2020 წელს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ტაძრის, აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთებას მოაწერა ხელი. დღესდღეობით ამ ტაძარში მუსლიმური ლოცვა აღევლინება.



გარდა ამ საკითხისა, ერდოღანმა ლავირების პოლიტიკა დაიწყო, თუკი ეს სახელმწიფო აქამდე ცდილობდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფო გამხდარიყო, დღეს ეს გეგმები უკვე მივიწყებულია. თურქეთის ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს ექსპანსიური პოლიტიკის ხარჯზე მიაღწიოს აღიარებას, რის გამოც ჯერ სირიაში შეიყვანა თავისი არმია და დაუპირისპირდა ქურთებს, შემდეგ კი არმიის მობილიზება დაიწყო ლიბიაში. რადგანაც ლიბიაში მიმდინარე

მოვლენებმა ნათლად წარმოგვიჩინეს მოკავშირე მხარეები, ამ საკითხს ვრცლად შევეხები.



ზემოთ როგორც ვახსენეთ, თურქეთმა არმია შეიყვანა სირიაში, თუმცა ეს ომი მათთვის წარუმატებელი აღმოჩნდა და რუსეთმა სირიაში გამარჯვება მოიპოვა. 2020 წლიდან ლიბიაში გაჩნდა ახალი კერა.

ლიბიაში მიმდინარე სამოქალაქო ომში არაერთი უცხო ქვეყანა ჩაერთო, მათ შორის ისინი, რომლებიც უკვე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ახლო აღმოსავლეთის ცხელ წერტილებში. ამან კი საბრძოლო მოქმედებების ესკალაცია და კონფლიქტის გაფართოება გამოიწვია. ლიბიის სამოქალაქო ომი ნელ-ნელა ემსგავსება სირიაში მომხდარ კონფლიქტს, სადაც უცხო ქვეყნები ადგილობრივი საკუთარი მომხრეების ხარჯზე იბრძვიან.

ლიბია მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ქვეყანაა და ამის გამო მის მიმართ ინტერესი არასოდეს იკლებს. უპირველეს ყოვლისა, ლიბია მდიდარია ბუნებრივი რესურსებით - ნავთობისა და ბუნებრივი აირის რესურსების თვალსაზრისით აფრიკის უმდიდრესი ქვეყანაა (2010 წელს დღეში 1,6 მილიონ ბარელ ნავთობს მოიპოვებდნენ). ამასთან, იგი, სპარსეთის ყურისგან განსხვავებით, გეოგრაფიულად ახლოს მდებარეობს ევროპასთან. შესაბამისად, აქედან ნავთობისა და ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება უფრო იაფი და უსაფრთხოა. ამგვარად, ბევრი ქვეყნისთვის მიმზიდველი სწორედ ეს რესურსებია.

ეს სამოქალაქო ომი არაერთ საფრთხესა და გამოწვევას ქმნის როგორც რეგიონში, ისე - მის გარეთ. მაგალითად, თუკი რუსეთი დამარცხდება ამ ომში, მათ შეიძლება სირიაში კვლავ განაახლონ დაპირისპირება, ამას ემატება ის, რომ ჯერჯერობით არანაირი ხელშეკრულება არ არის გაფორმებული სახელმწიფოებს შორის, რაც კიდევ უფრო ამწვავებს სიტუაციას. საქართველოსთვის კატეგორიულად არ შეიძლება, რომ ლიბიაში განმეორდეს სირიის სცენარი, რადგან ეს სახელმწიფოც აღიარებს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობას, თანაც ყველაფერს ართულებს ის, რომ სირიაში მყოფ ჯიჰადისტურ ორგანიზაციებში გაერთიანებული არიან იქ საომრად წასული საქართველოს მოქალაქეებიც. ამ ეტაპზე უცნობია, გადავიდა თუ არა მათი ნაწილი ლიბიაში. თუმცა, თუ სირიაში მათთვის სიტუაცია გაუარესდება, შესაძლოა მათთვის ლიბია სერიოზული ალტერნატივა გახდეს, ყველა თავისი უარყოფითი შედეგით.

ნატოს წევრი თურქეთი ლიბიაში საკუთარ ფრონტზე იბრძვის და ნაცვლად იმისა, რომ მოკავშირე სახელმწიფოებთან იომოს, ცდილობს, რომ ცალკე იდგეს, ეს კი უფრო ამწვავებს სიტუაციას.

მაგალითად, ამ წლის ზაფხულში საფრანგეთისა და ეგვიპტის მთავრობამ გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ისინი მაქსიმალურად შეეცდებიან მოიგერიონ რუსული აგრესია და მოიგერიონ თურქული ჯარები.

ამ ყველაფრის პარალელურად, საფრანგეთმა სამხედრო წვრთნები დაიწყო

კვიპროსში, რომლის ტერიტორიის 35% ოკუპირებული აქვს თურქეთს.

თურქეთი ცდილობს არაბულ სამყაროში გახდეს ლიდერი, იმპერიალისტურ ზრახვებს იმეორებს (შეგახსენებთ, რომ ოსმალეთის იმპერია აკონტროლებდა ორივე ისლამურ წმინდა ქალაქს და არაბულ სამყაროს), რამაც ეს სახელმწიფო შესაძლოა სავალალო შედეგებამდე მიიყვანოს.

ეგვიპტე საფრანგეთის მოკავშირეა, ისრაელმაც დააფიქსირა საკუთარი პოზიციები იმის თაობაზე, რომ არ დაუშვებს თურქეთის ექსპანსიურ პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში.

2020 წლის ივლისში თურქული აგრესიის წინააღმდეგ საბერძნეთისა და კვიპროსის მხარდაჭერის მიზნით, კვიპროსის წყლებში საფრანგეთის ფლოტის La Fayette (F-710)FR ფრეგატი გამოჩნდა, რომელიც აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში უცნობი ვადით დარჩება.

რაც შეეხება საბერძნეთს, თურქეთმა ღიად დაარღვია საბერძნეთის საზღვაო საზღვარი, რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა კი განცხადება გააკეთა, რომ თურქეთმა უდიდესი აღმოჩენა გააკეთა შავი ზღვის ისტორიაში. მკვლევარმა გემმა ფატიჰმა აღმოაჩინა 320 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის მარაგი ტუნა-1 ჭაბურღილის საკვლევ ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, თურქეთი ამ მარაგის მოპოვებას 2023 წლიდან აპირებს.

როგორც ვხედავთ, თურქეთი ცდილობს ახალი ძალთა ბალანსის შექმნას, რადგან იგი რუსეთისა და ევროპის სამხედრო ბლოკებთან არ ერიდება დაპირისიპირებას, პლუს, მაქსიმალურად ცდილობს ურთიერთობების გამწვავებას ახლო აღმოსავლეთში.

შედეგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუკი თურქეთი არ შეცვლის პოლიტიკას, იგი ემსხვერპლება ამ ექსპანსიას, რადგან, განსხვავებით ოსმალთა იმპერიის საწყისი ეტაპისგან, დღეს ევროპა არც ,,100 წლიანი ომით“ არ არის დაკავებული და მეტიც, მათ საერთო ინტერესები ამოძრავებთ.